ISSN 2587-4713 3-4 2019

ECONOMICS

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

3-4, 2019

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ზ. ბერიშვილი; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Беришвили Х., Гвичия М., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; KH. BERISHVILI; M. GVICHIA; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა
და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

თბილისი - 2019

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ხათუნა შალამბერიძე - საქართველოში ახალი საბანკო რეგულაციები და მოსალოდნელი შედეგები ---------- 6
ნანა ბენიძე, ჯამბულ ბიწაძე - სავალდებულო ავტოდაზღვევის დადებითი და უარყოფითი მხარეები ---------- 17
ნონა ქავთარაძე - საქართველოს ეროვნული ვალუტის დევალვაციაზე მოქმედი ფაქტორები და თანამედროვე გამოწვევები ---------- 24

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

სოფია გოლეთიანი - საცალო ბინების მეორული და ახალი ბაზრის ქცევა ქართულ მაგალითზე ---------- 35
თამარ თალაკვაძე - ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა როგორც კონკურენციის ეფექტიანი მექანიზმი ---------- 45
მაკრინე ბაბლუანი - საავტომობილო ტრანსპორტის ზეგავლენა ქალაქის ეკოლოგიურ გარემოზე ---------- 51
სოფია გოლეთიანი - გლობალური უძრავი ქონების საინვესტიციო ბაზრის ტენდენციები და მათი გავლენა ქართულ ბაზარზე ---------- 58
მაკრინე ბაბლუანი - ინოვაციური განვითარების, როგორც გარემოზე მავნე ზემოქმედების ეკონომიკურ-ეკოლოგიური საფრთხის, თავისებურებანი ---------- 68

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ეთერ მამაცაშვილი - გლობალური ფინანსური კაპიტალი - ფინანსური რისკის წყარო ---------- 80
ლალი ბოჭორიშვილი, ნანა ავაგუმაშვილი - საწარმოს საქმიანი აქტივობის, ფინანსური მდგრადობისა და ეფექტური საქმიანობის მართვის ანალიზი ---------- 87

რეგიონული ეკონომიკა

მარინა მეტრეველი, ირაკლი თავბერიძე - საქართველოში ტურისტულ პროფესიათა მოთხოვნა - მიწოდების პრობლემების გამოკვლევა აჭარის არ-ს მაგალითზე ----------96

დარგობრივი ეკონომიკა

ანი ჯანუყაშვილი, თენგიზ ჯიშკარიანი - კლიმატის ცვლილება და მწვანე სახურავების ტექნოლოგიის დანერგვა---- 108
გვანცა ბერიძე, ბესიკ ბარკალაია - სასტუმრო საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებლები ---------- 117
ზურაბ ჩხაიძე - ქართული მეღვინეობის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიული მართვა ---------- 124
თამარ მესხიშვილი, მარინა მეტრეველი - ტურიზმის სახეობრივი მრავალფეროვნება: კოორდინაცია და იერარქია როგორც უსაფრთხოების პრობლემის კვლევის მეთოდი ---------- 138

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ბაჩო რუსიშვილი - ბიზნეს-პროცესების რეინჟირინგი და ბენჩმარკინგი ---------- 146
ზაირა ღუდუშაური, მაია როხვაძე - დასაქმებულთა კმაყოფილება მართვის მეთოდით და სტილით საქართველოში ფუნქციონირებად ერთობლივ საწარმოებში ---------- 158
ლეილა სულხანიშვილი - ტექნოლოგიური აუდიტის თანამედროვე მეთოდიკა ---------- 164
ხათუნა შალამბერიძე, თინათინ გუგეშაშვილი - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში და გენდერული თანასწორობა ---------- 178

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი----- 190

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Khatuna Shalamberidze - The New Banking Regulations and Expected Results in Georgia---------- 6
Nana Benidze, Jambul Bitsadze - The Positive and Negative Sides of Mandatory Auto Insurance ---------- 17
Nona Kavtaradze - Modern Challenges and The Factors Affecting the Devaluation of the National Currency of Georgia --------- 24

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Sofia Goletiani - The Primary and Secondary Residential Market Behavior in Georgian Model---------- 35
Tamar Talakvadze - The Social Responsibility of the Business, as the Effective Mechanism of Competition ---------- 45
Makrine Babluani - The Impact of Motor Transport on the Ecological Environment of the City---------- 51
Sofia Goletiani - Global Real Estate Investment Market Trends and Their Impact on the Georgian Market---------- 58
Makrine Babluani - The Peculiarities Of Innovation Development As the Source of Ecological and Economic Threats For Environment - 68

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Eter Mamacashvili - Global Financial Capital as a Source of Financial Risk ---------- 80
Lali Bochorishvili , Nana Avagumashvili - Analysis of Business Activity, Financial Sustainability and Effective Performance Management ---------- 87

REGIONAL ECONOMY

Marina Metreveli, Irakli Tavberidze - Identification of the Problems of Demand – provision of the Touristic Professions in Georgia on the Example of the Autonomous Republic of Adjara ---------- 96

SECTORAL ECONOMY

Ani Janukashvili, Tengiz Djishkariani - Climate Change and Implementation of Green Roof Technology ---------- 108
Gvantsa Beridze, Besik Barkalaia - Performance Indicators of the Hotel Enterprises ---------- 117
Zurab Chkhaidze - Strategic Management of Georgian Winemaking Competitiveness ---------- 124
Tamar Meskhishvili, Marina Metreveli - Diversity of Tourism: Coordination and Hierarchy as a Method of Research of Security Problems ---------- 138

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Bacho Rusishvili - Business - Process Reengineering and Benchmarking ---------- 146
Zaira Ghudushauri, Maia Rokhvadze - Employment Satisfaction by Management Method and Style in Functioning Georgian Joint Ventures ---------- 158
Leila Sulkhanishvili - Modern Techniques of Technological Audit --- 164
Khatuna Shalamberidze, **Tinatin Gugeshashvili -** Women's Economic Strengthening in Georgia and Gender Equality -- 178

The Publication Requirements ---------- 190

საქართველოში ახალი საბანკო რეგულაციები და მოსალოდნელი შედეგები

ხათუნა შალამბერიძე
ეად., აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საფინანსო ინსტიტუტებისათვის დადგა დრო, როცა ისინი განვითარების ახალ ეტაპზე უნდა გადავიდნენ. საქართველოს ეროვნული ბანკი ორი წლით ადრე აანონსებდა საბანკო სექტორის ახალ რეგულაციების შემუშავებასა და მათი ამოქმედების თარიღს. ახალი რეგულაციები საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორში მოკლევადიან პერიოდში მოიტანს საცალო დაკრედიტების შენელებას, სექტორში ხარჯების ზრდას, კაპიტალზე მოთხოვნის ზრდას და მოგებიანობის შემცირებას, თუმცა, გრძელვადიან პერიოდში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი მოახდენს ქართული საფინანსო სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

რეგულაციები დადებითად იმოქმედებს საპროცენტო მარჟაზეც. ქართული კომერციული ბანკები მოგების მაღალი საპროცენტო მარჟით ოპერირებენ იმიტომაც, რომ ამ მარჟით ხდება ყველა მოსალოდნელი ზარალის თუ ხარჯების გასტუმრება ანუ რეალურად რისკების დაზღვევა. თუ ბანკების საკრედიტო პორტფელი გაჯანსაღდება, საპროცენტო მარჟის შემცირებასთან ერთად, გაიზრდება ლიკვიდობა, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ასვე, ეს ცვლილება პოზიტიურად აისახება საპროცენტო განაკვეთებზე, მათი კლების მიმართულებით.

ახალი საბანკო რეგულაციების შემოღება სწორედ ამ კუთხით არის მნიშვნელოვანი. შეიძლება ითქვას, რომ ამ ვალების განულების და პლუს ახალი რეგულაციების შედეგად, მოსა-

ლოდნელია საბანკო პროცენტების შემცირებაც და ეკონომიკის სტიმულირებაც საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდით. მიგვაჩნია, რომ ბანკებს ნამდვილად სჭირდებათ ინოვაციური მიდგომების დანერგვა ბიზნესთან ურთიერთობაში. ბანკი უნდა გახდეს მეწარმის პარტნიორი ფინანსური მრჩევლისა და კონსულტანტის სახით.

საკვანძო სიტყვები: საბანკო რეგულაციები; საბანკო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა; კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის ჩამოყალიბება; კორპორაციული მართვის კულტურის ამაღლება.

შესავალი

საფინანსო ინსტიტუტებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდნენ. საქართველოს ეროვნული ბანკი ორი წლით ადრე აანონსებდა საბანკო სექტორის ახალ რეგულაციების შემუშავებასა და მათი ამოქმედების თარიღს. თუმცა ეს თარიღები რამოდენიმეჯერ შეიცვალა და გადავადდა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ამ რეგულაციების დამუშავების, დახვეწისა და დანერგვისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს უკავშირდებოდა.

ამავე პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, რომლის მიხედვით ბანკი სრულად უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს მთელ საფინანსო სექტორს. კერძოდ: კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორებს, აქტივების მმართველ კომპანიებს, ანგარიშვალდებულ საწარმოებს, საინვესტიციო ფონდებს, საგადახდო სისტემის ოპერატორებს და საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, ნაწილობრივ ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებს. ამ ცვლილებათა განხორციელების მთავარი მიზანია სექტორის ფინანსური მდგრადობის, გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და კორპორაციული მართვის კულტურის ასამაღლებლად.

ძირითადი ტექსტი

სიახლეების შემდეგი რიგი შეეხება კომერციული ბანკების უსაფრთხო ფუნქციონირებას. ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის "ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპების"[1] შესაბამისად, ბაზელ 3-ის ფარგლებში, კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება" (ცვლილება), "პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი", "სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე", "კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრა". ასევე, პილარ 2-ის ფარგლებში კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის დამატებითი ბუფერი რისკების შეფასების საერთო პროგრამის (General Risk Assessment Program - GRAPE) მიხედვით და სხვა.[2] ეს მნიშვნელოვანი და საგრძნობი სიახლეები ბანკებისაგან მოითხოვს კაპიტალის ადეკვატურობის უფრო მაღალ კოეფიციენტს ან შემოსავლიანი აქტივების ზრდის შეზღუდვას, რაც ბანკების აქტივობის შენელებას და მოგებიანობის შემცირებას გამოიწვევს.

მნიშვნელოვანია, რომ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოთხოვნა ასევე განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი იმ დირექტივით (მომხმარებელთა საკრედიტო ბანკების საკრედიტო შეთანხმების 2008/48/EC დირექტივა), რომელიც, ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ 2019 წლის სექტემბრამდე უნდა დანერგოს.

ამ დებულების მიზანია საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება. რეგულაცია აწესებს სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალურ ზღვრებს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო

1 წყარო: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3459
2 წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3922136

ნორმებთან და ითვალისწინებს საქართველოს საბანკო სექტორის მახასიათებლებს.

დებულებით განსაზღვრული რეგულაციები ერთდროულად გახდება სავალდებულო, როგორც კომერციული ბანკებისათვის, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, საკრედიტო კავშირებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის.

კომერციული ბანკებისთვის ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების ამოქმედებამ სესხის გაცემის პროცედურები მკვეთრად შეცვალა. შეიძლება ითქვას რომ გაამკაცრა. კერძოდ, კომერციულ ბანკებს მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა ეზღუდებათ. იმისათვის, რომ ფიზიკური პირის შემოსავალი ჩაითვალოს გაანალიზებულად, ბანკში წარდგენილ უნდა იქნეს სახელფასო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან ან ცნობა შემოსავლების სამსახურიდან.

თუ მსესხებელი შემოსავალს იღებს სავაჭრო/სამეწარმეო საქმიანობიდან, ბანკს მოუწევს გადამხდელუნარიანობის დასადასტურებლად მისი საქმიანობის დეტალური ფინანსური ანალიზი ჩაატაროს. ეროვნული ბანკის განმარტებით, შემოსავლის დადასტურების გარეშე საცალო სესხების გაცემის მოტივაციის შემცირება ხელს შეუწყობს საბანკო სექტორში საკრედიტო სტანდარტების, ასევე კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას.

ახალი რეგულაციების მიხედვით, შეიცვალა სესხის მოცულობის ლიმიტები და კოეფიციენტები. მაგალითად, არსებული სამუშაო ვარიანტით ირკვევა, რომ თვეში ათასლარიანი შემოსავლის მქონე ადამიანი მხოლოდ იმ ოდენობის სესხს აიღებს, რომლის დაფარვისთვისაც თვეში მაქსიმუმ 200 ლარი უნდა გადაიხადოს. დაუშვებელია ისეთი სესხის გაცემა, რომელზეც მსესხებელი მხოლოდ საპროცენტო განაკვეთს იხდის, ხოლო ძირთანხას ან მის მნიშვნელოვან ნაწილს სასესხო ვადის ბოლოს ფარავს. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება საკრედიტო ბა-

რათებსა და ოვერდრაფტებზე.

კოეფიციენტები გაიზარდა მომხმარებლის შემოსავლის პარალელურად. მაგალითად, სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტი 1 000-დან 3 000 შემოსავალზე - 25%-ია; 3 000-5 000 ლარის შემოსავლის შემთხვევაში - 30%; 5 000-7 000 ლარის ფარგლებში - 40%; 7 000-დან 10 ათას ლარამდე ყოველთვიური შემოსავლის შემთხვევაში კი - 50% -ი.[1] ყველა ბანკისთვის სავალდებულოა სესხის აღების მსურველის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის ჩატარება და მათი შემოსავლების დადასტურება. ბანკი სესხს არც იმ შემთხვევაში არ მოგცემთ, თუ თანამსესხებელი თქვენი ოჯახის წევრი არ იქნება.[2]

შეიცვალა სესხის აღების ვადებიც. დოკუმენტის თანახმად, იპოთეკური სესხის მაქსიმალურ ვადად - 15 წელი, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხზე - 10 წელი, სატრანსპორტო სესხის შემთხვევაში - 6 წელი, სხვა დანარჩენი სესხებისთვის კი მაქსიმალურ ვადად - 4 წელია განსაზღვრული.

საფინანსო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ასევე არის სიახლეები.ეროვნული ბანკის ინფორმაციით, გამკაცრდა მომხმარებლის ინფორმირების მოთხოვნები სასესხო და სადეპოზიტო პროდუქტების შეთავაზებისას. ფინანსური ორგანიზაცია ვალდებული იქნება მომხმარებლისთვის სასესხო და სადეპოზიტო პროდუქტის პირადი შეთავაზებისას მას მიაწოდოს ინფორმაცია შეთავაზებული პროდუქტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ. მოთხოვნა ვრცელდება, ინტერნეტ-ბანკის, გადახდის თვითმომსახურების ჯიხურების და ბანკომატების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების შემთხვევაშიც და ა.შ.

ცვლილებებით განისაზღვრა ფინანსურ ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით ხელშეკრულებების დადების წესი, რაც, მათ შორის, გუ-

1 **წყარო: https://imedinews.ge/ge/ekonomika/98127/ianvarshi-14-62-mln-la**

2 **https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3545**

ლისხმობს მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და შეთავაზების პირობების წინასწარ მიწოდებასა და ამ ინფორმაციის შემდგომ ხელმისაწვდომობას, ასევე მომხმარებელთან ზეპირი კომუნიკაციის სტანდარტებს.

გარდა ამისა, განისაზღვრა ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულება უზრუნველყოს სესხების გამჭვირვალედ ამორტიზაცია, რაც გულისხმობს დარიცხული პროცენტის დაანგარიშებისას ყოველდღიური დარიცხვის პრინციპის გამოყენებას. ასევე, დაზუსტდა ხელშეკრულების ფორმების ნიმუშები. ფინანსურმა ორგანიზაციამ მომხმარებელს სავალდებულო სახით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საფინანსო პროდუქტის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზეც;

თუ კრედიტის ან დეპოზიტის პროდუქტის მომხმარებელზე შეთავაზება ხდება პირადად, მათ შორის, დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებებით ფინანსურმა ორგანიზაციამ მომხმარებელს სავალდებულო სახით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საფინანსო პროდუქტის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე;

თუ კრედიტის ან დეპოზიტის პროდუქტის შეთავაზებაში (გარდა ვერბალური შეთავაზებისა) ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან ერთად საფინანსო პროდუქტის ფასის განმსაზღვრელი სხვა ნებისმიერი პარამეტრის გამოყენების შემთხვევაში, ყველა ამ პარამეტრის, მათ შორის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფონტის ზომა და ვიზუალი უნდა იყოს ერთმანეთის იდენტური.[1]

აღსანიშნავია, რომ ჯანსაღი საკრედიტო სტანდარტებისა და პასუხისმგებლიანი დაფინანსების წახალისების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს ჯერ კიდევ 2014 წლიდან. პროცესი კომერციულ ბანკებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობდა. ამასთან, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ჩართულობით, გადადგმულ იქნა ისეთი თანმიმდევრული ნაბი-

1 წყარო:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4141653

ჯები, როგორებიც იყო მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ღონისძიებები (მათ შორის, მომხმარებელთა უფლებების დარღვევების გამო დაჯარიმებების, მომხმარებელთა უფლებების წესების საფინანსო სექტორის წარმომადგენლებზე გავრცელების, დაცულ მომსახურებასთან დაკავშირებული აქტივობები) და დაბალი საკრედიტო სტანდარტების მქონე სესხებისათვის კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის მოთხოვნების ზრდა. ამ უკანასკნელი ღონისძიებით ფიზიკურ პირებზე გაცემული და სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხებისათვის განისაზღვრა "სესხის მომსახურებისა" (ე.წ. PTI – payment to income ratio) და "სესხის უზრუნველყოფის" (LTV – Loan to value ratio) კოეფიციენტების მინიმალური მოთხოვნები. შესაბამისად, 2017 წლის 1 დეკემბრიდან გაცემულ სესხებზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ PTI-სა და LTV-ის განსაზღვრულ ლიმიტებს, კომერციულ ბანკებს მკვეთრად გაეზარდათ საზედამხედველო ტვირთი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების კუთხით.[1] აღნიშნულმა ღონისძიებებმა თავისი დადებითი ეფექტი მოახდინა ბაზრის სტრუქტურასა და დინამიკაზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ახალი რეგულაციებით მოეთხოვება კომერციულ ბანკებს არის კრედიტის გაცემაზე შეზღუდვები. კერძოდ:

-მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის ხელშეწყობის მიზნებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, ცვლილებები შევიდა "კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებაში"[2] ცვლილებებით იზღუდება მომხმარებელთა გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა.ამ ტიპის სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს. შემოსავლის დადასტურების გარეშე საცალო სესხების

1 წყარო: www.nbg.gov.ge

2 წყარო:https://matsne.gov.ge/ka/document/view/4153771

გაცემის მოტივაციის შემცირება ხელს შეუწყობს საკრედიტო სტანდარტების გაუმჯობესებას საბანკო სექტორში, კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას.

- თუ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შესწავლა/შეფასება მოხდება, ის გაცილებით დაბალპროცენტიან სესხს მიიღებს. შესაბამისად, სარგებელი იქნება ორმხრივი - ბანკსაც აღარ ექნება ის რისკი, რომ შესაძლოა, დადეფოლტება მოხდეს და მსესხებელსაც არ ექნება რისკი, რომ შემოსავლის შეფასების გარეშე, მაღალპროცენტად მიღებულ სესხს ვერ მოემსახურება და უარყოფით სტატუსს მიიღებს საკრედიტო ბიუროში.

დასკვნა

საფინანსო ინსტიტუტებისათვის დადგა დრო, როცა ისინი განვითარების ახალ ეტაპზე უნდა გადავიდნენ. საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორში მოკლევადიან პერიოდში მოიტანს საცალო დაკრედიტების შენელებას, სექტორში ხარჯების ზრდას, კაპიტალზე მოთხოვნის ზრდას და მოგებიანობის შემცირებას, თუმცა, გრძელვადიან პერიოდში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი მოახდენს ქართული საფინანსო სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

ახალი რეგულაციები დადებითად იმოქმედებს საპროცენტო მარჟაზეც. ქართული კომერციული ბანკები მოგების მაღალი საპროცენტო მარჟით ოპერირებენ იმიტომაც, რომ ამ მარჟით ხდება ყველა მოსალოდნელი ზარალის თუ ხარჯების გასტუმრება ანუ რეალურად რისკების დაზღვევა. თუ ბანკების საკრედიტო პორტფელი გაჯანსაღდება, საპროცენტო მარჟის შემცირებასთან ერთად, გაიზრდება ლიკვიდობა, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. იგი პოზიტიურად აისახება საპროცენტო განაკვეთებზე, მათი კლების მიმართულებით.

ახალი საბანკო რეგულაციების შემოღება სწორედ ამ კუთხით არის მნიშვნელოვანი. შეიძლება ითქვას, რომ ამ ვალების

განულების და პლუს ახალი რეგულაციების შედეგად, მოსალოდნელია საბანკო პროცენტების შემცირებაც და ეკონომიკის სტიმულირებაც საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდით.

ცვლილებებით განისაზღვრა ფინანსურ ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით ხელშეკრულებების დადების წესი, რაც, მათ შორის, გულისხმობს მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და შეთავაზების პირობების წინასწარ მიწოდებასა და ამ ინფორმაციის შემდგომ ხელმისაწვდომობას, ასევე მომხმარებელთან ზეპირი კომუნიკაციის სტანდარტებს.

გარდა ამისა, განისაზღვრა ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულება უზრუნველყოს სესხების გამჭვირვალედ ამორტიზაცია, რაც გულისხმობს დარიცხული პროცენტის დაანგარიშებისას ყოველდღიური დარიცხვის პრინციპის გამოყენებას. ასევე, დაზუსტდა ხელშეკრულების ფორმების ნიმუშები. აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებათა განხორციელების მთავარი მიზანია სექტორის ფინანსური მდგრადობის, გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და კორპორაციული მართვის კულტურის ამაღლება.

მიგვაჩნია, რომ ბანკებს ნამდვილად სჭირდებათ ინოვაციური მიდგომების დანერგვა ბიზნესთან ურთიერთობაში. ბანკი უნდა გახდეს მეწარმის პარტნიორი ფინანსური მრჩევლისა და კონსულტანტის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარბაქაძე ხ., „საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში“, 2016წ.

2. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. 2018წ.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონი. 2018წ.

4. ახალი საბანკო რეგულაციები, ჟ. Forbes Georgia, 2018 წ.

5. სპუტნიკი-საქართველო, იოსელიანი თ., „ ახალი რეგულა-

ციები სესხის გაცემაზე“, 2018წ.
6. www.nbg.gov.ge
7. www.statistics.com

REFERENCES:
1. Barbakadze, Kh.”Current Issues of Regulation of Banking Activities in Georgia”, 2016
2. Law of Georgia on Activities of Commercial Banks. 2018y.
3. Organic Law of the National Bank of Georgia. 2018
4. New banking regulations, p. Forbes Georgia, 2018
5. Sputnik-Georgia, Ioseliani T., “New Regulations on Loan Issuance”, 2018
6. www.nbg.gov.ge
7.www.statistics.com

THE NEW BANKING REGULATIONS AND EXPECTED RESULTS IN GEORGIA

Khatuna Shalamberidze,
Academic Doctor of Economics,
ATSU, Associated Professor

RESUME

For financial institutions, the time has come when they will move to a new stage of development. The National Bank of Georgia announced two years earlier to elaborate the new regulations on banking sector and the date of their enactment. The new regulations in the banking and financial sector of Georgia will bring the short-term lending to retail credit, it will increase expenditure in this sector and also the demand on capital, resulting in the decrease of profitability. However, in the long term, we should hope that it will improve the quality of the Georgian financial system. At the same time significant amendments were made to the Organic Law of the “National Bank of

Georgia", according to which the Bank is fully authorized to oversee the entire financial sector.

The regulations will also positively affect the interest margin. Georgian commercial banks operate with high interest margins because of the fact that, under this margin, all of the expected losses or expenses are realized, or actually the risk insured. If the credit portfolio of the banks will be recovered, along with the reduction of the interest margin, the liquidity will increase, and that is no less important. Similarly, this change is positively reflected on interest rates, in terms of their decrease.

The introduction of new banking regulations is important in this regard. It can be said that the reduction of banking interest and the stimulation of the economy by credit growth is expected as a result of these debts and plus new regulations. It is noteworthy that the main objective of implementing these amendments is to promote financial sustainability, transparency and corporate management culture of the sector. We think that banks really need innovative approaches to business relations. The bank shall become the partner of the entrepreneur as financial adviser and consultant.

Key words: Banking regulations; Promote financial sustainability and transparency of the banking sector; Establish a healthy credit portfolio in commercial banks; Raising corporate management culture.

სავალდებულო ავტოდაზღვევის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ნანა ბენიძე
აწსუ ასოც.პროფესორი
ჯამბულ ბიწაძე
აწსუ ასოც.პროფესორი

რეზიუმე

ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელებისათვის 2019 წლის 1 ივლისიდან სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შემოდის. კანონპროექტი ადგენს წლიური სადაზღვევო პრემიის მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობებს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიების მიხედვით, რომელიც არის წლიური და განისაზღვრება ავტოსასატრანსპორტო საშუალების კატეგორიების მიხედვით.დადებით მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ:1.ეს პროექტი,მოქალაქეებში განავითარებს დაზღვევის კულტურას. მოსახლეობა დაიწყებს სადაზღვევო პროდუქტების როლის უკეთ აღქმას. 2.სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას კანონი ყოველთვის იცავს დაზარალებულს. 3.ხელს შეუწყობს, დაზღვევის, როგორც ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების მქონე ინსტიტუციის განვითარებას. დასახვეწია:1.პირველ ყოვლისა, სწორი შუალედი მოიძებნოს ანაზღაურების ლიმიტსა და დაზღვევის ღირებულებას შორის.2.საჭიროა,შეიქმნას მარტივი ციფრული პროდუქტი,რომელიც გაზრდის მოქნილობას.3.დამზღვევს სამართლიანი კონკურენციის პირობებში უნდა ჰქონდეს საშუალება, აირჩიოს მისთვის სასურველი კომპანია.4.ამ პროგრამაში მონაწილე კომპანიებს უნდა ქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, რათა ყველამ შეძლოს, რომ მომხმარებელთა ინტერესი დაიმსახუროს. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა უფრო მარტივია, ღიაა და ნაკლებ დანახარჯებსაც საჭიროებს, რაც საბოლოოდ ისევ მოსახლეობისთვისაა კარგი.

საკვანძო სიტყვები:სავალდებულო ავტოდაზღვევა, კანონპ-

როექტი, შენეტანები, ჯარიმა, ანაზღაურების ლიმიტი, დაზღვევის ღირებულება.

შესავალი

საქართველოში, თითქმის ყველა სადაზღვევო კომპანია სთავაზობს მძღოლებს ავტოდაზღვევის პაკეტს. ეს პაკეტი საშუალებას აძლევს ავტომფლობელებს თავიდან აიცილოს ავტოტრანპორტის დაზიანების/განადგურების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური დანახარჯები.აგრეთვე,სადაზღვევო კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას. რომელიც გულისხმობს სადაზღვევო შემთხვევის დროს მესამე პირზე მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის მონაცემებით, სულ დარეგისტრირებულია 806 323 ავტომანქანა, დაზღვევას ექვემდებარება დაახლოებით 300 000, სულ დაზღვეულია 36 4201[1] საქართველოში 2018 წელს მოხდა 6,452 ავტოსაგზაო შემთხვევა, რასაც 459 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 9,047 დაშავდა. ამ სტატისტიკას ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს.2017 წელთან შედარებით 2018 წელს ავტოავარიების რაოდენობა 6%-ით, დაშავებულთა რაოდენობა 7%-ით გაიზარდა, ხოლო დაღუპულთა რაოდენობა, პირიქით - 11%-ით შემცირდა.ორგანიზაციის ინფორმაცით, 2018 წელს დაიღუპა 21 მოზარდი (16 წლამდე), მათ შორის 8 ქვეითი, ხოლო დაშავდა 1012 მოზარდი, მათ შორის 343 ქვეითი.[2] ამ მონაცემებზე დაყრდნობით აუცილებელია ქმედითი ღონისძიების გატარება.როგორც ცნობილია, საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელებისათვის 2019 წლის 1 ივლისიდან სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა შემოდის. კანონპროექტი ავტოსა-

1 ავტოპარკი 2017. შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი.

2 TV.imedi.24.01.2019

ნტრანსპორტო საშუალებების კატეგორიების მიხედვით ადგენს წლიური სადაზღვევო პრემიის მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას.

ძირითადი ტექსტი

დაზღვევის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით[1] 2018 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით, მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა სულ 992 000 შეადგენს და ახალი კანონპროექტით, მსუბუქ ავტომობილებს წლიურად 100-150 ლარად შეეძლებათ **ავტოპასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შეძენა.** ამის გათვალისწინებით, წელიწადში მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებიდან სადაზღვევო ინდუსტრიაში მინიმუმ 99.2 მილიონი ლარი შევა.

მისივე განმარტებით**,** კანონპროექტი ადგენს წლიუ[2]რი სადაზღვევო პრემიის მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიების მიხედვით, რომელიც არის წლიური და განისაზღვრება ავტოსასატრანსპორტო საშუალების კატეგორიების მიხედვით.კერძოდ, მოტოციკლისათვის, რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50სმ3-ზე მეტია–75.00 -110.00 ლარი; მსუბუქი ავტომობილისათვის, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3500 კგ-ს, ხოლო დასასხდომი ადგილების (გარდა მძღოლის ადგილისა) რაოდენობა 8-ს არ აღემატება–100.00-150.00 ლარი; ავტობუსისათვის, რომლის დასასხდომი ადგილების (გარდა მძღოლის ადგილისა) რაოდენობა 8-ს აღემატება–160.00-240.00 ლარი; სატვირთო ავტომობილისათვის, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3500 კგ-ს აღემატება–10.00-310.00 ლარი. მისაბმელისათვის –50.00-75.00ლარი. სასოფლო-სამეურნეო მანქანისათვის, სპეციალიზებული თვითმავალი მანქანისათვის – 60.00 – 90.00 ლარი.

კანონპროექტით გათვალისწინებულია სანქციის ოდენობა. კერძოდ, პროექტით კონკრეტდება, რომ სამოქალაქო პასუხის-

1 http://insurance.gov.ge/Home.aspx

2 სადაზღვევო ასოციაციის გამგეობის თავჯდომარე დევი ხეჩინაშვილი:TV.imedi.2019

მგებლობის სავალდებულო დაზღვევის გარეშე გადაადგილებისას 100 ლარით დაჯარიმდება მოტოციკლის (რომლის ძრავას მუშა–მოცულობა 50 სმ3–ზე მეტია), მსუბუქი ავტომობილის (რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3500 კგ-ს და დასაჯდომი ადგილების რაოდენობა 8-ს არ აღემატება), სასოფლო–სამეურნეო და სპეციალიზებული თვითმავალი მანქანის ან მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალების მძღოლი. ავტობუსის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა 8-ს აღემატება) ან სატვირთო ავტოსატრანსორტო საშუალების (რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3500 კგ-ს) მძღოლის მიერ სამართალდარევა კი, 200 ლარიან ჯარიმას გამოიწვევს. ამასთან, მძღოლს ჯარიმასთან ერთად, სავალდებულო დაზღვევის შესაძენად 72 საათიანი ვადა მიეცემა და თუ ამ ვადაში მძღოლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა კვლავ დაუზღვეველი იქნება, ის მეორედ დაჯარიმდება.ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სერვისი საქართველოში დღესაც არსებობს. თუ გადავხედავთ სტატისტიკას, ქვეყანაში დარეგისტრირებული 950000 ავტომფლობელიდან სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით ამჟამად მხოლოდ 38 674 ავტომანქანის მესაკუთრე სარგებლობს.როგორც ხეჩინაშვილი განმარტავს, ცვლილებების შედეგად შეიქმნება ახალი სადაზღვევო პროდუქტი და სწორედ მისი მიწოდება მოხდება მომხმარებლებისთვის. ასევე იქნება სისტემა, რომელიც რაც შეიძლება მეტი ადამიანის სწრაფად დაზღვევას უზრუნველყოფს. „ამის უკან სულ სხვა იდეა დევს, აბსოლუტურად გამიჯნულია კერძო პროდუქტებისგან და ის ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს. ეს არამარტო კომპლექსურია, არამედ სოციალურია. ეს უყურებს იმას, რომ ქვეყანაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალებული არავინ დარჩეს. ნასვამმა რომ დაარტყას, მაინც იხდის, მაინც ანაზღაურებს. რისკები აქვს გაზრდილი. ეს დაზღვევა ფარავს დაუზღვეველ მანქანებს, დაუდგენელ მანქანებს, ფარავს ბრალეულობის და ა.შ.,“— აღნიშნავს ხეჩინაშვილი.[1]

1 სადაზღვევო ასოციაციის გამგეობის თავჯდომარე დევი ხეჩინაშვილი: TV.imedi.2019

დასკვნა

ნამდვილად, აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია და ამ მიმართულებით მიმდინარეობს აქტიური განხილვა. თუმცა, ვფიქრობ აუცილებელია ეს კანონპროექტი იყოს გამჭვირვალე და არა ცალმხრივად მიღებული დოკუმენტი, რაც მხოლოდ საზიანო იქნება როგორც მზღვეველიებისათვის ასევე დამზღვევებისათვის. უდაოა, ამ პაკეტს მომავალში უდიდესი ეფექტი ექნება, როგორც, სადაზღვევო ბიზნესისათვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. პირველ რიგში განვიხილოთ თუ რა შესაძლო სარგებელს მოიტანს ეს კანონპროექტი?

1. ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ვფიქრობ მოქალაქეებში განავითარებს დაზღვევის კულტურას,რაც საქართველოში თითქმის არ არის. მოსახლეობა დაიწყებს სადაზღვევო პროდუქტების როლის უკეთ აღქმას. ადამიანები მოსალოდნელი საბრთხეებს დაზღვევით გაუმკლავდებიან.

2. ამ პროექტის დადებითი მხარე ისაა,რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას კანონი ყოველთვის იცავს დაზარალებულს. ნებაყოფლობით დაზღვევაში მნიშვნელობა აქვს ბრალეულობას.

3. როგორც მოგეხსენებათ,მთელი ქვეყნის ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალად გადაიქცა საბანკო სისტემა.ამ საკითხის გამოსწორების ერთ-ერთი გზა არის დაზღვევის, როგორც,ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტების მქონე ინსტიტუციის განვითარება. [1]

4. სადაზღვევო ინდუსტრიას და მასთან ერთად კაპიტალის ბაზარს სჭირდება დახმარება, რომ იყოს ძლიერი კონკურენცია საფინანსო ინსტიტუტებს შორის,რათა არსებობდეს კაპიტალის არა ერთი, არამედ რამდენიმე მძლავრი წყარო, რომ უთანასწორობა იქნას დაძლეული.ვფიქრობ,დაზღვევის ამ კუთხით განვითარება ამის ერთ-ერთი წინაპირობა იქნება.

უდაოდ,ეს კანონპროექტი მნიშვნელოვანია, როგორც სადაზღვევო ბიზნესისათვის ასევე ქვეყნის ეკონომიკისათვის,თუმცა დასახვეწია.კერძოდ:

1. პირველ ყოვლისა,აუცილებელია სწორი შუალედი მოი-

1 access_time2019-02-14

ძებნოს ანაზღაურების ლიმიტსა და დაზღვევის ღირებულებას შორის, რათა გათვალისწინებული იქნას,როგორც დღევანდელი რეალობა, ასევე რისკის შეფასების სტანდარტები.

2. საჭიროა ადმინისტრირების დანახარჯების შემცირება,რაც მიიღწევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, შეიქმნას მარტივი ციფრული პროდუქტი,რომელიც გაზრდის მოქნილობას.

3. დამზღვევს სამართლიანი კონკურენციის პირობებში უნდა ჰქონდეს საშუალება, აირჩიოს მისთვის სასურველი კომპანია ან/და შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ, სურვილის შემთხვევაში, სხვა მზღვეველზე გააკეთოს არჩევანი.

4. ამ პროგრამაში მონაწილე კომპანიებს უნდა ქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, რათა ყველამ შეძლოს, რომ მომხმარებელთა ინტერესი დაიმსახუროს. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა უფრო მარტივია, ღიაა და ნაკლებ დანახარჯებსაც საჭიროებს, რაც საბოლოოდ ისევ მოსახლეობისთვისაა კარგი.მსოფლიოს მასშტაბით მესამე პირის პასუხისმგებლობის ნაწილში უამრავი გამოცდილებაა დაგროვილი, ამიტომ შეგვიძლია, ავირჩიოთ სწორ მოდელი და დავუმატოთ თანამედროვე ტექნოლოგიები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტოპარკი2017. შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი.
2. TV.imedi.24.01.2019
3. http://insurance.gov.ge/Home.aspx
4. დ.ხეჩინაშვილი: TV.imedi.07.02.2019წ;
5. access_time 2019-02-14.

USED LITERATURE :

1. A car park2017. Ministry of Internal Affairs, News Analytical Department
2. TV.imedi.24.01.2019
3. http://insurance.gov.ge/Home.aspx
4. D.xechinashvili: TV.imrdi.07.02.2019w;
5. access_time2019-02-14

THE POSITIVE AND NEGATIVE SIDES OF MANDATORY AUTO INSURANCE

Nana Benidze – ATSU Associated Professor
Jambul Bitsadze – ATSU Associated Professor

RESUME

From 1 July 2019 the civil responsibility insurance is going to be mandatory for the owners of the vehicles. The Draft law determines the minimum and maximum amount of insurance premium, vehicles with categories, which is yearly and is determined according to the categories of vehicles. For the positive side we can consider: 1.This project will develop insurance culture in citizens. Population will start to percept the insurance product better. **2**. The positive side of this project is that when the accident will be the law will always protect the victim **3**. It will promote insurance as the alternative financial instrument to develop. It is necessary to improve :1.First of all to be searched the right interval between the refund limit and insurance amount 2. It is necessary to create a digital simple product which will increase flexibility 3. The insurer should have opportunity to choose for him advisable company in the fair concurrence conditions 4. The companies taking part in this program should have the equal opportunity to be able to earn the interest of customers. I think such attitude is more easy, open and will need less expenses which is good finally for the population.

Key words: Mandatory Auto insurance, draft law, inputs, fine, payment limit, Insurance cost.

საქართველოს ეროვნული ვალუტის დევალვაციაზე მოქმედი ფაქტორები და თანამედროვე გამოწვევები

ნონა ქავთარაძე
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,
(სეუ) ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

წარმოდგენილია ეროვნული ვალუტის (ლარი) გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე მოქმედი, როგორც ენდოგენური, ასევე ეგზოგენური ფაქტორების კომპლექსური ანალიზი. განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. დეტალურად გაანალიზებულია ფულად საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები, კერძოდ, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, ცენტრალური ბანკის სავალუტო ინტერვენციები და ა.შ. გამოვლენილია ეროვნული ვალუტის დევალვაციის ნეგატიური შედეგები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს ჭრილში. აღნიშნული საკითხების ანალიზის შედეგად შემუშავებულია წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს, ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე მოქმედი, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორების ნეგატიური გავლენის შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: საგადასახდელო ბალანსი, მიმდინარე ანგარიში, სავაჭრო დეფიციტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, დევალვაცია, მონეტარული პოლიტიკა.

შესავალი

ეროვნული ვალუტის სტაბილურობის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ისეთი გლობალური ამოცანების განხორციელება, როგორიც არის ფასების სტაბილურობა, ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნება და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

საქართველოში, ეროვნული ვალუტის (ლარი) გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევასთან დაკავშირებულ საკითხებს, კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა ლარის დევალვაციის პროცესმა შემატა, რომელიც 2014 წლის ნოემბრის თვის ბოლოს (22 ნოემბერი) დაიწყო და დღესაც (რა თქმა უნდა, განსხვავებული მასშტაბით და სიმწვავით) ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მეტი ილუსტრაციისთვის, თუ გავაანალიზებთ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის საშუალო წლიური მაჩვენებლის დინამიკას, შევნიშნავთ, რომ ოთხი წლის (2014-2018 წ.წ.) განმავლობაში, ლარი 43.5 პროცენტით (0.77 თეთრით) გაუფასურდა, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის უახლესი მონაცემებით, მიმდინარე 2019 წელს, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, საშუალოდ თებერვლის თვეში $1 = 2.6531 ლარით განისაზღვრა.

როგორც ვიცით საქართველოში (1998 წლიდან) მოქმედებს მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმი, ხოლო ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი „ბლუმბერგის" ელექტრონული სავაჭრო სისტემის მეშვეობით, ბანკების მიერ ერთმანეთთან დადებული გარიგებების საფუძველზე დგინდება.

ძირითადი ტექსტი

ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე მოქმედ ფაქტორებზე მსჯელობა, მართებულია დავიწყოთ ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის გაანალიზებით. ვინაიდან, მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე. მაგალითად, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდოს ზრდა იწვევს ვალუტის გაუფასურებას. რადგან მიმდინარე, 2019 წლის მხოლოდ ორი თვის (იანვარი-თებერვალი) მონაცემებზე დაყრდნობით, შეუძლებელი იქნება საკითხის კომპლექსური ანალიზის განხორციელება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, კვლევისას ჩვენ დავეყრდნობით გასული პერიოდის და განსაკუთრებით ბოლო (2018 წელი) წლის ოფიციალურ მონაცემებს.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე,

საქართველოს მიმდინარე ანგარიში ყოველწლიურ ჭრილში მუდმივად დეფიციტურია. გამონაკლისი არც 2018 წელი აღმოჩნდა, შედეგად მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წლიურმა მაჩვენებელმა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 7.7 პროცენტი შეადგინა და აბსოლუტურ მაჩვენებლებში 1 247.6 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერთი მხრივ, საქონლით ვაჭრობის ბალანსის უარყოფითმა სალდომ, ხოლო მეორე მხრივ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრმა შემცირებამ. 2018 წელს, საქონლით საქართველოს სავაჭრო ბრუნვის (17.5 პროცენტიანი) ზრდის მიუხედავად, რაც დეკლარირებული ექსპორტის 22.4, ხოლო იმპორტის 15.2 პროცენტიანმა ზრდამ განაპირობა, საქონლით საქართველოს სავაჭრო ბალანსი, როგორც ყოველთვიურ, ასევე ყოველწლიურ ჭრილში კვლავ უარყოფითი დარჩა. შედეგად საანალიზო წელს საქონლით ვაჭრობის დეფიციტმა 8.2 პროცენტით გადააჭარბა 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელს და აბსოლუტურ მაჩვენებლებში - 4107.3 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.

საქონლით ვაჭრობის დეფიციტის დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ, კვლავ მომსახურების ანგარიშის დადებითი სალდო იქნა გამოყენებული. მომსახურების ექსპორტში განსაკუთრებით აღსანიშნავია, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრი ზრდა, როგორც კვარტალურ, ასევე წლიურ ჭრილში. 2018 წელს ტურიზმის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები 18.4 პროცენტით გაიზარდა (2017 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით) და 3202.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რის შედეგადაც, იგი ფაქტიურად საქონლის ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებს გაუთანაბრდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომსახურების ბალანსის პროფიციტმა 2018 წელს 2 241.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და ნაწილობრივ დააბალანსა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი.

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (პუი), მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს საქართველოს სარეიტინგო პოზიციები მთელი რიგი შეფასებების მიხედვით გაუმჯობესდა (მაგალითად, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით

GCI, საქართველომ გაუმჯობესებული ქულით 66-ე პოზიცია დაიკავა, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით IEF უმეტესად თავისუფალ ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნა, ხოლო მსოფლიო ბანკის ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, საქართველომ ბიზნესის კეთების სიმარტივის DB მიხედვით 16-დან 9 ადგილზე გადაინაცვლა, ამასთან საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Fitch"- მა ქვეყნის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი IDR „BB-"-დან „BB"-მდე გააუმჯობესა და პერსპექტივა სტაბილურად შეაფასა), რაც პოზიტიურად უნდა ასახულიყო ქვეყნის ბიზნეს გარემოზე და ქვეყანაში ინვესტიციების ზრდის სტიმულირება უნდა გამოეწვია, თანამედროვე რეალიები აღნიშნული მოლოდინებისგან რადიკალურად განსხვავდება. კერძოდ, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ 2018 წელს საქართველოში განხორციელებული პუი-ს სიდიდე (2017 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით) 35 პროცენტით შემცირდა (მათ შორის პუი მნიშვნელოვნად, კერძოდ 25.7 პროცენტით შემცირდა ევროკავშირის, ხოლო 43.8 პროცენტით დსთ-ს ქვეყნებიდან) და შედეგად საანალიზო წელს პუი-ს მაჩვენებელი ბოლო 2014-2018 წლების მაჩვენებლებიდან ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაფიქსირდა და აბსოლუტურ მაჩვენებლებში, მხოლოდ 1232.4 მლნ აშშ დოლარი, მშპ-ს 7.6 პროცენტი შეადგინა. პუი-ს ასეთი მკვეთრი კლება განაპირობა, მშენებლობაში (63.4 პროცენტით); ტრანსპორტი და კავშირგაბმულობაში (64.3 პროცენტი); უძრავ ქონებაში (50.6 პროცენტი); ენერგეტიკაში (29. 8 პროცენტით) და საფინანსო სექტორში (8.3 პროცენტით) პუი-ს შემცირებამ. თუ განვიხილავთ პუი-ს დინამიკას კვარტალურ ჭრილში შევნიშნავთ, რომ მისი სიდიდე განსაკუთრებით წლის ბოლო (მეოთხე) კვარტალში შემცირდა და აბსოლუტურ მაჩვენებლებში მხოლოდ 197. 2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს პირადი ფულადი გზავნილები წარმოადგენს. 2018 წელს ფულადი გზავნილების შემოდინებებმა წლიურ ჭრილში 28.2 პროცენტით (347.2 მლნ აშშ დოლარი) გადააჭარბა, ამავე პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღე-

ბულ შემოსავლებს და აბსოლუტურ მაჩვენებლებში 1 579.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს ფულადი გზავნილების შემოდინებების ზრდის პარალელურად, ასევე მზარდი დინამიკით ხასიათდება, საქართველოდან ფულადი გზავნილების გადინების მაჩვენებელიც. თუმცა სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ 2018 წელს ჩარიცხვების წილმა მცირედით (0.6 პროცენტით) მაგრამ მაინც გადააჭარბა გადარიცხული ფულადი გზავნილების ხვედრით წილს.

ზემოაღნიშნული ტენდენციების კვალდაკვალ, უაღრესად საინტერესო და აქტუალურია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, ასევე აღნიშნული პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტები. როგორც ვიცით ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტს, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი წარმოადგენს. იგი თავისი არსით გულისხმობს, ცენტრალური ბანკის მიერ, კომერციული ბანკებისათვის გაცემულ (ერთკვირიან) სესხებზე მინიმალური საპროცენტო განაკვეთის დაწესებას. შედეგად მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებით (გაზრდა ან/და შემცირება), სებ-ს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ჯერ, მოკლევადიან ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთებზე, ხოლო შემდგომ უკვე გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე და საბოლოოდ ერთობლივ მოთხოვნაზე.

აღსანიშნავია, რომ (2018 წლის მეორე ნახევრიდან - 26 ივლისი) სებ-ი ეტაპობრივად არბილებს ზომიერად გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას (2018 წლის 26 ივლისს აღნიშნული განაკვეთი შემცირდა 7.25-დან 7.00 პროცენტამდე; 2019 წლის 31 იანვარს 7.00-დან 6.75 პროცენტამდე, ხოლო 14 მარტს 6.75-დან 6.50 პროცენტამდე) შედეგად დღეისათვის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.50 პროცენტს შეადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ რეფინანსირების სესხზე (რომელიც ამოქმედდა 2008 წლიდან და გაიცემა აუქციონის მეშვეობით, ხოლო 2010 წლიდან ამოქმედდა მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხები, რომელიც 1 პროცენტით აღემატება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს) საპროცენტო განაკვეთის შემცირება ამარტივებს კრედიტის ხელმი-

საწვდომობას და იწვევს საკრედიტო არხების საშუალებით ლარის მიწოდების ზრდას, რაც ნეგატიურად ზემოქმედებს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე.

სებ-ის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა შევეხოთ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნებს, რაც წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ, კომერციული ბანკებისთვის კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულ სავალდებულო სარეზერვო ნორმებს, რომელიც ცალ-ცალკე განისაზღვრება, ეროვნული და უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე. აღნიშნული სარეზერვო მოთხოვნის ნორმების ცვლილებით, ცენტრალურ ბანკს შესაძლებლობა აქვს ზეგავლენა მოახდინოს, კომერციული ბანკების მიერ დაკრედიტების მოცულობასა და საპროცენტო განაკვეთებზე. მაგალითად, სებ-ის მიერ უცხოური ვალუტით (მაგალითად აშშ დოლარი) სარეზერვო მოთხოვნების ზრდა იწვევს კომერციული ბანკების მიერ, დოლარში გაცემული სესხების მოცულობის და შესაბამისად, ეკონომიკისათვის მიწოდებული დოლარის მასის შემცირებას.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ბანკის მიერ, 2018 წლის 6 სექტემბრიდან აღნიშნული სარეზერვო მოთხოვნები მნიშვნელოვნად შეიცვალა უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის. მაგალითად, ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის მინიმალური სარეზერვო ნორმა 5 პროცენტით (20-დან 25 პროცენტამდე) გაიზარდა, ხოლო ერთიდან ორ წლამდე ვადიანობის მოზიდულ სახსრებზე უცვლელად კვლავ 10 პროცენტით განისაზღვრა (ორ წელზე მეტი ვადიანობის ნასესხევი სახსრები თავისუფალია სარეზერვო მოთხოვნებისგან. ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის მინიმალური სარეზერვო ნორმა კი არის უცვლელად 5 პროცენტი) რამაც რა თქმა უნდა ნეგატიურად იმოქმედა ლარის გაცვლით კურსზე.

ასევე საყურადღებოა, სავალუტო ინტერვენციების ჭრილში საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა. როგორც ვიცით, სავალუტო ბაზარზე სავალუტო აუქციონების საშუალე-

ბით, სებ-ი ახორციელებს ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს სავალუტო აუქციონით სებ-ის წმინდა შესყიდვებმა (შესყიდვებს მინუს გაყიდვები) 197.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარზე გაზრდილი მოთხოვნის მიუხედავად, რაც განსაკუთრებით 2018 წლის აგვისტო-ნოემბრის თვეებში დაფიქსირდა, ცერნტრალურ ბანკს ბაზარზე აშშ დოლარის გაყიდვა საერთოდ არ განუხორციელებია, უფრო მეტიც აღნიშნულ პერიოდში მან ბაზრიდან დამატებით 62.5 მლნ აშშ დოლარი, ხოლო 2018 წელს ჯამურად 197.5 მლნ აშშ დოლარი ამოიღო. 2018 წელს სებ-ის მიერ სავალუტო ინტერვენციების მხოლოდ აშშ დოლარის შესყიდვის მიზნით განხორციელება, ცენტრალური ბანკის მხრიდან, თავისი ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების შევსების საჭიროებით იქნა ახსნილი. როგორც ვიცით, რეზერვების ადეკვატურობის შეფასებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ARA (Assessing Reserve Adequacy) მეთოდოლოგიის თანახმად, საქართველოსათვის ადეკვატურობის მაჩვენებელი 100-დან - 150 პროცენტამდე უნდა მერყეობდეს. (2018 წელს სებ-ის საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის მინიმალური დონე დადგენილ მინიმალურ ზღვარს დაუახლოვდა). თუმცა რეზერვების ნორმის შეფასების მიზნით, ასევე გამოიყენება იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი, რომლის თანახმად ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები მომდევნო სამი თვის იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებელს უნდა აღემატებოდეს (შესაბამისად კოეფიციენტი უნდა იყოს 3-ზე მეტი) რასაც ეროვნული ბანკი წარმატების ახორციელებს. აქვე დავსძენთ, რომ საერთაშორისო რეზერვები თავისი შინაარსით, სწორედ ქვეყნის ეკონომიკისთვის კრიტიკულ სიტუაციაში უნდა იქნეს გამოყენებული.

აქვე საყურადღებოა ისიც, რომ 2019 წლიდან ცენტრალურმა ბანკმა სწორედ საერთაშორისო რეზერვების შევსების მიზნით, ახალი ფინანსური ინსტრუმენტით - სავალუტო ოპციონებით ვაჭრობა დაიწყო. სებ-ი მთელი წლის განმავლობაში ყოველთვე

მოახდენს ერთთვიანი ოფციონის გაყიდვას 50 მლნ ლარის ყიდვის უფლებით (თუმცა აღნიშნული მოცულობა შეიძლება დაკორექტირდეს ბაზრის პირობების ცვლილების გათვალისწინებით).

რაც შეეხება ფისკალურ პოლიტიკას, როგორც ვიცით, ქვეყნის ფისკალურ პოლიტიკას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე. კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ხარჯვითი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, როდესაც იზრდება ბაზრისათვის ლარის მიწოდება, ეს შესაძლოა გახდეს ეროვნული ვალუტის გაუფასურების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი. თუმცა, საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახადელების გეგმური და ფაქტიური შესრულების მაჩვენებლების დინამიკის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ მთელი წლის განმავლობაში (დეკემბრის თვის გარდა) საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა სტაბილურობით ხასიათდებოდა და შესაბამისად ის, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლარის გაუფასურების მიზეზი. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის დინამიკაც. როგორც ვიცით ლარის გაუფასურების პირობებში საგარეო ვალის მოცულობა (ლარში) და ტვირთი კიდევ უფრო იზრდება, რაც თავის მხრივ ასევე ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ და ზოგადად ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 5 434.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების, ასევე ქვეყანაში სესხის არსებული მაღალი დოლარიზაციის (57.0 პროცენტი) პირობებში, კიდევ უფრო მეტად მძიმდება იმ მსესხებელთა მომსახურების ტვირთი, რომელებსაც საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებისგან ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში აქვთ აღებული. ვინაიდან მსესხებელთა უდიდესი ნაწილი, შემოსავლებს ლარში იღებს, ხოლო ვალდებულებები დოლარში უფიქსირდებათ, გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილება ამცირებს მათ გადახდისუნარიანობას. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველო ძირითადად მოხმარებაზე (იმპორტზე) დამოკიდებულ ქვეყანას მიეკუთვნება, ამასთან სამომხმარებლო კალათაში მნიშ-

ვნელოვანი ხვედრითი წილი სწორედ იმპორტირებულ საქონელს უკავია, რის გამოც ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად, იმპორტირებულ საქონელზე გაზრდილი ფასები, რა თქმა უნდა ნეგატიურად აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ხელს უწყობს მათ კიდევ უფრო მეტად გაღარიბებას.

ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ექსპორტზე. მაგალითად, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება, იწვევს ქვეყნის ექსპორტის ზრდას. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, ჩვენ მივიღეთ, საპირისპირო შედეგი. კერძოდ, ლარის გაუფასურებამ ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტის ზრდის სტიმულირების ნაცვლად, პირიქით იმპორტირებულ საქონელზე გაზრდილი მოთხოვნა განაპირობა.

დასკვნა-რეკომენდაციები

1. საჭიროა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების თანმიმდევრული და ეფექტიანი, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება.

2. საქონლით ვაჭრობის დეფიციტის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა და გამოყენება.

3. ასევე მნიშვნელოვანია, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება.

4. დე-დოლარიზაციის მიზნით ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ მაღალია ქვეყანაში დოლარიზაციის მაჩვენებელი, ამიტომ საჭიროა ლარიზაციის ზრდის მიმართულებით კიდევ უფრო აქტიური და ქმედითი ღონისძიებების გატარება, რაც საბოლოო ანგარიშით ქვეყნის ეროვნული ვალუტისადმი ნდობის ამაღლებით და დოლარიზაციის შემცირებით უნდა გამოიხატოს.

5. და ბოლოს, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან პერიოდში სტაბილურობის მიღწევის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სებ-ის მიერ

მოხდეს მაქსიმალურად მოქნილი და თანმიმდევრული მონეტარული პოლიტიკის განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №10/04, ,,კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე", მუხლი 2, თბ., 2011 წლის 11 თებერვალი.

2. საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", მუხლი 3, თბ., 2009 წლის 24 სექტემბერი,

3. ,,საქართველოს 2019-2021 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ", საქართველოს პარლამენტის დადგენილება, ქუთაისი, 22 დეკემბერი, 2018 წელი.

REFERENCES

1. The Decree No.10 / 04 of the President of the National Bank of Georgia on "Approval of the Rules for Maintaining the Minimum Reserve Requirements by Commercial Banks", Article 2, Tb., 11 February 2011.

2. Law of Georgia on "National Bank of Georgia", Article 3, Tb., 24 September 2009.

3. "Main Trends of Money-Credit and Currency Policy of Georgia 2019-2021", Decree of Parliament of Georgia, Kutaisi, 22 December, 2018.

MODERN CHALLENGES AND THE FACTORS AFFECTING THE DEVALUATION OF THE NATIONAL CURRENCY OF GEORGIA

Nona Kavtaradze,
Academic Doctor of Business Administration,
Associate Professor at Georgian National University

RESUME

The article describes the complex analysis of the endogenous and exogenous factors as stabilizing the exchange rate of the national currency (GEL). The main directions of monetary and credit policy of the National Bank of Georgia are discussed. The basic tools of monetary policy are analyzed in detail, namely, the monetary policy rate, minimum reserve requirements, central bank's currency interventions, etc. The negative results of national currency devaluation are revealed in the socio-economic sphere of the country. As a result of the analysis of these issues, proposals and recommendations will be implemented, which will facilitate the reduction of negative influence of domestic and foreign factors acting on the stability of GEL exchange rate.

Key words: Payment Balance, current account, trade deficit, direct foreign investment, devaluation, monetary policy.

საცალო ბინების მეორული და ახალი ბაზრის ქცევა ქართულ მაგალითზე

სოფია გოლეთიანი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში სავაჭრო ბაზარი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ ფონზე, საინტერესოა უძრავი ქონების ბაზარი, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთ-ერთი წამყვანი დარგის სტატუსს ინარჩუნებს.

ქვეყნის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესწავლა მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა ამ ბაზრის სუბიექტების წარმატებული ფუნქციონირებისთვის. განსაკუთრებით, იმ არასტაბილურ გარემოში, რომელიც დღეს ქვეყანაშია, აუცილებელია, ზუსტად ვიცოდეთ უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პერსპექტივები და მიმართულებები.

სტატიაში გაანალიზებული და განხილულია უძრავი ქონების ახალი და მეორეული ბაზარის პლატფორმა და მისი თავისებურებები .

დღეს უძრავი ქონების ბაზარი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში. იგი პირდაპირ კავშირშია ნებისმიერი საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან და, ასევე, სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ხალხის ინტერესებთანაც.

მსოფლიო ბაზარზე უძრავი ქონების ბაზრის ინფრასტრუქტურა სწრაფად ვითარდება, თუმცა მისი განვითარება არათანმიმდევრულია, როგორც თავად ბაზარი.

უძრავი ქონების ბაზარზე, სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად, მრავლად არის წარმოდგენილი სხვადასხვა კერძო ფირმები, სააგენტოები, რომლებიც იურიდიულად შუამავლობენ საბანკო ოპერაციებში და მონაწილეობენ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, ან გაქირავების პროცესში, იურისტები, რომლებიც სპეციალიზდებიან საბინაო ტრანზაქციებზე და სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ საცხოვრებელი უძრავი ქონების შეფასებასა და კვლევას.

საკვანძო სიტყვები: საცხოვრებელი უძრავი ქონება, პროექტები, ტრანზაქციები.

ძირითადი ტექსტი

უძრავი ქონების ბაზარზე არსებობს ორი ძირითადი ბაზარი: პირველადი და მეორადი.

პირველად ბაზარზე უძრავი ქონების პროდუქტი პირველადად გამოდის. ამ კუთხით, უძრავი ქონების ძირითადი გამყიდველები არიან როგორც სახელმწიფო და სამშენებლო კომპანიები-დეველოპერები, აგრეთვე საცხოვრებელი თუ კომერციული უძრავი ქონების მომწოდებელი პირებიც.

მეორად ბაზარზე უძრავი ქონება წარმოდგენილია, როგორც უკვე გარკვეული დანიშნულებით გამოყენებული ფართი, აქაც მფლობელები ფიზიკური და იურიდიული პირები არიან. მეორად ბაზარზე ჭარბად არის წარმოდგენილი პოსტ-საბჭოური საცხოვრებელი ფართები.

არქიტექტურაში არსებობს ტერმინები, რომლებიც განსაზღვრავს შენობა-ნაგებობების მდგომარეობას, ესენია: მორალური და ფიზიკური ცვეთა. მორალური ცვეთა გულისხმობს თანამედროვე მოთხოვნებთან შეუთავსებლობას დიზაინის თვალსაზრისით. ეს ის შენობებია, რომლებიც ძველმოდურ სტილში არის აშენებული. შესაძლებელია, ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ ჰქონდეს ექსპლუატაციის ვადა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ დღესდღეობით აქტიურად მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული ნაგებობების აშენება, ეს შენობები უკვე მოითხოვს რეკონსტრუქციას და განახლებას, რადგან

მოხდეს ძველი და ახალი შენობების შერწყმა, რაც გაალამაზებს ქალაქის იერსახეს. ხოლო ფიზიკური ცვეთა გულისხმობს, შენობის ექსპლუატაციის ვადის ამოწურვას. ძირითად შემთხვევებში, არ ხდება ასეთი შენობების დემონტაჟი და მოსახლეობა განაგრძობს ცხოვრებას, რაც დაუშვებელია. უფრო მეტიც, ნაცვლად იმისა, რომ ამ შენობებს ჩაუტარდეს მინიმუმ რესტავრაცია, ხალხი ხელოვნურად ზრდის საცხოვრებელ ფართს სხვადასხვა ხერხით, ესენია: კორპუსზე მიშენებები, სხვენის აწევა და სარდაფის საცხოვრებელ სართულებად გადაკეთება, მათ არ აქვთ დამოუკიდებელი საყრდენი და ეს კონსტრუქციები აწვება კორპუსის საძირკველს.

საბჭოთა პერიოდში აშენებული კორპუსები თითქმის ერთმანეთის იდენტურია. მათი აშენების მეთოდიკა მსგავსია და ყველა კორპუსი აშენებულია „დომინოს პრინციპით", რაც ნიშნავს იმას, რომ ამ კორპუსების გადაკეთება, თვითნებურად გადატიხვრა, მიშენება თუ სხვენის აწევა ფატალურ შედეგებამდე მიგვიყვანს.

ამ შენობების საშენი მასალა დამზადებული სახით შემოდიოდა საქართველოში და ადგილზე ხდებოდა მათი აწყობა. ეს საშენი მასალა იყო ძალიან მყარი და დღესაც კონკურენციას უწევს თანამედროვე კორპუსების ასაშენებლად გამოყენებულ მასალებს. ერთადერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, რაც შეიძლება მოვუძებნოთ საბჭოთა პერიოდში აშენებულ კორპუსებს, არის ის მასალა, ის დამხმარე ლითონის დეტალები, რომლითაც ხდებოდა ბეტონის პანელების შედუღება, რადგან ისინი ქიმიურად არის შეუთავსებელი. მშენებლობისას იყენებდნენ სილიკატურ აგურსაც, რომელიც იმ დროისთვისაც კი აკრძალული იყო. დღესდღეობით, ანაკრები მეთოდით აღარ შენდება კორპუსები, დღეს უკვე მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციები გამოიყენება და ადგილზე ხდება მათი შედუღება, ბეტონის ჩასხმა. ასევე, კორპუსების გადასახური მასალა (შიფერი/გოგირდი) ხმარებიდან ამოიღეს, რადგან იგი კლიმატის ცვალებადობასთან ერთად გამოყოფს ისეთ ნივთიერებებს, რომელიც საზიანოა ჯანმრთელობისთვის და იწვევს სიმსივნეს. გარდა

ამისა, დროთა განმავლობაში, შეიცვალა მიწისქვეშა წყლების გადინების კალაპოტი, რის გამოც ამ შენობების უმრავლესობა ავარიულია. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მხოლოდ გრუნტის წყლების ამოტუმბვა არ არის საკმარისი. საბოლოო პრევენციისთვის საჭიროა წყლის ამოტუმბვისგან წარმოქმნილი ეროზიული პროცესების შეჩერება, რაც ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

მსოფლიოში სეისმური აქტივობები შეიცვალა, რაც იმას გულისხმობს , რომ კონკრეტული ქანების მიხედვით აშენებული შენობები, რომლებიც გარკვეულ ბალიან მიწისძვრაზე იყო ადაპტირებული, დღეს სრულიად შეუსაბამოა იმ მიზეზით, რომ იგივე ქანების სეისმურად მდგრადობა აბსოლუტურად განსხვავებულია (მაგ: შენობა, რომელიც გათვლილი იყო 7 ბალიან მიწისძვრაზე 60 წლის წინ, დღეს ამ ტერიტორიაზე აშენებული შენობა გათვლილი უნდა იყოს 7-8 ბალიან სისტემაზე ან ნაკლებზე, თუმცა ეს უკანასკნელი პრობლემას არ წარმოადგენს).

ბოლო პერიოდში დიდი ხმაური იყო ატეხილი „ხრუშჩოვკის“ ტიპის ბინების გარშემო. მუსირებდა აზრი მათი დანგრევის შესახებ, რაც მოსახელობის გაღიზიანების მიზეზი იყო.

თბილისში სულ 508 ხრუშჩოვის პროექტის კორპუსია. ეს კორპუსები გაფანტულია ქალაქის მასშტაბით, ხოლო მათი ძირითადი უმრავლესობა განაწილებულია ვაჟა-ფშაველას კვარტლებზე, დიღმისა და ვარკეთილის მასივებზე. ხრუშჩოვის პროექტის ერთი სტანდარტული კორპუსის მოცულობითი ფართობი 801,85 კვ.მ-ია, ამავე კორპუსის საცხოვრებელი ფართი - 2,500 კვ.მ-ია, ხოლო თბილისში არსებული ხრუშჩოვის პროექტის მთლიანი საცხოვრებელი ფართი 1,066,800 კვ.მ-ს შეადგენს.

1940-1990 წლის ჩათვლით ხრუშჩოვის პროექტის ბინების საცხოვრებელი ფართი ქ. თბილისში არსებული მთლიანი საცხოვრებელი ფართის 8%-ს შეადგენდა, დღეს კი ეს მაჩვენებელი 4 %-მდე არის შემცირებული.

მათი აშენების პერიოდია მე-20 საუკუნის 60-იან წლები, სართულების რ-ბა 4-5 სართული, ჭერის სიმაღლე 2,5 -2,65 მ, სამ-

შენებლო მასალა ბეტონის პანელი/აგური, სამშენებლო მეთოდი გახლავთ ანაკრები მეთოდი. ბინების რ-ბა სართულზე კი 3 ბინაა. ლიფტი კორპუსებში არ არის.

1947-51 წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ურბანიზაციულმა ფაქტორებმა გააჩინა მოთხოვნა, მცირე დროში, ნაკლები დანახარჯებით აშენებულიყო კომპაქტური საცხოვრებელი კორპუსები.

1950 წელს მოსკოვში არქიტექტორთა ყრილობაზე, რომელსაც იმხანად მოსკოვის საქალაქო პარტკომის თავმჯდომარე ხრუშჩოვი ხელმძღვანელობდა, გადაწყდა ბეტონის ფილების ჩამომსხმელი ქარხნების გახსნა, რომელიც მზა ბეტონის პანელებს უწყვეტად მიაწოდებდა მშენებლობის პროცესს.

მეორე სამამულო ომის შემდეგ, ქალაქები იყო დაცლილი. ქარხნების მშენებლობას ის მიზანიც ჰქონდა, რომ მოსახლეობა ჩამოეყვანათ სოფლიდან ქალაქში და დაესაქმებინათ.

1956 წლიდან გამოჩნდა პირველი პროექტი, რომელიც ხრუშჩოვის სახელით გახდა ცნობილი. კორპუსები ანაკრები მეთოდით იყო ნაშენები. მასალები მზა სახით შემოდიოდა საქართველოშიც და ადგილზევე ხდებოდა მათი აწყობა. კორპუსებს ხრუშჩოვის პროექტი დაერქვა, რადგან ხრუშჩოვის პერიოდში მოხდა მათი აშენება. ზოგადად, მოდელი, მიზნად ისახავდა სტანდარტულ შემჭიდროვებას, ტრანსპორტის თავისუფლად მიმოსვლას, გამწვანებას, სპორტულ მოედნებს, საბავშვო ბაქნებს, სკოლებს, ბაგა-ბაღებს, სამედიცინო დაწესებულებას, რომლებიც, როგორც ადამიანების კომპფორტისთვის იყო გამიზნული, აგრეთვე ქალაქგეგმარებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება გახლდათ. კვარტლებში გაშენებული 4 და 5 სართულიანი პროექტები ევროპაში არსებული სახლების მოდელს წააგავდა.

იმ პერიოდში, სახელმწიფოს მხრიდან ხარისხის რეგულაციების არ არსებობამ პროცესი სწრაფი და ეკონომიური გახადა. მშენებლობის ციკლი ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით 80-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა.

ფასადის გაფორმება არ ითვალსინინებდა ბათქაშსა და სხვა დეკორატიულ ელემენტებს. ადვილად ნგრევადი „ხრუშჩოვკე-

ბის" სერია საბინაო პრობლემის დროებით გადასაწყვეტად აშენდა და მათი ექპსლუატაციის ვადა 50 წელზე იყო გათვლილი. გვიანდელი გამოკვლევით დადგინდა, რომ კორპუსების ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივება 150 წლამდე იყო შესაძლებელი, თუკი დროული გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდებოდა.

დროთა განმავლობაში მოსახლეობამ საკუთარი ძალებით, თვითნებურად დაიწყო სახლების ინფრასტრუქტურის ცვლილება - მიშენებები და ზემოდან დაშენებები, რამაც კორპუსების საძირკველზე დატვირთულობა და შემდგომში მათი მწყობრიდან გამოსვლა გამოიწვია. აღნიშნული ქმედებები იმ პერიოდში არ იზღუდებოდა კანონით.

დღეს ხშირია შემთხვევები, როცა კორპუსებს გარედან შემორტყმული აქვთ გასამაგრებლად ლითონის სარტყლები. კორპუსების უმეტეს ნაწილს აღნიშნული სამუშაოები ჩაუტარდა დაგვიანებით, რამაც ვერ უზრუნველყო სასიცოცხლო ციკლის განხანგრძლივება და მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი.

მიუხედავად იმისა, რომ „ხრუშჩოვკის" პროექტის საცხოვრებელ ბინებს ექსპლუატაციის ვადა გასული აქვთ, თბილისში ვაჟა-ფშაველას კვარტლებში გვხვდება ყველზე მყარი სახით.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პირობებისა, უძრავი ქონების ბაზარი სწრაფად ვითარდება თავისი კანონებისა და ქცევების მიხედვით. საქართველოში 2006 წლიდან უძრავი ქონების ბაზარზე ახალი ბინების მშენებლობა აქტიურად დაიწყო.

თბილისის მასშტაბით დასრულებული მშენებლობების დინამიკა წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

პარამეტრი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
რაოდენობა	166	163	192	201	202	336	493	1431	937	646	933
ფართობი, $მ^2$	95,086	128,400	269,170	334,470	334,684	425,669	821,126	1,588,300	1,236,585	910,568	1,551,742

2017 წელს თბილისის მასშტაბით 197 განვითარების პროექტი დასრულდა და წლის განმავლობაში 11,160 საცხოვრებელი ბინა დაემატა ადგილობრივ ბაზარს, რომელიც ასახავს 2016

წელთან შედარებით 30%-იან ზრდას. უკვე დასრულებული საცხოვრებელი ბინების 76% უკვე გაყიდულია.

ბოლო სამი წლის სტატისტიკის თანახმად, ყველაზე მსხვილი დეველოპერული კომპანია "დირსია". მიუხედავდა იმისა, რომ მას მხოლოდ ერთი პროექტი აქვს,

გაბრიელ სალოსის ქუჩაზე არსებული კომპლექსი ყველაზე მასშტაბური მშენებლობაა თბილისში. კომპანიამ „Archi Group" დედაქალაქში 14 პროექტი განახორციელა, თუმცა ის სიაში მესამე ადგილს იკავებს.

2015-2017 წლებში კომპლექსების საერთო ფართობის მიხედვით მოწინავე 5 კომპანია ასე გამოიყურება.

Dirsi - 201,137 კვ.მ

M2 - 187,477 კვ.მ

Hualing - 185,660 კვ.მ.

Archi - 151,725 კვ.მ.

Maqro Construction - 84,634 კვ.მ

პირველადი და მეორადი ბაზრები გარკვეულწილად ერთმანეთს უპირისპირდებიან, თუმცა ამავე დროს ერთმანეთს ავსებენ. მაგალითად, თუ რაიმე მიზეზით (მაგალითად, გლობალური ფინანსური კრიზისი, ბიზნესის აქტივობის შემცირება და ა.შ.) რეგიონში, მეორად ბაზარზე უძრავი ქონების მიწოდება იზრდება, ძირითადი ბაზრის მოთხოვნები და ფასები ავტომატურად ეცემა.

პოსტ-საბჭოურ სივრცეში წარმოდგენილ ქვეყნებში, მეორადი ბაზრის უძრავი ქონების გაყიდვები სჭარბობდა გარკვეული პერიოდი, თუმცა, კომერციული და საცხოვრებელი ფართის ინტენსიური მშენებლობის შედეგად, ბოლო წლების მონაცემებით, საქართველოში, გაყიდვების კუთხით, პირველად ბაზარზე არსებულმა ბინებმა გადააჭარბა.

ბოლო სამი წლის გაყიდვების ტრანზაქციები ერთეულ რ-ბაში ასე გამოიყურება:



ცალსახაა, რომ ძველი აშენებული ბინები ახალ აშენებულთან პროცენტულად უფრო ნაკლებია. 2016 წელს - 47 %-ია, 2017 წელს - 42%, 2018 წელის კი - 39%.

შესაბამისად, თანხებიც ტრანზაქციების მიხედვით ადექვატურია:



თუმცა, როგორც დიაგრამაზე ჩანს, 2018 წელს გაყიდული ბინების საერთო წილში - ძველი ბინები მხოლოდ 33%-ით იყო წარმოდგენილი, საერთო ჯამში კი წინა წელთან მიმართებაში გაყიდული ბინების ჯამური თანხა 42%-ით გაიზარდა.

დასკვნა

საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის ძირითადი ტენდენციები ადასტურებენ, რომ საცხოვრებელი სექტორის განვითარებამ ადგილობრივ ბაზარზე გააძლიერა საბინაო ერთეულის მიწოდების დაჩქარებული ტემპი, რასაც მოჰყვება მოთხოვნის შესაბამისი კურსი, ეს კი ცალსახად ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბაზრის მოთამაშეებს, გააფართოვონ თავიანთი განვითარება დიდ ქალაქებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/
2. ეროვნული ბანკის სააგენტო https://www.nbg.gov.ge/
3. https://www2.colliers.com/
4. თ. შენგელია (2010) საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში.კრებული: ინოვაციები ბიზნესში

REFERENCES:

1. Tbilisi , National Statistics Office of Georgia http://www.geostat.ge/
2. National Agency of Public Registry https://napr.gov.ge
3. https://www2.colliers.com/
4. T. Shengelia (2010) International Business Investment Environment in Georgia. Collection: Innovations in Business

THE PRIMARY AND SECONDARY RESIDENTIAL MARKET BEHAVIOR IN GEORGIAN MODEL

Sofia Goletiani - Doctoral Student of
Georgian Technical University

Resume

The process of formulating the market economy makes a great impact on the country's economy. In this case, real estate, one of the most leading field in the recent years, is considered as the attractive market.

The development and establishment of country's residential real estate market is the essential and crucial part for successful functioning of this market and for people involved. Especially, in the unstable environment in which country is nowadays, it is essential to know exactly what perspectives do the real estate market has.

The article analyzes and discusses the primary and secondary real estate market platforms and features.

Currently, the real estate market has a special place in the social and economic relations. It is not only directly connected to every enterprise's business process but to people employed in various fields.

The Real estate market's infrastructure is developing very fast at the global level however the development process is not consistent like the market itself. The Real estate market together with the governmental organizations represents the wide range of private firms, agencies that juridically are mediating throughout the banking operations, the trading, renting process, lawyers that specialize on residential transactions and specialists that implementing residential real estate market valuation and research.

Key words: Residential property, Project, Transactions.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა - კონკურენციის ეფექტიანი მექანიზმი

თამარ თალაკვაძე
სტუ-ს დოქტორანტი

„ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ეს არის ბიზნესის კეთილი ნება გადაჭრას ის პრობლემები, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ბიზნესის საქმიანობით.” გორდონ პიტჩი[1]

რეზიუმე

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი დღევანდელ პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. თითოეულმა კომპანიამ იქნება ეს მსხვილი, საშუალო, თუ მცირე ბიზნესი უნდა აიღოს სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ზოგადად საზოგადოების ასევე თითოეული დასაქმებულის წინაშე. ამისათვის სათანადოდ უნდა უზრუნველყოს დასაქმებულის ზეგანაკვეთური სამუშაოების ანაზღაურება, უზრუნველყოს მათი ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხი და შესთავაზოს სათანადო და უსაფრთხო სამუშაო პირობები. ამასთან მისი საქმიანობით ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს, არამედ უნდა იცავდეს მას. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა არამხოლოდ საზოგადოების, არამედ ბიზნესის ინტერესებში შედის. ვინაიდან მცირდება საოპერაციო ხარჯები, რისკის დონე, იზრდება კომპანიის იმიჯი, ბრენდის ცნობადობა, გაყიდვები, კლიენტთა კმაყოფილება, თანამშრომელთა მოტივაცია და მოზიდული ინვესტიციების მოცულობა.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, სოციალური პასუხისმგებლობა.

---

1 ლექვინაძე, ი. (2014 წლის 19. 6). ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში. Forbes Georgia: http://forbes.ge-დან

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ქვეყანამ მიაღწია ცხოვრების მაღალ დონეს და შექმნა დიდი მატერიალური დოვლათი მოსახლეობის არცთუ ისე მცირე ნაწილი დღემდე შიმშილობს. მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის არსებული სხვაობა წლიდან წლამდე იზრდება. ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა, სიღარიბესთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და ჯანსაღი კონკურენციის დაცვაა. ასეთ პირობებში, ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, სულ უფრო და უფრო მეტ დატვირთვას იძენს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი. რაც განპირობებულია ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებებით, როგორებიცაა: ეკონომიკის ზრდის არამატერიალური ფაქტორების როლის გადიდება, ადამიანის შრომითი უფლებების დაცვის პრიორიტეტულობა და სხვა.

ძირითადი ტექსტი

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის კომპანიის კეთილი ნება, კანონით ნაკისრზე მეტი ვალდებულება აიღოს საკუთარ თავზე და ეთიკური ქმედების ფარგლებში მეტი სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფერო აერთიანებს 3 სუბიექტს: სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ბიზნესს. მათ შორის ე.წ შუამავალი კი მედიაა. რომლის თავისუფლების და მიუკერძოებლობის დონე განაპირობებს ამ სუბიექტთა შორის კომუნიკაციის ხარისხს.

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას ხშირად აიგივებენ ქველმოქმედებასთან, რომელიც მოიცავს მას თუმცა არ შემოიფარგლება ქველმოქმედებით. ის ორგანიზაციები, რომლებსაც დანერგილი აქვთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა თავიანთ კომპანიებში, შიდა პოლიტიკასა და პროგრამებს ავითარებენ თანამშრომლებთან ურთიერთობის, საზოგადოების განვითარების, გარემოსდაცვითი მართვის, საერთაშორისო ურთიერთობების, საბაზრო პრაქტიკების, ფისკალური პასუხისმგებლობის და ანგარიშების სფეროებში.

ამგვარად, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს, პასუხისმგებლიანი ბიზნესის კეთებას, საზოგადოების სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით. საბოლოოდ კი ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. ვინაიდან კომპანია რომელიც იღებს ამ პასუხისმგებლობას მაქსიმალურად ცდილობს მისი ქმედებით მეტი სარგებელი და ნაკლები ზიანი მიაყენოს საზოგადოებას.

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ისტორია 14 წელს ითვლის. საკითხმა აქტუალობა შეიძინა 2005წლიდან, მაშინ როდესაც პირველი შეხვედრა ჩატარდა ქართულ არასამთავრობო კომპანიებსა და ბიზნესმენებს შორის. სწორედ ამ შეხვედრაზე მიიღეს პირველი მემორანდუმი სოციალური თანამშრომლობის შესახებ. სამწუხაროდ, საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მხოლოდ ერთი კვლევა ჩატარდა. კვლევა ფონდმა „ჰორიზონტმა“ „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში“ ჩაატარა. კვლევის ძირითადი მიზანი იყო ქართული ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხის წარმოჩენა. ძირითადად ყურადღება ეთმობოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ადამიანური რესურსები და მათი სწავლება; წახალისების და დაზღვევის სისტემები; მომხმარებელთან ურთიერთობა; სოციალური პროექტების დაფინანსება და სხვა. გამოკითხული 63 კომპანიიდან 28 მიეკუთვნებოდა მსხვილ ბიზნესს, ხოლო 35 საშუალოს. მთავარი პრობლემა გახლდათ ის, რომ გამოკითხულ კომპანიათა 22% საერთოდ არ გამოყოფდა თანხებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სამწუხარო რეალობაა ის, რომ ძალიან მცირეა იმ კომპანიათა რაოდენობა, რომლებიც აზღვევს თანამშრომელთა სიცოცხლეს. ასეთ კომპანიათა რაოდენობა იყო მხოლოდ 19%. გამოკითხულ კომპანიათაგან 12 კომპანია საერთოდ არ იღებდა მონაწილეობას სოციალურ პროექტებში.

კვლევა მოიცავდა 12 შეკითხვას, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორი წახალისების სისტემებს იყენებენ კომპანიები თანამშრომელთა მოტივაციის ასამაღლებლად. კვ-

ლევის ობიექტებია წახალისების სამი ფორმა: ფულადი პრემია, ხელფასის მომატება და დასაჩუქრება. აქედან ფულად პრემიებს ერთნაირი სიხშირით იყენებენ როგორც საშუალო, ისე მხვილი კომპანიებიც, ხელფასის მომატებას უფრო ხშირად მიმართავენ საშუალო კომპანიები. დასაჩუქრებას - მსხვილი კომპანიები.[1]

ჩვენი რეკომენდაციით, თითოეულმა კომპანიამ იქნება ეს მსხვილი ბიზნესი და მცირე უნდა აიღოს სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ზოგადად საზოგადოების ასევე თითოეული დასაქმებულის წინაშე. ამისათვის სათანადოდ უნდა უზრუნველყოს დასაქმებულის ზეგანაკვეთური სამუშაო საათების ანაზღაურება, მათი ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხი და შესთავაზოს სათანადო და უსაფრთხო სამუშაო გარემო-პირობები. ასევე მისი საქმიანობით ზიანი არ უნდა მიაყენოს გარემოს, პირიქით უნდა დაიცვას იგი.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ზრდა არამხოლოდ საზოგადოების, არამედ ბიზნესის ინტერესებში შედის. ვინაიდან მცირდება საოპერაციო ხარჯები, რისკის დონე, იზრდება კომპანიის იმიჯი, ბრენდის ცნობადობა, გაყიდვები, კლიენტთა კმაყოფილება, თანამშრომლების მოტივაცია და მოზიდული სოციალური ინვესტიციების მოცულობა.

ჩვენი აზრით, ბიზნესი უნდა მოქმედებდეს შემდეგი პრინციპებით:

1) ღიაობა და პატიოსნება.

2) კლიენტის მოთხოვნაზე რეაგირება და პასუხისმგებლობა.

3) კომპეტენტურად და სანდოდ მოქმედება.

4) თანამშრომლებთან და მომხმარებელთან სამართლიანი ურთიერთობა.

5) კანონის ფარგლებში საქმიანობა.

6) ეთიკურობა

7) საზოგადოებაზე ზრუნვა, რაც კარგად გამოიხატება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობით.

---

1 შენგელია, ქ. (2018). ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების ძირითადი ტენდენციები საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება'' N7 , 493-497.

დასკვნა

ამგავრად, ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას ნებაყოფლობით იღებს კომპანია და მის ფარგლებში ანგარიშს უწევს მომხმარებელს, მომწოდებლებს, თანამშრომლებს, ბიზნეს პარტნიორებს და ზოგადად სოციუმს. მართალია კანონი არეგულირებს და ჩარჩოში აქცევს კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის წესსა და სტანდარტებს. თუმცა, ბიზნესისს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კომპანიის საქმინობა გაცილებით სასარგებლოა საზოგადოებისთვის. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ პირობებში, როცა ასე გაიზარდა ეკოლოგიური საფრთხეების რისკი, შემოსავლების არათანაბარი განაწილება, სიღარიბის დონე და ადამიანთა უფლებების შელახვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ქეთევან შენგელია, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების ძირითადი ტენდენციები საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი ,,სეუ და მეცნიერება'' N 7. 2018 წელი გვ: 493-497.

2) ირაკლი ლექვინაძე, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში. Forbes Georgia, 19 ივნისი, 2014 წელი.

REFERENCES:

1) Ketevan Shengelia, The main tendencias of raising of the social responsibilties of the business in Georgia. Scientific journal ''SEU and Science''N7. 2018 year. P 493-497.

2) Irakli Lekvinadze, The social responsibility of the business in Georgia. Forbes Georgia. 19 june, 2014 year.

THE SOCIAL RESPONSIBILITY OF THE BUSINESS, AS THE EFFECTIVE MECHANISM OF COMPETITION

Tamar Talakvadze
Doctoral Student of GTU

RESUME

The social responsibility of the business is very actual today. Each company has to take some social responsibility as the public, also as the employee. It's necessary to pay to the employees overtime, to ensure their health and life, to offer more opportunities and the safe working environmental conditions. The social responsibility is so important for society and also for companies. This case is very important for companies because of several reasons, such as: company's image, brand awareness, sales, customer satisfaction and motivation of employees.

Key words: business, social responsibility.

საავტომობილო ტრანსპორტის ზეგავლენა ქალაქის ეკოლოგიურ გარემოზე

ბაბლუანი მაკრინე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მშპ-ს შექმნაში უდიდესი წვლილი შეაქვს სატრანსპორტო სისტემას, მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების გამართულ ფუნქციონირებას. საავტომობილო ტრანსპოტი, თანამედროვე ქალაქებში მოსახლეობის თავმოყრის მიზეზი გახდა, რთულია დღევანდელობის წარმოდგენაც კი, საქალაქო ტრანსპორტის გარეშე. მზარდი მობილურობა, სატვირთო გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანის მაღალი სიჩქარეები, კომფორტი და საგზაო ტრანსპორტის სხვა დადებითი თვისებები იწვევს საქალაქო ტრანსპორტზე მოთხოვნის მაღალი ტემპით ზრდას. იმ უპირატესობასთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებას განვითარებული სატრანსპორტო ქსელით, მას ასევე თან ახლავს უარყოფით შედეგებიც - ტრანსპორტის უარყოფითი გავლენა გარემოზე. ავტოპარკი, პრაქტიკულად, გარემოს დაბინძურების ძირითად წყაროს წარმოადგენს, იგი ქმნის ხმაურისა და ვიბრაციის მაღალ დონეს ქალაქში. ავტომობილის ექსპლუატაციიდან გამოწვეული ეკოლოგიური ზარალი გამოწვეულია ტოქსიკური ემისიებით, ყოველწლიურად, ატმოსფეროში 12 მლნ ტონა სხვადასხვა დამაბინძურებლები გამოიყოფა: ნახშირბადის მონოქსიდი, აზოტისა და გოგირდის ოქსიდები, ნახშირწყალბადები, ჭვარტლი და სხვა.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ქალაქები; ხმაური, გამონაბოლქვი, ეკოლოგია, დაბინძურება, საწვავი, ტრანსპორტი.

ძირითადი ტექსტი

ყოველწლიურად, ასობით მილიონი ტონა მავნე ნივთიერებები აბინძურებს ატმოსფეროს და ეს არ არის მხოლოდ გამონაბოლქვი აირები. მანქანა - ხმაურის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. საგზაო ქსელი, განსაკუთრებით ურბანული აგლომერაციების მახლობლად "ანადგურებს" სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს. საგზაო ტრანსპორტის მავნე ზემოქმედების გავლენის ქვეშ ადამიანების ჯანმრთელობა უარესდება, ნიადაგი და წყლის ობიექტები იწამლება და მცენარეული და ცხოველური სამყარო ძალიან დიდ ზარალს განიცდის. თანამედროვე ქალაქებში, სადაც მუდმივად იზრდება ავტომობილების რაოდენობა, ავტოპარკის შესწავლა ერთ ერთ გადაუდებელ ამოცანად რჩება. კერძოდ -აუცილებელია:

1. საგზაო ტრანსპორტის მავნე ზემოქმედების ბუნების შესწავლა;

2. ატმოსფეროზე საგზაო ტრანსპორტის ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინება;

3. საგზაო ტრანსპორტის, ჰიდროსფეროზე ზემოქმედების ხარისხის ანალიზი;

4. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოცემული ხმაურის და მისი ზეგავლენის ხარისხის შესწავლა.

ქალაქში ხმაურის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ტრანსპორტი, რომლის ინტენსივობა მუდმივად იზრდება. ქალაქების მთავარ ქუჩებში 90-95 დბ-ის სიხშირის ხმაურის დონე ფიქსირდება, საშუალოდ 2-3 ათასი სატრანსპორტო ერთეულის მოძრაობის ინტენსივობისას, საათში. ქუჩის ხმაურის დონე განისაზღვრება სატრანსპორტო ნაკადის ინტენსივობით, სიჩქარითა და ხასიათით.

გარდა ამისა, ხმაურის სიხშირე დამოკიდებულია ქუჩების დაგეგმვის გადაწყვეტილებებზე (ქუჩების, კორპუსების სიმაღლესა და შენობების სიგრძეზე, ქუჩების გამტარუნარიანობაზე და ა.შ). მნიშვნელოვანია ქალაქის ქუჩების გამწვანება. რის შედეგადაც, ქუჩის ხმაურის დონე, 10 დეციბელის დიაპაზონით შეიძლება შემცირდეს.

სამრეწველო ქალაქებში, სატვირთო მანქანების პროცენტული მაჩვენებლები ჩვეულებრივზე მაღალია. მძიმე სატვირთო მანქანების გადაადგილება (დიზელის ძრავები), ხელს უწყობს ხმაურის დონის ზრდას. ზოგადად, სატვირთო მანქანები ქმნიან მძიმე პირობებს ქალაქებში.

გზატკეცილის სავალ ნაწილზე წარმოქმნილი ხმაური ვრცელდება არა მხოლოდ უშუალოდ გზის მიმდებარე ტერიტორიაზე, არამედ საცხოვრებელ კორპუსებშიც აღწევს. მაგისტრალების გასწვრივ მდებარე საცხოვრებელი კვარტალები ყველაზე ძლიერი ხმაურის ზემოქმედების ზონაშია (აქ ეკვივალენტური ხმაურის დონეა 67,4 დან 76.8 დეციბელამდე). ხმაურის დონე საგზაო მაგისტრლიდან მოშორებით, საცხოვრებელ ოთახებში, ღია ფანჯრების შემთხვევაში, მხოლოდ 10-15 დეციბელით ნაკლებია.

ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალების მიერ წარმოებული ხმაური დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: ძრავის სიმძლავრეზე, მუშაობის რეჟიმზე, ტექნიკურ მდგომარეობაზე, გზის ზედაპირის ხარისხზე, გადაადგილების სიჩქარეზე. გარდა ამისა, ხმაურის დონე, ისევე, როგორც მანქანის ეფექტურობა, დამოკიდებულია მძღოლის კვალიფიკაციაზე. ძრავის ხმაური მაქსიმალურია მისი გაშვების და ძრავის გახურების დროს (10 დბ). ავტომობილის გადაადგილება პირველი სიჩქარით (40 კმ / სთ) იწვევს გადაჭარბებით საწვავის მოხმარებას, ხოლო ძრავის ხმაური 2-ჯერ აღემატება ხმაურს, რომელიც წარმოიქმნება მეორე სიჩქარით გადაადგილებისას. მნიშვნელოვანი ხმაურის გამომწვევია, მანქანების უეცარი დამუხრუჭება, მისი მაღალი სიჩქარით მოძრაობისას.

სატრანსპორტო საშუალებებით გარემოს ინტენსიური დაბინძურება ხდება კიდევ ერთი ფაქტორით. ეს ის ავტოფარეხებია, რომლებიც ღია ცის ქვეშ აქვს მოწყობილი მოსახლეობას, ქალაქების ინდივიდუალური კორპუსების ეზოებში. პერსონალური სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო მომსახურების ქსელი საკმარისად არ არის განვითარებული. ეს აიძულებს სარემონტო სამსახურის მფლობელებს, ქალაქის შუაგულში

აწარმოონ სარემონტო სამუშაოები. იგივე შეგვიძლია ვთქვათ, ავტოსამრეცხაო პუნქტებზე, ბევრი მათგანი კუსტარულად აწარმოებს სამუშაოებს და იყენებს რა სინთეთიკურ სარეცხ საშუალებებს, დაუდევრად აბინძურებს ქალაქის ქუჩებსა და საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარ ტერიტორიებს.

დასკვნა

ამჟამად, საავტომობილო ტრანსპორტი, ქალაქის დაბინძურების ერთ ერთი მთავარი წყაროა. ამ ვითარების მთავარი მიზეზი შემდეგია:

1. ეკოლოგიური საფრთხის შემცველი საავტომობილო ძრავების კონსტრუქციების და საწვავის გამოყენება;

2. ეთილირებული ბენზინისა და გოგირდის მაღალი შემცველობის დიზელის საწვავის გამოყენება არ იძლევა ნეიტრალიზაციის სისტემების და გამონაბოლქვი აირების კატალიზური წვის სისტემების გამოყენების შესაძლებლობას.

3. საქალაქო ტრანსპორტის მოცულობის სწრაფი ზრდა;

4. უცხოური ბრენდების, მეორადი ავტომობილების რიცხვის სწრაფი ზრდა, რომლებიც დაბალი ოპერაციული, ტექნიკური და გარემოსდაცვითი მონაცემებით ხასიათდებიან;

5. საგზაო მაგისტრალების ზედაპირის არასახარბიელო მდგომარეობა, განსაკუთრებით პატარა ქალაქებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Григорьева С.В. Оценка влияния автотранспорта на социально-экономическое развитие региона // Инновационное развитие экономики. 2012. № 6 (12). С. 20-24.

2. Дрябжинский О.Е., Гапоненко А.В. Перспективы развития автотранспорта под влиянием экономического и экологического факторов // Научно-методический электронный журнал Концепт. 2016. Т. 11. С. 2776-2780.

3. Недикова Е.В., Зотова К.Ю. Особенности влияния автомобильных дорог и автотранспорта на окружающую среду // Эко-

номика и экология территориальных образований. 2016. № 2. С. 82-85.

4. Ситдикова А.А., Святова Н.В., Царева И.В. Анализ влияния выбросов автотранспорта в крупном промышленном городе на состояние загрязнения атмосферного воздуха // Современные проблемы науки и образования. 2015. № 3. С. 591

5. Чумакова А.Ю., Дубовой А.Н. ВЛИЯНИЕ АВТОМОБИЛЬНОГО ТРАНСПОРТА НА БЕЗОПАСНОСТЬ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ // Студенческий: электрон. научн. журн. 2017. № 12(12). URL: https://sibac.info/journal/student/12/82092 (дата обращения: 23.01.2018).

6. Мальцева Е.В., Полянскова А.С. Компетентность учителя и ученика // Эколого-географические проблемы регионов России / Материалы II Всеросс. заоч. науч.-практ. конф. Самара: ПГСГА, 2011, С. 233-237.

7. Подгорнова Н. А. Экологические проблемы автомобильного транспорта и пути решения // Молодой ученый. — 2016. — №22.2. — С. 48-50. — URL https://moluch.ru/archive/126/33712/ (дата обращения: 22.01.2018).

8. Подгорнова Н. А. Экологические проблемы автомобильного транспорта и пути решения // Молодой ученый. — 2016. — №22.2. — С. 48-50. — URL https://moluch.ru/archive/126/33712/ (дата обращения: 22.01.2018).

REFERENCES:

1. Grigorieva S.V. Assessment of the impact of vehicles on the socio-economic development of the region // Innovative development of the economy. 2012. № 6 (12). Pp. 20-24.

2. Dryabzhinsky O.E., Gaponenko A.V. Prospects for the development of vehicles under the influence of economic and environmental factors // Scientific and methodical electronic journal Concept. 2016. T. 11. P. 2776-2780.

3. Nedikova E.V., Zotova K.Yu. Features of the impact of roads and

vehicles on the environment // Economy and Ecology of Territorial Entities. 2016. No. 2. P. 82-85.

4. Sitdikova A.A., Svyatova N.V., Tsareva I.V. Analysis of the impact of vehicle emissions in a large industrial city on the state of air pollution // Modern problems of science and education. 2015. № 3. P. 591

5. Chumakova A.Yu., Dubovoy A.N. INFLUENCE OF ROAD TRANSPORT ON ENVIRONMENTAL SAFETY // Student: electron. scientific journals 2017. No. 12 (12). URL: https://sibac.info/journal/student/12/82092 (access date: 01/23/2018).

6. Maltseva E.V., Polyanskova A.S. Competence of the teacher and student // Ecological and geographical problems of the regions of Russia / Materials II Vseross. in absentia scientific-practical conf. Samara: PGSA, 2011, p. 233-237.

7. Podgornova N. A. Environmental problems of automobile transport and solutions // Young scientist. - 2016. - №22.2. - p. 48-50. - URL https://moluch.ru/archive/126/33712/ (access date: 01.22.2018).

8. Podgornova N. A. Environmental problems of road transport and solutions **// Young scientist.** - 2016. - №22.2. - p. 48-50. - URL https://moluch.ru/archive/126/33712/ (access date: 01.22.2018).

THE IMPACT OF MOTOR TRANSPORT ON THE ECOLOGICAL ENVIRONMENT OF THE CITY

Makrine Babluani
Doctoral Student of GTU

RESUME

The analysis of dynamics of the country's GDP indicates that the GDP is contributing to the transport system, a substantial material-technical base providing the functioning of the modern industrial society. Motor transport has become the reason for the population gathering in modern towns, it is difficult to present even today without the city transport. Increasing mobility, high traffic, comfort and passenger transportation, and other positive features of road transport lead to increased demand for city transport. With the advantage that ensures the public through the developed network, it also accompanies negative consequences - the adverse impact of transport on the environment. Pollution is practically the main source of environmental pollution, creating a high level of noise and vibration in the city. Environmental damage caused by car exploitation is caused by toxic emissions, annually, in the atmosphere 12 million tons of different pollutants are allocated: carbon monoxide, nitrogen and sulfur oxides, hydrocarbons, soot and others.

Key words: modern towns; Noise, exhaust, ecology, pollution, fuel, transport.

გლობალური უძრავი ქონების საინვესტიციო ბაზარის ტენდენციები და მათი გავლენა ქართულ ბაზარზე

სოფია გოლეთიანი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა.ამ მიმართულებით გაანალიზებულია უძრავი ქონების გლობალურ ბაზრის ის ტენდეციები, რაც გავლენას ახდენს ინვესტორთა გადაწყვეტილების მიღებაზე.

ამ ფონზე საინტერესოა საქართველო, სადაც ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. ეს ფაქტი კი ხელს უწყობს ქვეყანაში პატარა სასტუმროების სექტორის განვითარებას, მომხიბლავს ხდის დედაქალაქის ძველ უბნებსა და ქვეყნის საკურორტო ზონებს. საქართველოს დღეს განსაკუთრებით სჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, ამიტომაც უძრავი ქონების ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე საინეტერსო პლატფორმაა ქვეყნის განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონების ბაზარი**,** ინვესტორები**,** საცხოვრებელი უძრავი ქონება

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის განვითარებაში უდიდესი როლი ენიჭება ეკონომიკის განვითარებას.თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებაზე არსებითი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის ბოლოს სოციალისტური სისტემის ნგრევამ და ორ ათეულზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამ.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას

ალტერნატივა არ გააჩნია. მას შეუძლია შექმნას ეკონომიკუ-

რი ზრდისა და განვითარების ისეთი საბაზრო წინაპირობები, როგორიცაა: თავისუფალი ბაზარი; კერძო და დაცული საკუთრება; დაბალი ინფლაცია; ქვეყნებს შორის განუსაზღვრელი ვაჭრობა. ეს კი აუცილებელია იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს ფასების ლიბერალიზაცია, აუცილებელია მთავრობა არ ერეოდეს კერძო კომპანიათა მართვაში, შეწყვიტოს მათი სუბსიდირება, უზრუნველყოს კონტრაქტების შესრულება, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა, ადმინისტრაციული რეგულირების ოპტიმალური მინიმიზაცია, ბიუჯეტის დაბალანსება და სავაჭრო ბარიერების მოხსნა. ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა, რომელიც ამას მიაღწევს, შეუძლია ეკონომიკურ ზრდაზე გააკეთოს წარმატებული გათვლები. თუმცა, პოსტსოციალისტური ქვეყნების დიდმა ნაწილმა აქ ჩამოთვლილი ღონისძიებების რეალიზაცია მთლიანად ვერ შეძლო.

გამოდის, რომ სასურველი რეფორმების განსახორციელებლად აუცილებელია არა მარტო საბაზრო ეკონომიკის ელემენტებში გათვითცნობიერება, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის შემუშავება. გარდამავალი ეკონომიკის თითქმის ყველა ქვეყანაში წარმოიშვა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მრავალი პრობლემა, რომელთა დროული გადაწყვეტა საკმაოდ საჩქაროა.

საბაზრო ეკონომიკის გზაზე დამდგარი პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების 15 წლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, კაპიტალისტური სისტემისკენ მოძრაობა თანამედროვე ეკონომიკური თეორიის საფუძვლების გაუთვალისწინებლად ნაკლებად ეფექტიანია, ხშირად კი – უშედეგო.

ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში კეთილდღეობის ზრდას ხშირად უკავშირებენ უცხოურ ინვესტიციას: რაც უფრო სტაბილურია ქვეყანა მით უფრო იზიდავს უცხოურ ინვესტიციას, ხოლო ინვესტიცია თავის მხრივ ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ეს არის ჩამოყალიბებული და გავრცელებული ლოგიკა, რაც თითქოს შეესაბამება კაპიტალისტური ეკონომიკის კანონებს. შესაბამისად ინვესტიციის მოზიდვა ხდება ყველა განვი-

თარებადი ქვეყნის ძირითადი მიზანი, მათ შორის საქართველოსიც: საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონითა და ფინანსური სახსრების უქონლობითაა განპირობებული, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში შეიქმნა უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და დაცვის საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის საჭიროა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, საბანკო, საკრედიტო და საგადასახადო სისტემის სრულყოფა, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის შემცირება, საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის გაუმჯობესება სწორი საინვესტიციო სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია. სხვადასხვა სფეროში ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს საკუთრების უფლების დროული აღრიცხვა. ამისათვის კი აუცილებელია ქვეყანაში მკაცრად იყოს დაცული საკუთრების უფლება და არსებობდეს საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მკაცრი აღრიცხვა და საერთო ბაზაში თავმოყრა. ამისათვის კი აუცილებელია მიწისა და უძრავი ქონების რეფორმის განხორციელება, რაც საქართველოში რამოდენიმე ეტაპად, თუმცა მაინც არა სრულყოფილად განხორციელდა.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა იმდენად პრიორიტეტულია, რამდენადაც ის სტაბილური ეკონომიკური ზრდის წინა პირობად განიხილება, ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე და სტრუქტურა მნიშვნელოვანი მახასიათებელია და ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს მათ შორის რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპექტივა. თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, რადგანაც ის ასოცირდება ეკონომიკურ ზრდა-

სთან და პროგრესთან. ბოლო ათწლეულებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მთელს მსოფლიოში. გლობალიზაციის მიმდინარე ტრენდებმა გაზარდა საინვესტიციო კაპიტალის მობილობა, კავშირი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის გახდა კომპლექსური. რეფორმატორი ქვეყნები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ხედავენ საკუთარი პროექტების წარმატებით განხორციელების და განვითარების ხელშემწყობ ფაქტორს. უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადების მიღების პროცესში არსებით როლს მიმღები ქვეყნის ეფექტური საინვესტიციო გარემო ასრულებს, საინვესტიციო გარემო თავის თავში მოიცავს ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, თითოეულ ქვეყანას თავისი უნიკალური საინვესტიციო გარემო გააჩნია. რომელთა შემადგენელი ინდიკატორების აქტუალობა იცვლება როგორც ქვეყნების ასევე დროის მიხედვით.

უძრავი ქონება მთელ მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივების კლასია. გასული ხუთი წლის განმავლობაში, გლობალური უძრავი ქონების ინდუსტრია გაიზარდა 2.9% -ით, მან 2018 წელს $4 ტრილიონ შემოსავალს მიაღწია. ამავდროულად, ამ დარგში არსებული ბიზნესების რაოდენობა გაიზარდა 2.9% -ით, ხოლო ამ ბიზნეში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა კი - 2.8% -ით.

უმეტეს ქვეყნებსა და ტერიტორიებზე საყოფაცხოვრებო ქონების ბაზრებმა ბოლო ათწლეულში კაპიტალის ზრდა განიცადეს, რაც ხშირად აჭარბებდა ადგილობრივი შემოსავლების ზრდას. 2017 წელს მთლიანი გლობალური საცხოვრებელი უძრავი ქონების ღირებულება 5% -ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

განვითარებულ ეკონომიკაში, უძრავი ქონება პირადი და საყოფაცხოვრებო სიმდიდრის დიდი ნაწილია. იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, სხვა აქტივებთან ერთად, როგორიცაა ობლიგაციები.

უძრავი ქონებით შემოსავლის მოტანის შესაძლებლობა

(იჯარა) სულ უფრო მიმზიდველს ხდის ამ ბიზნესს და ამ გზით მიღებული შემოსავალიც უფრო მყარია, ვიდრე ობლიგაციებიდან ან სადეპოზიტო ანგარიშებიდან მიღებული საპროცენტო განაკვეთებით მიღებული სარგო, მით უმეტეს ეს უკანასკნელი შემცირების საფრთხის წინაშე მუდმივად დგას.

აქედან გამომდინარე, გლობალური უძრავი ქონების ბაზრებზე აღმოჩენილი უმაღლესი შემოსავლები მას მიმზიდველ ალტერნატივად აქცევს ადამიანებისთვის.მაგალითად, ყველაზე დიდი Prime Grade-ის ოფისები, რომელიც მიმაფონტულია ისეთ უდიდეს ქალაქებში, როგორიცაა ლონდონი, ნიუ-იორკი, სიდნეი, მათი გაქირავებით მიღებული საპროცენტო შემოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლების ობლიგაციები).

ისტორიულად, უძრავი ქონების ინვესტორები მუდმივად კაპიტალის ზრდის ძიებაში იყვნენ. შემოსავლის გლობალურ ძიება, უძრავი ქონების ნამდვილი ღირებულება ინვესტორებისთვის მისი მიმზიდველი პერსპექტივაა.

დღეს მსოფლიო უძრავი ქონების აქტივების ღირებულებები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი წარმოება.

გლობალური უძრავი ქონების უმეტესობა საცხოვრებელი ფართია. იგი შეადგენს 168.5 ტრილიონ დოლარს. ეს არის 2.05 მილიარდი ოჯახი მსოფლიოში და თითო სახლის საშუალო ღირებლება დაახლოებით 82,000 აშშ დოლარია.

ყველაზე მაღალი ღირებულების საცხოვრებელი ფართები ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაშია თავმოყრილი. ჩრდილოეთი ამერიკა გლობალური მოსახლეობის მხოლოდ 7% -ს შეადგენს, მაგრამ საკუთრების 22% -ი ქონებრივი ღირებულება გააჩნია.

რაც შეეხება ევროპას, იგი მსოფლიო მოსახლეობის 11% -ს შეიცავს, მაგრამ საერთო ღირებულების 23%-ს ფლობს.

ყველაზე დიდი ზრდის პოტენციალი აზიის განვითარებადი ქვეყნებია. აზიის დიდმა ნაწილმა უძრავი ქონების აქტივების ფასის ზრდა უკვე დაიწყო, როდესაც ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა. აფრიკასაც აქვს უდიდესი პოტენციალი. ახლო

აღმოსავლეთი და აფრიკის რეგიონი ამჟამად მსოფლიო, მოსახლეობის 19% -ს შეადგენს, მაგრამ მისი საცხოვრებელი ფართი არის არაპროპორციული, რაც ღირებულების მხოლოდ 6% -ს.

დანართი 1

საცხოვრებელი უძრავი ქონების გლობალური ბაზრის მაჩვენებლები



საინტერესოა ინვესტირების კუთხით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უძრავი ქონების ბაზარი.

რუსეთში ინვესტიციების ბრუნვამ 2017 წელს $ 4,863,811,000 დოლარი შეადგინა. განსაკუთრებით ფულის ინვესტიცია დაუმთავრებელ ობიექტებში მოხდა. თუმცა, ბოლო წლებში მსოფლიო ეკონომიკის სტაგნაციამ პირველადი საბინაო სამშენებლო ბაზარის დაშლაზე იქონია გავლენა.

ხოლო მეორაული საბინაო ბაზარი რუსეთში უფრო მიმზიდველად გამოიყურება საინვესტიციო თვალსაზრისით. მეორეული ბაზრის სახლის ყიდვისას, ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს თანხები, რომლებიც საჭიროა რეკონსტრუქციისა და რემო-

ნტისათვის, თუმცა ეს გავლენას არ ახდენს მეორეული ბაზრის მომხიბვლელობაზე.

საინვესტიციოდ ბალტიისპირეთის ქვეყნები ძალიან მიმზიდველად გამოიყურებიან, ინვესტიციას აქ ძირითადად რუსები ახორციელებენ, სადაც კვადრატული მეტრის ფასი 700 დოლარიდან 1,900 დოლარამდე მერყეობს. კიევში 950-დან 1100 დოლარამდე.

საქართველო პოსტ საბჭოურ სივრცეში, ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც ძალზედ სინტერესო საინვესტიციო ქვეყანაა, განსაკუთრებით საქართველოს საკურორტო ზონები.

2017 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება 16.2% -ით გაიზარდა და 1.86 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, შესაბამისად სამშენებლო სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა გაიზარდა 114%-ით.

2012 წელს „WizzAir"-ის მიერ განხორციელებულმა ფრენებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხუთი ქალაქიდან ქუთაისის მიმართულებით შექმნა იაფი მოგზაურობის საშუალება, რამაც ტურისტების რაოდენობის ზრდა საგრძნობლად გაზარდა.

ქუთაისში, ბიზნეს ვიზიტორების წილი მთლიან ვიზიტორებთან შეფარდებით გაცილებით მაღალია (33%). სასტუმროების ვიზიტორთა რიცხვიც საკმაოდ გაზრდილია, რამაც ამ რეგიონში გამოიწვია უძრავი ქონების შეძენაზე მოთხოვნა . 2017 წელს წინა წლებთან შედარებით პირველადი საცხოვრებელი ბინების ფასი გაზრდილია, რასაც ვერ ვიტყვით მეორეულ საცხოვრებელ ფართებზე.

2017 წელს, საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქციებიც გაიზარდა 2,475 ერთეულით, რაც 2016 წელთან მიმართებაში 20% -იან ზრდას ასახავს. 2017 წელს, ახალი ბინის ტრანზაქციების რიცხვიც ოთხჯერ გაიზარდა, ვიდრე 2016 წელს, ხოლო ძველი ბინების ფასი კი მხოლოდ 8% -ით. საცხოვრებელი მიწის მთლიანმა ფართმა ქუთაისში 18,000 კვ.მ შეადგინა, რაც 17%-ით ნაკლებია, ვიდრე 2018 წელს. ეს გამოწვეულია პატარა მიწის ნაკვეთების გაყიდვების სიხშირით (მაქსიმალური კვადრატუ-

ლობა ერთ ტრანზაქციაზე 550 კვ.მ, კვ. ფასი კი 24 აშშ დოლარი). მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის მიწის ბაზარი არ იყო წლის განმავლობაში მომხიბლავი, პირობები შეიცვლება ტურიზმის ზრდასა და ქალაქში ეკონომიკური აქტივობის ხარჯზე, რაც ქვეყნისთვის გასათვალისწინებელი მესიჯია.

საინტერესოა საქართველოს საზაფხულო კურორტების პროგნოზი. 2017 წელთან შედარებით, ბათუმის საცხოვრებელი ბაზარი 8,442 ერთეულს შეადგენდა, რაც 41% -ით ზრდა იყო წინა წელთან შედარებით. ახლად აშენებულ ბინის გაყიდვების რაოდენობა 37% -ით გაიზარდა, ხოლო ხანდაზმული ბინის ტრანზაქციების რაოდენობა 45% -ით.

2018 წლის მეორე ნახევარში ბათუმში 52 მიწის ნაკვეთი გაიყიდა, 2018 წლის 1 ნახევართან მიმართებაში ტრანზაქციების რაოდენობა უცვლელი დარჩა, ხოლო მთლიანი ფართობი კი 29% -ით შემცირდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბათუმის ცენტრალურ უბნებში საცხოვრებელი მიწის ფართები დეფიციტია და სამშენებლო პროექტები მეტწილად ქალაქის გარეუბნებში იგეგმება.

დანართი 2

საცხოვრებელი მიწის ფართების ტრანზაქციები



დასკვნა

დღეს საქართველოში, კერძოდ დედაქალაქსა და ქვეყნის საკურორტო ზონებში შესამჩნევად იზრდება სამშენებლო ბაზრის მასშტაბები. ადგილობრივ ბაზარზე შეინიშნება მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებაც. გამოცხადებული მარეგულირებელი შეზღუდვები სავარაუდოდ, საქართველოს ბაზარზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს, რაც უფრო მეტად გაზრდის განვითარებულ ეკონომიკაში არსებულ საერთაშორისო სამშენებლო სტანდარტებს და მით უფრო მომხიბლელს გახდის მას ინვესტორთათვის ფულის დასაბანდებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/
2. ეროვნული ბანკის სააგენტო https://www.nbg.gov.ge/
3. https://www2.colliers.com/
4. თ. შენგელია (2010) საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში.კრებული: ინოვაციები ბიზნესში
5. გრეჰემი ე. (1999) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა " ეკონომიკური რეფორმები დღეს"
6. Bouwinvest უძრავი ქონების საინვესტიციო მენეჯმენტი B.V.
7. Savage M., Warde A. 1993. Urban Sociology, Capitalism and Modernity. London: Macmilan, 221 p.

REFERENCES:

1. Tbilisi , National Statistics Office of Georgia http://www.geostat.ge/
2. National Agency of Public Registry https://napr.gov.ge
3. https://www2.colliers.com/
4. T. Shengelia (2010) International Business Investment Environment in Georgia. Collection: Innovations in Business
5. Graham H. (1999) Direct Foreign Investments and Trade "Economic Reforms Today"
6. Bouwinvest Real Estate Investment Management B.V.
7. Savage M. Warde A. 1993. Urban Sociology, Capitalism and Modernity. London: Macmilan

GLOBAL REAL ESTATE INVESTMENT MARKET TRENDS AND THEIR IMPACT ON THE GEORGIAN MARKET

Sofia Goletiani - Doctoral Student of
Georgian Technical University

RESUME

Foreign investments are good indicators of the country's economy, its political structure around investments and willingness to grow and develop the country. In terms of foreign investments Georgia belongs to the number of emerging countries desired for investments, especially in the area of construction and real estate.

This paper analyzes the tendencies of Global real estate market that influence potential investor behaviors and their decision making. Georgia is a country where the number of visitors grow every year which naturally develops hotel industry and attracts visitors to the old Tbilisi area and different resorts of Georgia.

It is essential for Georgia to attract foreign investments in order to grow its economy and develop further; The Real estate market is one of the most attractive areas of investment and development.

Key words: Real estate market, Investors, Residential property.

ინოვაციური განვითარების, როგორც გარემოზე მავნე ზემოქმედების ეკონომიკურ-ეკოლოგიური საფრთხის, თავისებურებანი

მაკრინე ბაბლუანი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

გარემოსდაცვითი საფრთხეების პოტენციური წყაროებზე დაყრდნობით, შემოთავაზებულ იქნა ინოვაციური სისტემების დახასიათება, მათი ფორმირებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე. ინოვაციური განვითარება განიხილება როგორც ინფორმაციისა და მატერიალური გარდაქმნის პროცესების ერთობლიობა, რომლებიც რეალიზებულია შემოქმედებითი, დესტრუქციული და ნეიტრალური ქმედებებით.

შემოთავაზებულია, ინოვაციის დანერგვისას, ინოვაციური განვითარების მოდელი, "შავი ყუთის" მოდელზე დაყრდნობით, განსაზღვრულ დროსა და სივრცეში. ინოვაციის დანერგვისას, ინოვაციური პროცესის განვითარება აღწერილია ფუნქციონალური დამოკიდებულებით.

განსაზღვრულია ძირითადი რეგიონული სოციალურ-ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ასახავენ ინოვაციური განვითარების პროცესში, ინფორმაციისა და მატერიალური ტრანსფორმაციის მასშტაბებს; ძირითადი რეგიონული სოციალურ-ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ქმნიან ინოვაციური განვითარების პროცესში, ინფორმაციისა და მატერიალური ტრანსფორმაციის მასშტაბებს; შემოთავაზებული მიდგომის მთავარი პოზიცია ისაა, რომ ინოვაცია მიზნად ისახავს ადამიანსა და გარემოს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესებას (და არა გაუარესებას).

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, ინოვაცია, ინოვაციური განვითარება, ეკოლოგია, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ეკო-ორიენტირებული ინოვაციური განვითარება, სოციალურ-ეკოლოგიური და ეკონომიკური სისტემა, ენტროპია, ენტროპიული მიდგომა.

ძირითადი ტექსტი

ინოვაციური საქმიანობა არის აქტივობა, რეალობის ხარისხობრივი განახლებისთვის, რომელსაც ძველის განადგურება თან სდევს. თუმცა, ინოვაციური საქმიანობის დესტრუქციული ასპექტი, რომელიც იზომება ბუნების და საზოგადოების ინოვაციური განვითარების ეტაპზე გადასვლის რეალური საფასურით, ხშირად „ფარდის უკან“ რჩება. ინოვაციური იდეისა და ინოვაციური გარემოს მახასიათებლების მიხედვით, შემოქმედებითი და დესტრუქციული ქმედებების მასშტაბი სხვადასხვაგვარია. ამ თვალსაზრისით, არსებობს ობიექტური საჭიროება, რათა შევიმუშავოთ მიდგომა, რომელიც საშუალებას გვაძლევს წინასწარ განვსაზღვროთ, თითოეული ინოვაციური პროცესის შესაძლო შედეგები. ასეთ ვითარებაში, აუცილებელია, ინოვაციებისადმი მიდგომა განვიხილოთ, როგორც არა მხოლოდ კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ინსტრუმენტისადმი, არამედ როგორც ეკოლოგიური საფრთხის წყაროსადმი, გარემოსა და კაცობრიობის წინაშე.[5; 7] ნაშრომი ეყრდნობა მისაზრებას, რომ [3; 4; 9], ინოვაციისადმი ინფორმაციული მიდგომა სისტემურია და მისი საწყისი - ინფორმაციული ველია, რომლის ბაზაზეც ინოვაციური ველი ვითარდება. ამ მიდგომის თანახმად, ინოვაციურ განვითარებას აღვიქვამთ, როგორც ფენომენს, რომელიც წარმოადგენს „სივრცე-დროის“ ასპექტში, j-ინოვაციის განხორციელებით გამოწვეული როგორც ინფორმაციული, ასევე მატერიალური ტრანსფორმაციის პროცესების ერთობლიობას.

აუცილებელია, მოხდეს ინოვაციური სისტემის გაიგივება სისტემასთან, რომელშიც ყალიბდება ინოვაციური გარემოს სხვადასხვა ელემენტებისა და ინოვაციური იდეის (ინფორმაციული ცოდნის) ურთიერთქმედების პროცესები. ინოვაციური განვითარების პროცესები განვიხილოთ ინფორმაციულ გარემოში (*L* გარემო). მასთან დაკავშირებულია საკვლევი მატერიალური გარემო(M გარემო) ინტეგრირებულად, როგორც გარემოსდაცვითი საფრთხის პოტენციურ წყაროებს, საკითხს უნდა მივუდგეთ არა ინოვაციისა და ინოვაციური პროცესების

ტრადიციული გაგებით, არამედ როგორც ფორმირებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ ინოვაციურ სისტემებს, რომლებიც იქმნებიან ინოვაციურ იდეებით, სივრცე-დროის მონაკვეთში უწყვეტ განსახორციელებლად.

ცხრილი 1 აღნიშნული საკითხის განხილვისას პრინციპულად მნიშვნელოვანია ინოვაციური განვითარების პროცესში, სამივე დონეზე (L1, L2, L3) ინფორმაციული წონასწორობის პროცესების გარდაუვალობა.

ამდენად, ინფორმაციულობის მიდგომის თანახმად, ინოვაციური განვითარება რეგიონულ სოციალურ-ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სისტემაში, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მოვლენა, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციისა და მატერიალური ტრანსფორმაციის პროცესების კომპლექტს, რომელსაც უზრუნველყოფს L1, L2, L3 რიგის ინფორმაციული წონასწორობა, რეგიონული სოციალურ-ეკოლოგიური და ეკონომიკური სისტემის ფარგლებში j-ინოვაციების განხორციელებისას, სივრცე-დროის ასპექტის გათვალისწინებით:

ID (L1 ∪ L2 ∪ L3) (1) ნებისმიერი სისტემა არის განუყოფელი და იზოლირებული გარემოდან. სისტემა და გარემო ურთიერთქმედებს ერთმანეთთან. სისტემაში მოიაზრება სისტემაში შემავალი და გამომავალი საშუალებები. სისტემაში შემავალობა გულისხმობს გარე გარემოდან სისტემაზე ზემოქმედებას და გამომავალობა- არის სისტემის გარემოზე ზემოქმედება. ამ კონცეფციას ეწოდება შავი ყუთი მოდელი. "შავი ყუთი" მოდელი ასახავს მხოლოდ სისტემის ურთიერთქმედებას გარემოსთან. სირთულეს ქმნის ის რომ ზუსტად უნდა განისაზღვროს თუ რომელი ელემენტი უნდა გამოვრიცხოთ სისტემიდან და რომელი – არა.

I, IS და OS-ის ინფორმაციული მახასიათებლების მიხედვით, განსხვავდება ენერგო-ენტროპიის ტრანსფორმაციის მასშტაბი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინოვაციური განვითარება უნდა ჩაითვალოს რეგიონულ სოციალურ-ეკოლოგიური და ეკონომიკური სისტემის გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საფრთხის წყაროდ, რომლის ფარგლებშიც ის ხორციელდება.

ცხრ. 1 გარემოსდაცვითი უზრუნველყოფა

ქმედებათა ტიპი	ქმედებების მახასიათებლები		
	დასახელება	აღწერა	შინაარსი
DI	ქმედებები, **L1** დონეზე საინფორმაციო წონასწორობის უზრუნველსაყოფად	ქმედებები ინოვაციების სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში ინოვაციის პროცესის განსახორციელებლად	მიმართულია ინოვაციური პროცესის რეალიზაციისათვის, მისი სტრუქტურის (ელემენტებისა და კომუნიკაციების) აგების მიზნით,
DII	ქმედებები, **L2** დონის საინფორმაციო წონასწორობის უზრუნველსაყოფად	ქმედებები რეგიონში ინოვაციური გარემოს შესაქმნელად	ინოვაციური გარემოს სტრუქტურის (ელემენტებისა და კომუნიკაციების) აგება რეგიონში
		ქმედებები რეგიონში ინოვაციური პოტენციალის შესაქმნელად	ინოვაციური პოტენციალის სტრუქტურის (ელემენტებისა და კავშირების) განვითარება (გაუმჯობესება) გარკვეული ინფორმაციის მახასიათებლებით რეგიონში ინოვაციების განხორციელების მიზნით
DIII	ქმედებები, **L3** დონის საინფორმაციო წონასწორობის უზრუნველსაყოფად	ქმედებები რეგიონში ეკონომიკური პოტენციალის შესაქმნელად	მიზნად ისახავს ეკონომიკური პოტენციალის სტრუქტურის (ელემენტებისა და კავშირების) შექმნას (გაუმჯობესებას) გარკვეული ინფორმაციის მახასიათებლებით, რეგიონის ინოვაციური განვითარებისათვის აუცილებელი გარემოს სესაქმნელად
DЭ	გარემოსდაცვითი ინოვაციური განვითარების უზრუნველყოფის ქმედებები	გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ქმედებები **DI, DII, DIII**	რეგიონში ინოვაციური საქმიანობის სხვადასხვა სფეროების ეკოლოგიურად ორიენტირებული განვითარება

ინოვაციურმა განვითარებამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას გარემოს ეკოლოგიას.

ინოვაციური განვითარება წარმოადგენს ინფორმაცული და მატერიალური პროცესების ტრანსფორმაციის ერთობლიობას. ესა არის კომპლექსები, რომლებიც რეალიზებულია სამი სახის - შემოქმედებითი, დესტრუქციული და ნეიტრალური ქმედებების მეშვეობით: DI, DII, DIII. ამასთან ერთად, გარემოზე ორიენტირებული ინოვაციური განვითარების უზრუნველყოფის სფერო ითვალისწინებს სამივე კატეგორიის (DI, DII, DIII) გარემოზე ორიენტირებული ქმედებების უზრუნველყოფას. ამდენად, სამი კატეგორიის (DI, DII, DIII) ქმედებებთან ერთად, საჭიროა ქმედებები - გარემოსდაცვითი უზრუნველყოფა Dэ (გარემოსდაცვითი ორიენტირების გარკვეულ U დონეზე) DI, DII, DIII (ცხრილი 1).

შავი ყუთის მოდელის თანახმად, მოცემული გამომავალი და შემავალი პარამეტრების და უცნობი შიდა მოწყობილობის გამოყენებით, ინოვაციური განვითარება, გამოწვეული j- ინოვაციის დანერგვით, l- გარემოსა და m- გარემოს სოციალურ-ეკოლოგიური-ეკონომიკური სისტემის ფარგლებში, შეიძლება მათემატიკურად აღვწეროთ ფუნქციური დამოკიდებულებით:

F_{ID} (x) = f (t, p, H_1, H_2, IP, D, Dэ, Z_1 , Z_2, L, M, η, φ, x, μ, $R_{\text{განუსაზღვრ.}}$),

სადაც x –j-ინოვაციის რეალიზაციის შესაძლებლობაა, p_x – ალბათობით; t – დროში, r – ინოვაციური განვითარების მოცულობა j- x-მდგომარეობაში H_1 – შემავალი პარამეტრები ID ინოვაციური განვითარებისთვის (გამოყენებული გარე რესურსები). H_2 – გამომავალი პარამეტრები. S^T, ინოვაციური მომსახურება, პროდუქტი. IP შიდა რესურსები, D – ქმედებათა სიმრავლე U-დონის შესაბამისად, L1, L2, L3 ეკოლოგიური წონასწორობა.

Z_1 – ელემენტთა სიმრავლე, j-ინოვაციის რეალიზების პროცესში, x მდგომარეობაში, ინფორმაციული ნაზრდის მიდგომის პოზიციით სისტემაში - ($dS^{и}_{per}$);

Z_2 – სისტემის მდგომარეობის სიმრავლე m-გარემოში j-ინოვაციის რეალიზებისას, x-მდგომარეობაში,

L – ინფორმაციული გარდაქმნის პოცესები

M – მატერიალური ტრანსფორმაციის პოცესები

ϕ1–მართვის ფუნქციონალური კავშირები

η1 – მართვის ფუნქციონალური კავშირი, h1-პარამეტრისთვის j-ინოვაციის რეალიზაციისას, x-მდგომარეობაში η2 – მართვის ფუნქციონალური კავშირი, h2-პარამეტრისთვის j-ინოვაციის რეალიზაციისას x-მდგომარეობაში δ – მართვის ფუნქციონალური კავშირი, რესურსებზე მოთხოვნის, (NK ბუნებრივ კაპიტალზე, FK FK ფიზიკურ კაპიტალზე, GK ადამიანურ კაპიტალზე მოთხოვნა) j-ინოვაციის რეალიზაციისას, x-მდგომარეობაში

x – ცვლადი, რომელიც ახასიათებს j-ინოვაციას, როგორც სისტემას, ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპებზე

μ – ცვლადი, რომელიც ახასიათებს *d*-ქმედებებს D_{I}, D_{II}, $D_{III,}$ $D_{Э}$ *U*- ეკოორიენტირების დონეებზე, *j*- ინოვაციის რეალიზებისათვის *x*-მდგომარეობაში, რეგიონის ინოვაციური განვითარების გეგმის მიხედვით .

მთავარი რეგიონული სოციალურ-ეკოლოგიური და ეკონომიკური u ფაქტორები, რომელებიც განსაზღვრავს ინფორმაციული და მატერიალური ტრანსფორმაციის მასშტაბებს, ინოვაციის რეალიზების პროცესში, ესენია:

1. ეკოლოგიური ბლოკი

ტერიტორიის ინოვაციური განვითარების ანთროპოგენური ისტორია

ინოვაციური განვითარების ტერიტორიაზე ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბი და სპეციფიკა; ინოვაციური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის დონე; ინოვაციური განვითარების პერიოდში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ბუნებრივი პირობები; ინოვაციური განვითარების ბუნებრივი ანთროპოგენური სისტემების სიცოცხლისუნარიანობა;

ინოვაციური განვითარების გარემოს ათვისების პოტენციალი; ინოვაციური განვითარებით რეგიონში გარემოსდაცვითი მენეჯმენტის განვითარების დონე;

2. რესურსებისა და ნედლეულის ბლოკი

იმ რეგიონის ეკონომიკური და გეოგრაფიული პოზიცია, რომელშიც ინოვაციური განვითარება ხორციელდება; ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეობების ბალანსი ინოვაციურ განვითარებაში; ინოვაციური განვითარების დროს რეგიონის ენერგორესურსების უზრუნველყოფა; ინოვაციური განვითარების ბუნებრივი რესურსების ტერიტორიული განაწილების ოპტიმალიზმი; ინოვაციური განვითარებისათვის შრომის რესურსებით რეგიონის უზრუნველყოფა; რეგიონის რეალური კაპიტალი, რომელიც დამზადებულია წარმოების საშუალებით, ინოვაციური განვითარების პროცესში რეგიონის საინვესტიციო რესურსები ინოვაციურ განვითარებაში

3. დემოგრაფიული ბლოკი

მოსახლეობის სიმჭიდროვე რეგიონში ინოვაციური განვითარების პერიოდში; ინოვაციური განვითარების პერიოდში შეძლებული მოსახლეობის წილი; რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა ინოვაციური განვითარების პროცესში; ინოვაციური განვითარების პერიოდში მოსახლეობის კულტურული და საგანმანათლებლო დონე.

4. ეკონომიკური ბლოკი

რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონე და ტემპი ინოვაციური განვითარების პროცესში; ინვესტიციების დონე და დინამიკა რეგიონის ინოვაციურ განვითარებაში; რეგიონში სოციალური დაძაბულობის დონე ინოვაციური განვითარების პირობებში; საბაზრო პირობები, ფასები, გაცვლითი კურსი და სხვა. ინოვაციური განვითარების პერიოდში; რეგიონალური ბიუჯეტის მოცულობა ინოვაციური განვითარების პერიოდისათვის.

5. სოციალური ბლოკი

ინოვაციების განვითარებისას, მოსახლეობის ცხოვრების დონე; ინოვაციური განვითარების ტერიტორიაზე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები; ინოვაციური განვითარების სფეროში სოციალური მომსახურების განვითარება; მიგრაციის პროცესების განვითარება ინოვაციების განვითარებაში; ეკო-

ლოგიური ცნობიერება და მოტივაცია, სოციალური პასუხისმგებლობა, ზოგადი-ინოვაციური განვითარების პერიოდში.

6. მეცნიერული ბლოკი

რეგიონში ინოვაციური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის სამეცნიერო საფუძველი; რეგიონში ინოვაციური განვითარების სამეცნიერო და ტექნიკური მხარდაჭერის განვითარება; სამეცნიერო კვლევა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ტექნოლოგიის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებში; რეგიონში ინოვაციური განვითარების რეგიონში სამეცნიერო ცოდნის განვითარების დონე; ინოვაციური განვითარების სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის განვითარების დონე.

7. ტექნოლოგიური ბლოკი

ინოვაციური განვითარების დროს რეგიონის წარმოების აქტივების ტექნიკური მდგომარეობა; სამრეწველო და ტექნოლოგიური პროცესების შესრულების დონე სამეცნიერო-ინოვაციური განვითარების პერიოდში; ინოვაციური განვითარების პროდუქტების (მომსახურების) ტექნოლოგიური წარმოების დონე; ინოვაციურ განვითარებაში გამოყენებული ტექნიკის, ტექნოლოგიების გარემოსდაცვითი კეთილდღეობის დონე; რეგიონული სტანდარტების შემუშავება, ტექნოლოგიური განვითარების სფეროში რეგულაციები; ინოვაციური განვითარების პროცესში სახელმწიფო რეგულირების მოთხოვნების კონტროლი.

8. ნორმატიულ-სამართლებრივი ბლოკი

ინოვაციური განვითარების პროცესში რეგიონში სამართლებრივი სტაბილურობის დონე; ინოვაციური განვითარების სფეროში საკანონმდებლო ბაზის განვითარების დონე; გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განვითარების დონე ინოვაციურ განვითარებაში; ინოვაციური განვითარების სტიმულირების მექანიზმების ეფექტურობის დონე; ინოვაციურ პირობებში კანონმდებლობის განხორციელების კონტროლის სისტემის ეფექტურობა.

9. ინფორმაციული ბლოკი

ინოვაციების განვითარებაში მონაწილეთა უზრუნველყოფა

საინფორმაციო რესურსებით; მოსახლეობის და ბიზნეს სუბიექტების ცნობიერების ამაღლება პრიორიტეტულ სფეროებში; ქვეყნისა და საზღვარგარეთ ინოვაციური განვითარების გამოცდილების შესახებ რეგიონალური მონაცემთა ბანკის არსებობა;

ინოვაციური განვითარების საკითხებზე საერთაშორისო ინფორმაციის გაცვლის ინტენსივობა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა.

10. სამომხმარებლო ბლოკი

რეგიონის რესურსების მოხმარების დონე ინოვაციურ განვითარებაში; ინოვაციური განვითარებით რეგიონში მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის დონე; ინოვაციური განვითარების რეგიონის მოსახლეობის საბიუჯეტო უზრუნველყოფის დონე; ფულადი შემოსავლებისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობა ინოვაციური განვითარების პროცესში.

11. ინფრასტრუქტურული ბლოკი

რეგიონის განვითარება და ინფრასტრუქტურა ინოვაციურ განვითარებაში

ინოვაციების განვითარებაში სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციის პირობები

ინოვაციური კომპანიების წილი რეგიონში საწარმოების საერთო რაოდენობის მიხედვით; რეგიონალური საწარმოებისა და ორგანიზაციების ინოვაციური საქმიანობა; ინოვაციური საქმიანობის ტექნიკური რეგულირების ეფექტურობა

აღმასრულებელ ორგანოებში სტრუქტურების არსებობა, რომელსაც აქვს სპეციალური უფლებამოსილებები; ინოვაციური საქმიანობის რეგულირების სფერო.

12. ინსტიტუციონალური ბლოკი

ინოვაციური განვითარების საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარების დონე; ინოვაციური განვითარების სახელმწიფო სტრუქტურის სტაბილურობა; ინოვაციურ განვითარებაში მონაწილე ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობა; ეკოლოგიური ორიენტირების განვითარების ხელშეწყობა.

13. სამეწარმეო ბლოკი

ინოვაციური განვითარების დროს რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის განვითარების დონე; ბუნების დაცვის დონე ინოვაციურ განვითარებაში; ინოვაციური განვითარების პროდუქტიული პოტენციალის მოქნილობა; რეგიონში ინოვაციური სექტორის წილი; ინოვაციურ განვითარებაში კაპიტალის ინვესტიციების თანაფარდობა და რეგიონის ინოვაციური პოტენციალი; რეგიონის დარგობრივი დიფერენციაციის დონე; ინოვაციურ განვითარებაში რეგიონის მრეწველობის ეკონომიკის განვითარების დონე.

14. ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ბლოკი

რეგიონული მიზნობრივი პროგრამების განვითარება ინოვაციური განვითარების სფეროში და ეკოლოგიკური უსაფრთხოება ინოვაციების განვითარებაში; პერსონალის შერჩევის, ტრენინგის, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დონის ამაღლება, ინოვაციური განვითარებისას ინოვაციური განვითარების სფეროში გარემოს დაცვის უზრუნველყოფა; ინოვაციური განვითარების სტიმულირების სისტემის განვითარების დონე.

15. პოლიტიკური ბლოკი

პოლიტიკური სტაბილურობა რეგიონში ინოვაციური განვითარების პერიოდში;

ეკო-ორიენტირებული ინოვაციური განვითარების მნიშვნელობის მქონე ხელისუფლების მიერ მხარდაჭერის დონე რეგიონში; ხელისუფლების დამოკიდებულება საერთაშორისო ინიციატივების მიმართ ეკოლოგიურად ორიენტირებულ სფეროში ინოვაციური განვითარებისას;საერთაშორისო დონეზე ინოვაციური განვითარების ხელშეწყობა რეგიონში;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Akimova, T.A., Moseykin, Yu.N. Economics of sustainable development: studies. manual / TA Akimova, Yu.N. Moseykin. - M .: Economy, 2012. - 432 p.

2. Vishnyakov Ya.D. General risk theory: studies. allowance for stud. higher studies. institutions / Ya.D. Vishnyakov, N.N. Radaev. - 2nd ed., Corr. - M .: Publishing Center "Academy", 2010.

3. Vishnyakov Ya.D., Kiseleva S.P. Model of formation of innovative systems in the information spac Problems of mechanical engineering and automation. - № 4. - M .: p. 45–53.

4. Vishnyakov Ya.D., Kiseleva S.P. Universal approach to understanding the formation of innovative systems in the information field // University Herald (State University of Management). - № 17, 2011. - M .: GUU.

5. Vishnyakov Ya.D., Kiseleva S.P. Ecological-oriented innovative development of the national economy: monograph / Ya.D. Vishnyakov, S.P. Kiselyov. - M .: Tekhnomash, 2011. - 290 p.

6. Vishnyakov Ya.D., Revo V.V. Management of entropic safety of the economy // University Bulletin (GUU). - M .: GUU, No. 3 (24), 2008. - P. 10–12.

7. Kiseleva S.P. Strategic directions of innovative development of enterprises: monograph / S.P.Kiseleva [and others]; under the scientific ed. N.V. Klochkovoy. - Ivanovo: Scientific thought, 2

8. Kiseleva S.P. Theory and practice of innovative economy. Collective scientific monograph. M .: OOO"Strategy Research Center", 2015.

9. Kiseleva S.P. I. I. I. (Information. Innovations. Investments): monograph / S.P. Kiselev [and others]. - M.: FID Business Express CJSC, 2015.

THE PECULIARITIES OF INNOVATION DEVELOPMENT AS THE SOURCE OF ECOLOGICAL AND ECONOMIC THREATS FOR ENVIRONMENT

Makrine Babluani,
Doctoral Student of
Georgian Technical University

RESUME

As the potential sources of environmental threats is invited to consider the innovative system at different stages of their formation and development. The innovative development is considered by the author as a collection of processes of information and material transformations, which are implemented through a set of constructive, destructive and neutral action. There is also presented the model of innovative develop- ment, the innovation-based model of «black box» in a particular space-time section. The innovative development during the implementation of innovation is described by functions. The article covers all major regional socio-ecological-economic factors that determine the extent of information and material exchanges at the innovative development. The main position of the proposed approach is that innovation is designed to improve (and not to worsen) the relations between the man and environment.

Key words: information, innovation, innovative development, ecology, ecological safety, ecological-oriented innovative development, socio-ecological-economic system, entropy, entropy approach.

გლობალური ფინანსური კაპიტალი-ფინანსური რისკის წყარო

ეთერ მამაცაშვილი
სტუ. დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია ფინანსური კაპიტალის ვირტუალური ფიქტიური ფენომენი, როგორც პროდუქტი ტოტალური ბაზრების ქსელის და კაპიტალის გლობალური ჰეგემონიისა. აღნიშნულია, რომ გლობალური ფინანსური კაპიტალი დიდი და არაკონტროლრებადი გახდა. გლობალური ფინანსური კაპიტალის მოძრაობა ქმნის სისტემურ ფინანსურ რისკებს.

შესწავლილია გლობალური ფინანსური კაპიტალი (გფკ), მოცემულია გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცვლილებების ფონზე მისი თავისებურებებისა და სპეციფიკის შესახებ სხვადასხვა კონცეფციები, რამდენადაც მიმდინარე ეტაპზე გლობალური ფინანსური კაპიტალი გვევლინება ფინანსური რისკის ერთ-ერთ განმაპირობებელ და მაპროვოცირებელ ფაქტორად. ასევე განხილულია გფკ-მიერ შესრულებული ფუნქციები (სივრცული, ინტეგრაციის, ვირტუალიზაციის, ინსტიტუციონალური) და კაპიტალზე, როგორც შემოსავლის მომტან "ფასეულობაზე" მოქმედი ფინანსური რისკების სტრუქტურა უარყოფითი შედეგის მიღების სავარაუდო სცენარები.

საკვანძო სიტყვები: გლობალური ფინანსური კაპიტალი, ფინანსური რისკი, ფინანსური კაპიტალი, დეფოლტი, გლობალური ეკონომიკა.

შესავალი

როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, გლობალური ფინანსური კაპიტალის კონცეფციამ აქამდე ვერ ჰპოვა ეკონომისტების კვლევებში ღრმა თეორიული გაგება. ფინანსური გლობალიზაციის, ფინანსური ეკონომიკის, გლობალური ფინანსური ბაზრების პრობლემები შესწავლილია მრავალი მკვლევარის მიერ და მრავალმხრივ ვლინდება მრავალრიცხოვან შრომებში. ხოლო გფკ ფინანსურ სფეროში ყველა პროცესის ძირითადმა ელემენტმა, ვერ ჰპოვა ასახვა ეკონომიკურ ლიტერატურაში. იმავდროულად, ბოლო ათწლეულების გამოკვლევამ გვიჩვენა, ფინანსური ბაზრების, ფინანსური აქტივების უპრეცედენტო ზრდა, გლობალური ფინანსური კაპიტალის შეუზღუდავი და სუსტად რეგულირებადი ძალაუფლება. ამ ძალაუფლებას არ შეუძლია ჩაახშოს არა მხოლოდ მთელი ეროვნული ბაზრები და სუვერენული ქვეყნების ეკონომიკა, არამედ გლობალური ფინანსური სისტემის განადგურება სისტემური ფინანსური რისკების რეალიზაციის გზით.

ზოგიერთმა ეკონომიკის მკვლევარმა, გამოიკვლია რა ფინანსური კაპიტალის ვირტუალური ფიქტიური ფენომენი, როგორც პროდუქტი ტოტალური ბაზრების ქსელის და კაპიტალის გლობალური ჰეგემონიისა, ვიტუალური ეკონომიკის და ფინანსური გლობალიზაციის პირობებში, უწოდებენ მას და შესაბამისად მთელ გლობალურ ფინანსურ სისტემას სტიქიურს, სუსტად რეგულირებად „შავ ყუთს". გლობალური ფინანსური კაპიტალი იმდენად დიდი გახდა, რომ არაკონტროლრებადია. გლობალური ფინანსური კაპიტალის მოძრაობა ქმნის სისტემურ ფინანსურ რისკებს.

ისინი **გლობალურ საფინანსო კაპიტალს** განსაზღვრავენ, როგორც ფინანსური კაპიტალის ყველაზე მაღალი ფორმას, რომელიც წარმოადგენს თავისუფლად მოძრავს მსოფლიო სამეურნეო სივრცეში, სუბიექტურად გამოხატულია საფონდო (განთავსებული ფასიან ქაღალდებში) ფულადი კაპიტალიც, რომელსაც შეუძლია ეფექტიანად გამოიყენოს მსხვილი ეკონომიკური სტრუქტურების ორგანიზაციული საორგანიზაციო კვ-

ლავწარმოების პოტენციალი, მათი კონკრეტული პროცედურები, ტექნოლოგიები და მართვის სისტემები, აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა, კონკრეტული ურთიერთობების ფორმები, რაც მას აძლევს შესაძლებლობას სისტემატურად მიიღოს მისთვის დამახასიათებელი შემოსავალი - ფინანსური ქირა, გადახდა ცვლილებების შედეგებისთვის.

გფკ - ის კონცეფციის გათვალისწინებით, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის ნებისმიერი ობიექტის, სუბიექტის ან ფენომენის მიმართ "გლობალური" ტრადიციული განმარტება ნიშნავს იმ ქვეყნების, ყოვლისმომცველ მასშტაბურობას, ტერიტორიებს, ანუ საერთო პლანეტარულ გავრცელებას. თუმცა, მიზანშეწონილია აქცენტი გავაკეთოთ გფკ -ის ანალიზზე, არა იმდენად საზღვრის მობილობაზე, რამდენადაც მის გლობალურ გავლენაზე მსოფლიო ეკონომიკის, პოლიტიკის, თითქმის ყველა გამონაკლისის გარეშე, ცხოვრების ყველა სფეროში. უფრო მეტიც, უფრო გონივრული იქნება მისი გლობალურობაზე საუბარი, როგორც სამყაროს განვითარების თანამედროვე და სტრატეგიული ვექტორების საყოველთაო გავლენის პოტენციალზე. გავლენა შეიძლება იყოს დადებითი (კონსტრუქციული, განვითარებადი) ან უარყოფითი (დამანგრეველი, საშიში) რაც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე.

გფკ ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს წარმოების მონაწილეთა, ოპერაციების, გარიგებების შემოსავალს, სტიმულირებას უკეთებს ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიების, ინსტრუმენტების განვითარებას, ამის საფუძველზე ქმნის ბაზრის ახალ სეგმენტებს და ფინანსური ინსტიტუტების სახეებს, აძლიერებს საბაზარო ურთიერთკავშირს, ურთიერთდამოკიდებულებას.

გფკ საფრთხეს უქმნის საფინანსო სისტემების მთლიანობას, კონცენტრირებულია ერთ ხელში და ახდენს ბაზრის მონოპოლიზაციას, ხელს უწყობს ჭარბ ეკონომიკას და სპეკულაციურ სეგმენტებს ქმნის, ემსახურება ჩრდილოვანი ეკონომიკისა და არაკეთილსინდისიერი ეკონომიკური სუბიექტების არალეგიტიმურ საქმიანობას, ინიცირებას უკეთებს სისტემურ ფინანსურ რისკებს.

როგორ განვსაზღვროთ გფკ? მიზანშეწონილია გადმოვცეთ ამ ცნების რამდენიმე განმარტება.

გფკ - წარმოადგენს გლობალურ ეკონომიკაში დაგროვილი ფულადი სახსრების ერთობლიობის ღირებულებას და მოაქვს მათი მფლობელისადმი შემოსავლები სამმართველო საქმიანობის შედეგად, რომელსაც ახორციელებენ თავად მფლობელები ან მესამე პირები (რწმუნებულები, მმართველები).

გფკ არის ფინანსური კონგლომერატების კაპიტალი, რომელიც მიეკუთვნება სისტემურად მნიშვნელოვანი გლობალური საფინანსო ინსტიტუტების კატეგორიას. მათი სია შედგენილია და განახლდება ყოველწლიურად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივ ფორუმზე.

თუ ადრე ფინანსური კაპიტალის ფუნქციები ითვლებოდა ღირებულების შექმნა, დაგროვება, სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა, მაშინ თანამედროვე პირობებში ასრულებს შემდეგ ფუნქციებს.

1. სისტემური ფინანსური რისკების აღმოჩენის/გამოვლენის ფუნქცია.

2. სივრცული ფუნქცია. გლობალური ფინანსური კაპიტალი მართავს ეკონომიკური, სოციალური (ინსტიტუციონალური და სოციალურ-კულტურული) ტერიტორიალური განვითარების პროცესებს, შეუძლია ეროვნული და გლობალური სივრცის ცენტრის პერიფერიული სტრუქტურის შექმნა, რაც აძლიერებს სიმდიდრის განაწილების ასიმეტრიას მსოფლიოს ნაწილებს შორის, რეგიონულ ჯგუფებსა და ცალკეულ სახელმწიფოებს შორის. გლობალური ეკონომიკის ან მსხვილ ეკონომიკურ სივრცეში შესვლა პერიფერიის უფლებით ცალკეული ქვეყნების ეკონომიკას აყენებს მკაცრი გლობალური კონკურენციის პირობებში, იწვევს გლობალური ფინანსური კაპიტალის აქტიური შეღწევას მათში და დიდ ეკონომიკურ სტრუქტურებში ქსელში ჩართვას, რომელიც ქსელური სახით მოიცავს სივრცეს.

3. ინტეგრაციის ფუნქცია. თუ ადრე ფინანსური კაპიტალი საშუალებას იძლეოდა ჩამოყალიბებულიყო საფინანსო ბაზრის ახალი სეგმენტები ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების

მეშვეობით, ღეს სეგმენტებს შორის საზღვრები წაშლილია, სახეზეა კონვერგენციის ეფექტი, ანუ ბაზრების ურთიერთშეღწევა, ინსტრუმენტების კონსოლიდაცია.

4. ვირტუალიზაციის ფუნქცია. იგი ითვალისწინებს რეალურ ეკონომიკურ მატერიალურ ბაზის მოწყვეტას, დომინირებს კაპიტალისა და მისი პარამეტრების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული მატარებლები, ელექტრონული ფინანსური ბაზრების ფუნქციონირება.

5. ინსტიტუციონალური ფუნქცია უკავშირდება ადმინისტრირების ახალი გლობალური საფინანსო ინსტიტუტების ფორმირებას, რომელთაც შეუძლიათ მართონ გფკ, ასევე გლობალური ფინანსური რეგულირების ნაციონალურ სტრუქტურები.

კაპიტალზე, როგორც შემოსავლის მომტან "ფასეულობაზე" მოქმედი რისკები

რისკი (საფრთხე)	რისკის მოქმედების შედეგი
ინფლაცია	კაპიტალის გაუფასურება, ანუ ღირებულების დანაკარგი
აქტივების შემოსავლიანობის შემცირება. სადაა დაბანდებული კაპიტალი	კაპიტალის მიერ მოტანილი შემოსავლის ნაწილის დაკარგვა
საქმიანი პარტნიორების ოპორტუნისტული ქცევა	კაპიტალის ამოღება თაღლითური დანაშაულებრივი გზით
კანონმდებლობის ცვლილება (საგადასახადო, პოლიტიკური და ა.შ.) ამ ქვეყანაში	კაპიტალის (ნაწილობრივი) დანაკარგები
საწარმოს გაკოტრება ან დეფოლტი (სხვა ქვეყანაში), სადაც დაბანდებულია კაპიტალი	კაპიტალის (ნაწილობრივი ან სრული) დანაკარგები
კაპიტალის არაეფექტური მართვა (მენეჯმენტის დაბალი დონე)	კაპიტალის მიერ მოტანილი შემოსავლის ნაწილის დაკარგვა კაპიტალის (ნაწილობრივი ან სრული) დანაკარგები

დასკვნა

გლობალური ფინანსური კაპიტალი და მისი მოძრაობა ქმნის რისკებს. რისკი არის კაპიტალის ფუნქცია, ანუ რისკი არის კაპიტალის წარმოებული. განვიხილავთ რა ფულის (საფინანსო) კაპიტალს ფულადი ფულის ფორმით, რომლითაც გადაადგილდებიან შერჩეული ტრაექტორიებით საიმედო, მომგებიანი, დაბალ რისკის განთავსების ძებნაში მთელს მსოფლიოში, ჩვენ ერთდროულად ვსაუბრობთ იმ რისკებზე, რომლებიც მუდმივად თან ახლავს ამ პროცესს. თუ ავიღებთ ათვლის წერტილად ბოლო კრიტერიუმს, მაშინ მართებული იქნება განვიხილოთ რისკისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება.

ამდენად, ინვესტიციის განხორციელებისას, ინვესტორი ფიქრობს, პირველ რიგში, რისკის მინიმიზაციის შესახებ. სპეკულანტი ითვლის რისკს და მოთამაშე მზად არის ნებისმიერ რისკზე წასვლისა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.mortylefkoe.com/tyler-tervooren-riskology/ გადამოწმებულია 22.03.2019

2. https://bpsandpieces.com/2017/12/19/twelve-books-everyone-in-finance-will-be-talking-about-in-2018/ გადამოწმებულია 22.03.2019

3. http://elar.urfu.ru/bitstream/10995/34716/1/978-5-7996-1522-2.pdf გადამოწმებულია 22.03.2019

4. www.http://iosco.org/joint_fo გადამოწმებულია 22.03.2019.

5. https://cyberleninka.ru/article/n/k-voprosu-o-suschnosti-i-klassifikatsii-finansovyh-riskov-kompanii გადამოწმებულია 22.03.2019

GLOBAL FINANCIAL CAPITAL AS A SOURCE OF FINANCIAL RISK

Eter Mamacashvili
PHD Student

RESUME

The article discusses the virtual fictitious phenomenon of financial capital, as a product of total market network and capital global hegemony. In the conditions of virtual economy and financial globalization, the entire global financial system is called a disastrous, weakly regulated ,,black box". It is noted that global financial capital has become so huge that it has become uncontrollable, global financial capital movement creates the systemic financial risks.

Global financial capital has been studied. There are various concepts about its peculiarity and specificity on the background of globalization and technological, socio-economic or political changes, as far as at the current stage, global financial capital presents one of the promising and provocative factors of financial risk. The functions performed by the global financial capital are also discussed (Spatial, integration, virtualization, institutional) and financial risks structure, operating on capital, as the ,,Value" of income, the expected scenario of receiving negative results.

Key words: Global financial capital,Financial risk, Financial capital, Default, Global Economy.

საწარმოს საქმიანი აქტივობის, ფინანსური მდგრადობისა და ეფექტური საქმიანობის მართვის ანალიზი

ლალი ბოჭორიშვილი
სტუ პროფესორი
ნანა ავაგუმაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება საკვანძო როლს თამაშობს საწარმოთა და დარგების მართვის პროცესებში. ხელმძღვანელების წინაშე ხშირად დგება, ისეთი უნივერსალური ინდიკატორის შერჩევის პრობლემა, რომელიც რეალურად გამოსახავს კომპანიის საქმიანობის მთლიან შედეგებს. ლიტერატურულ წყაროებში ასეთი ინდიკატორების აუცილებლობის შექმნის შესახებ ხშირად მიმდინარეობს აქტიური მჯელობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია ბიზნეს სუბიექტის საქმიანობის შედეგების შეფასება ოპერატიულად და მაქსიმალური სიზუსტით, რისთვისაც პრაქტიკაში იყენებენ სხვადასახვა ეკონომიკურ მაჩბენებელთა სისტემას. ჩვენი კვლევის მიზანია განვიხილოთ „ეკონომიკის ოქროს წესი“ მაჩვენებელთა სისტემა, რომლის დაცვის შემთხვევაში, შეიძლება გაფართოებული კვლავწარმოება და ბაზარზე მდგრადი მდგომარეობის მიღწევა ბიზნეს სუბიექტისათვის და სრულად დარგებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მოგების ზრდის ტემპი, ამონაგების ზრდის ტემპი, აქტივების ზრდის ტემპი, დინამიურობის პრინციპის ნორმატივები, ეკონომიკის ოქროს წესი.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკის ოქროს წესს უწოდებენ იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს საზოგადოებოს მოხმარების მოდელი. ამ წესის თანახმად, მიმდინარე ხარჯები

შემოსავლებით უნდა იფარებოდეს, ხოლო კრედიტები, ინვესტიციების სახით მომავალს უნდა ემსახურებოდნენ. ახლა კი განვიხილოთ კონკრეტულად, თუ რას წარმოადგენს მოცემული ცნება – საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესი. რიჩარდ სვიფტის აზრით, თუ სახელმწიფოში ეკონომიკის ოქროს წესი არ სრულდება, ეს სახელმწიფოს, საზოგადოების ეკონომიკურ სისუსტეზე მეტყველებს. საწარმოს დონეზე ოქროს წესის დარღვევა მის უარყოფით განვითარებაზე მეტყველებს. ის, რაც ეკონომიკის ოქროს წესად ითვლება, იდეაში თითოეულ ბიზნეს ოპერაციაში უნდა ვლინდებოდეს. ეს არის ბიზნეს საქმიანობის ნორმალური მართვის საფუძველი. კრედიტის აღება მხოლოდ მოკლევადიან ეფექტს მოგვიტანს. ამიტომ, სესხები დასაშვებია მხოლოდ ინფრასტრუქტურული, კვლევითი და სხვა პროექტებში ინვესტიციების სახით.

ოქროს წესის წარმოსახვა შესაძლებელია შემდეგი მოდელით:მოგების ზრდის ტემპი >ამონაგების ცვლილების ტემპზე >აქტივების ცვლილების ტემპზე > 100%-ზე.

მოცემული თანაფარდობა ითვალისწინებს, რომ:

– მოგება უფრო მაღალი ტემპებით იზრდება, ვიდრე გაყიდვების მოცულობა, რაც შეიძლება საწარმოო გეგმის ოპტიმიზაციას, დანახარჯების მინიმიზაციას, და შესაბამისად, თვითღირებულების შემცირებას ნიშნავდეს;

– გაყიდვების მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საწარმოს აქტივები, რაც საწარმოს ყველა რესურსის ეფექტიანი გამოყენების დემონსტრირებაა.

მოგება – საბოლოო ფინანსური შედეგია, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ფუნქციონირებს საწარმო.

ბუღალტრულ მიდგომაში მოგება იანგარიშება როგორც საანგარიშო პერიოდში საწარმოს შემოსავლებსა და გასავლებს შორის არსებული სხვაობა. მოცემულ წესის თანახმად, წარმოდგენილი მეთოდიკების საფუძველზე შევასრულოთ გაანგარიშებები ენერგოკომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგების საფუძველზე. „ეკონომიკის ოქროს წესისადმი“ მათი შესაბამისობა და შედეგები-შევიტანოთ ცხრილებში:

ცხრილი N1
დინამიკის ანალიტიკური მაჩვენებლები: მოგება დაბეგვრამდე

წლები	მოგება დაბეგვრამდე	ბაზისური აბსოლუტური ნაზრდი	ჯაჭვური აბსოლუტური ნაზრდი	ბაზისური ზრდის ტემპი	ბაზისური ნაზრდის ტემპი	ჯაჭვური ზრდის ტემპი	ჯაჭვური ნაზრდის ტემპი	1% ნაზრდის აბსოლუტური მნიშვნელობა	აბსოლუტური აჩქარება	შეფარდებითი აჩქარება	ზრდის მატების ტემპი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
2011	43973	**x**	**x**	**x**	**x**	**x**	**x**	**x**	**x**	**x**	**x**
2012	37141	-6832	-6832	0.84	0.84	-0.16	-0.16	439.73	**x**	**x**	-0.16
2013	-33779	-77752	-70920	-0.77	-0.91	-1.77	-1.91	371.41	-64088	12.29	-1.61
2014	32712	-11261	66491	0.74	-0.97	-0.26	-1.97	-337.79	137411	1.03	1.51
2015	7167	-36806	-25545	0.16	0.22	-0.84	-0.78	327.12	-92036	0.40	-0.58
2016	34094	-9879	26927	0.78	4.76	-0.22	3.76	71.67	52472	-4.81	0.61

ცხრილი N2
დინამიკის საშუალო მაჩვენებლები:მოგება დაბეგვრამდე

მაჩვენებელი	გაანგარიშების ფორმულა	მნიშვნელობა
მწკრივის საშუალო დონე	$Y_{avg} = \frac{\frac{1}{2}Y_1 + Y_2 + ... + Y_{n-1} + \frac{1}{2}Y_n}{n-1}$	16454.9
საშუალო აბსოლუტური ნაზრდი	$\Delta_{avg}Y = \frac{\Delta Y_{bi}}{n-1}$	-1975.8
საშუალო მატების ტემპი	$T_{avg} = T_{bi}^{\frac{1}{i-1}}$	0.95
საშუალო ნაზრდის ტემპი	$T_{avg}\Delta = T_{avg} - 1$	0.05

ცხრილი N3
დინამიკის ანალიტიკური მაჩვენებლები:

წლები	წმინდა მოგება	ბაზისური აბსოლუტური ნაზრდი	ჯაჭვური აბსოლუტური ნაზრდი	ბაზისური ზრდის ტემპი	ბაზისური ნაზრდის ტემპი	ჯაჭვური ზრდის ტემპი	ჯაჭვური ნაზრდის ტემპი	1% ნაზრდის აბსოლუტური მნიშვნელობა	აბსოლუტური აჩქარება	შეფარდებითი აჩქარებ	ზრდის მატების ტემპი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
2011	30119	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2012	24958	-5161	-5161	0.83	0.83	-0.17	-0.17	301.19	X	X	-0.17
2013	-37883	-68002	-62841	-1.26	-1.52	-2.26	-2.52	249.58	-57680	14.69	-2.09
2014	27984	-2135	65867	0.93	-0.74	-0.07	-1.74	-378.83	128708	0.69	2.19
2015	6571	-23548	-21413	0.22	0.23	-0.78	-0.77	279.84	-87280	0.44	-0.71
2016	38838	8719	32267	1.29	5.91	0.29	4.91	65.71	53680	-6.42	1.07

ცხრილი N4
დინამიკის საშუალო მაჩვენებლები წმინდა მოგება

მაჩვენებელი	გაანგარიშების ფორმულა	მნიშვნელობა
მწკრივის საშუალო დონე	$Y_{avg} = \frac{\frac{1}{2}Y_1 + Y_2 + ... + Y_{n-1} + \frac{1}{2}Y_n}{n-1}$	11221.7
საშუალო აბსოლუტური ნაზრდი	$\Delta_{avg}Y = \frac{\Delta Y_{bi}}{n-1}$	1743.8
საშუალო მატების ტემპი	$T_{avg} = T_{bi}^{\frac{1}{i-1}}$	1.05
საშუალო ნაზრდის ტემპი	$T_{avg}\Delta = T_{avg} - 1$	0.05

ცხრილი N5
დინამიკის ანალიტიკური მაჩვენებლები: ამონაგები გაყიდვებიდან

წლები	ამონაგები გაყიდვებიდან	ბაზისური აბსოლუტური ნაზრდი	ჯაჭვური აბსოლუტური ნაზარდი	ბაზისური ზრდის ტემპი	ბაზისური ნაზრდის ტემპი	ჯაჭვური ზრდის ტემპი	ჯაჭვური ნაზრდის ტემპი	1% ნაზრდის აბსოლუტური მნიშვნელობა	აბსოლუტური აჩქარება	შეფარდებითი აჩქარებ	ზრდის მატების ტემპი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
2011	247782	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2012	251641	3859	3859	1.02	1.02	0.02	0.02	2477.82	x	x	0.02
2013	250570	2788	-1071	1.01	1	0.01	0	2516.41	-4930	-0.27	0
2014	275841	28059	25271	1.11	1.1	0.11	0.1	2505.7	26342	-23.7	0.1
2015	313247	65465	37406	1.26	1.14	0.26	0.14	2758.41	12135	1.34	0.15
2016	395872	148090	82625	1.6	1.26	0.6	0.26	3132.47	45219	1.95	0.33

ცხრილი N6
დინამიკის საშუალო მაჩვენებლები ამონაგები გაყიდვებიდან

მაჩვენებელი	გაანგარიშების ფორმულა	მნიშვნელობა
მწკრივის საშუალო დონე	$Y_{avg} = \frac{\frac{1}{2}Y_1 + Y_2 + ... + Y_{n-1} + \frac{1}{2}Y_n}{n-1}$	282625.20
საშუალო აბსოლუტური ნაზრდი	$\Delta_{avg}Y = \frac{\Delta Y_{bi}}{n-1}$	29618.00
საშუალო მატების ტემპი	$T_{avg} = T_{bi}^{\frac{1}{i-1}}$	1.01
საშუალო ნაზრდის ტემპი	$T_{avg}\Delta = T_{avg} - 1$	0.10

ცხრილი N7
დინამიკის ანალიტიკური მაჩვენებლები: აქტივები

წლები	ამონაგები გაყიდვებიდან	ბაზისური აბსოლუტური ნაზრდი	ჯაჭვური აბსოლუტური ნაზარდი	ბაზისური ზრდის ტემპი	ბაზისური ნაზრდის ტემპი	ჯაჭვური ზრდის ტემპი	ჯაჭვური ნაზრდის ტემპი	1% ნაზრდის აბსოლუტური მნიშვნელობა	აბსოლუტური ჯრეხა	შეფარდებითი ჯრეხა	ზრდის მატების ტემპი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
2011	260397	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2012	287495	27098	27098	1.1	1.1	0.1	0.1	2603.97	x	x	0.1
2013	228614	-31783	-58881	0.88	0.8	-0.12	-0.2	2874.95	-85979	-1.97	-0.23
2014	264804	4407	36190	1.02	1.16	0.02	0.16	2286.14	95071	-0.77	0.14
2015	263353	2956	-1451	1.01	0.99	0.01	-0.01	2648.04	-37641	-0.03	-0.01
2016	289041	28644	25688	1.11	1.1	0.11	0.1	2633.53	27139	-17.8	0.1

ცხრილი N8
დინამიკის საშუალო მაჩვენებლები: აქტივები

მაჩვენებელი	გაანგარიშების ფორმულა	მნიშვნელობა
მწკრივის საშუალო დონე	$Y_{avg} = \frac{\frac{1}{2}Y_1 + Y_2 + ... + Y_{n-1} + \frac{1}{2}Y_n}{n-1}$	263797.00
საშუალო აბსოლუტური ნაზრდი	$\Delta_{avg}Y = \frac{\Delta Y_{bi}}{n-1}$	5728.80
საშუალო მატების ტემპი	$T_{avg} = T_{bi}^{\frac{1}{i-1}}$	1.01
საშუალო ნაზრდის ტემპი	$T_{avg}\Delta = T_{avg} - 1$	0.02

მიღებული შედეგების საფუძველზე გამოტანილი მმართველობითი გადაწყვეტილებები დროის საანალიზო ინტერვალზე იქნება დამოკიდებული. მიმდინარე მართვისათვის დროის ყველაზე ხშირად შემხვედრი პერიოდია ორი მომიჯნავე კალენდარული წელი. სტრატეტიული მართვისათვის საანალიზო ინტერვალი წლების მეტ რაოდენობამდე უნდა გაიზარდოს, მაგალითად, 5 წლამდე, რათა დიაგნოსტიკა ყველაზე ზუსტი და ზედმიწევნით გაზომილი იყოს. ამასთან ცვლილების ინტენსივობის დახასიათებისთვის ასევე უნდა გათვლილ იქნეს ზრდის საშუალო ტემპები, რომლებიც საშუალო გეომეტრიული, საშუალო ქრონოლოგიური და მარტივი საშუალო არითმეტიკული ფორმულებით განისაზღვრება. „ეკონომიკის ოქროს წესი“ გვიჩვენებს საწარმოს ეკონომიკურ პოტენციალს, მის შესაძლებლობას- განვითარდეს. ეს წესი საწარმოს ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელს წარმოადგენს. თუ „ეკონომიკის ოქრის წესი“ მითითებულ თანაფარდობაში სრულდება, ხოლო მაჩვენებლები ზრდის დინამიკას დემონსტრირებენ, ეს საწარმოზე არსებულ დადებით ტენდენციებზე მეტყველებს. მაგრამ თუ ის არ სრულდება, მაშინ ეს ფინანსური წონასწორობის დარღვევის მაჩვენებელია, და ასევე იმ სიტუაციისა, რომელიც აშკარა ან მალული კრიზის-ფაქტორების არსებობას ვარაუდობს. „ეკონომიკის ოქროს წესი“ ეს გარკვეული ეკონომიკური მოდელია. ამიტომ ფაქტობრივი მაჩვენებლების ამ მოდელთან შედარება იძლევა ნორმალური სიტუაციის იდენტიფიცირების საშუალებას(თუ მაჩვენებელთა თანაფარდობა მოცემულ ფარგლებშია მოქცეული და არანორმალურის, როდესაც ეს თნაფარდობა არ არის შენარჩუნებული).

დასკვნა

მოცემული წესის მიხედვით 2011–2016 წწ კომპანიის მდგომარეობის ფინანსური მაჩვენებლების შესრულებულმა შეფასებამ გვაჩვენა, რომ ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და ახლოსაა ნორმატიულთან. ეს, ჩვენი აზრით, კომპანიის ეფექტიანი მართვის მაუწყებელია. იმ სიტუაციის განსასაზღვრელად,

რომელიც მოგების, ამონაგების, აქტივების ზრდის ტემპების ცვლილების ინტენსივობას ეხება, ასევე მათი ზრდის ტემპების შესაფასებლად და საწარმოს მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად აუცილებელია დინამიკური (მცურავი) ნორმატივის გამოყენება. მოცემული ნორმატივი, რომელიც „ეკონომიკის ოქროს წესის" თანახმად არის შედგენილი, შეიძლება გახდეს ის ინდიკატორი, რომელსაც შეუძლია უკვე ექსპრესს-ანალიზის შედეგების საფუძველზე საწარმოს საქმიანობის შედეგების საკმარისად სრული სურათის ჩვენება.

თითოეული იმ პირობათაგან, რომლებიც მოწმდება „საქმიანი აქტივობის ოქროს წესის" ანალიზისას, თავის თავში გარკვეულ ეკონომიკურ აზრს მოიცავს.

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის ოქროს წესი ეს არა უბრალოდ თეორიული კონცეფციაა, არამედ სრულად პრაქტიკული პრინციპი, რომელიც ამჟამად, მრავალ კომპანიებში იყენებენ ბაზარზე მდგრადი მდგომარეობის მიღწევისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ковалев В.В., Волкова О.Н. Анализ хозяйственной деятельности предприятия. – М.: ООО «ТК Велби», 2002. – 424 с.

2. http://www.telasi.ge

REFERENCES

1. Kovalev V.V., Volkova O.N. Analysis of the economic activity of the enterprise. - M .: OOO "TK Velbi", 2002. - 424 p.

2. http://www.telasi.ge

ANALYSIS OF BUSINESS ACTIVITY, FINANCIAL SUSTAINABILITY AND EFFECTIVE PERFORMANCE MANAGEMENT

Lali Bochorishvili
Professor of GTU
Nana Avagumashvili
PhD Student of GTU

RESUME

The subject matter is relevant because the efficiency of the company's performance assessment plays a crucial role in the management of enterprise and industry. The leaders often face the problem of selecting an universal indicator that actually reflects the overall performance of the company. In the literary sources, the need for such indicators is often active.

In terms of market economy, it is necessary to evaluate the results of the business subjects' performance and maximum accuracy, for which the practice is used in other and economic indicators or system of oppressors. The goal of our research is to examine the system of "golden rule of economics", in which case, the protection of which can be extended to re-emergence and sustainable position on the market for business entities and for full development.

Key words: Earnings growth rate, assets growth rate, dynamic normal, "gold rule of economy".

საქართველოში ტურისტულ პროფესიათა მოთხოვნა-მიწოდების პრობლემების გამოკვლევა აჭარის არ-ს მაგალითზე

მარინა მეტრეველი
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ პროფესორი

ირაკლი თავბერიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია და გამოკვლეულია ტურიზმის ინდუსტრიის შრომის ბაზრის განვითარების პრობლემები. მსოფლიოში ტურიზმის გაფართოებასთან ერთად ქვეყნების წინაშე დღის წესრიგში დგას ტურიზმის განათლების სისტემატიზების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების ბაზრის განვითარების ამოცანები.

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც ცოდნა წარმოადგენს საწარმოო პროცესის ძირითად ფასეულობას, განათლებას და პროფესიული კადრების მომზადებას თანამედროვე დონეზე შეუძლია ტურიზმი აქციოს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ კონკურენტუნარიან სფეროდ, რომელიც გადამწყვეტ როლს შეასრულებს სამუშაო ადგილების შექმნასა და შესაბამისად, სიღარიბის დაძლევაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ადამიანურ რესურსზე, როგორც თვითონ ტურიზმის ინდუსტრიის შიგნით, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც იქნება და ხორციელდება ტურიზმის დარგის სწორი და თანმიმდევრული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომლის კატალიზატორი წარმოებული და მიწოდებული მაღალი ხარისხის ტურისტული მომსახურება და პროდუქტია.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ტურისტული ინდუსტრიის კადრების განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსით გამოწვეული დასაქმების პრობლემები აჭარის არ-ს მაგალითზე.

კვლევის ამოცანებია: პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც უკავშირდება ტურიზმის ადამიანური რესურსების მიწოდებისა და მათი შრომის ბაზრის მოთხოვნების დისბალანსის აღმოფხვრის სამთავრობო ღონისძიებებსა და საშუალებებს.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ინდუსტრია, შრომის ბაზარი, ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემა, განთავსების ობიექტები, პროფესიული განათლება.

შესავალი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ჩაატარა და 2018 წლის ბოლოს გამოაქვეყნა „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“. კვლევის მიხედვით, 2018 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, მთლიანად საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობამ 71 574 ადამიანი შეადგინა, რაც 4 353-ით (6,5%-ით) მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

მთლიანად საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთაგან 33 725 ადამიანი (47%) უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულია, 25 930 (36%) - საშუალო განათლების მქონე, ხოლო 11 919 (17%) - პროფესიული განათლების მქონე. აქედან, საკვებით მომსახურების სფეროში დასაქმდა 26 645 ადამიანი (37%), ტრანსპორტით მომსახურებს სფეროში - 23 165 (32%), განთავსების საშუალებებში - 18 235 (26%) და ტურისტული მომსახურების სხვა სფეროებში - 3 528 (5%) ადამიანი. [1] თუ გავაანალიზებთ ზემოთ მოცემული კვლევის შედეგებს, საინტერესოა ის ფაქტი, რომ საკვებითა და ტრანსპორტით მომსახურების სფეროში, რომელისთვისაც საკმარისია პროფესიული განათლება - დასაქმდა 69%, ხოლო განთავსებისა და ტურისტული მომსახურების სხვა სფეროებში, რომელთა უმრავლესობისთვის სა-

სურველია ჰქონდეთ უმაღლესი განათლების შესაბამის ცოდნა და უნარები, დასაქმდა - 31%.

მოცემული კვლევაში დაფიქსირებული მონაცემების გაანალიზებით, იბადება კითხვა: როგორ ხდება რომ ტურიზმის ინდუსტრიაში საქმდება უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პირები (47%+36%) უფრო მეტი, ვიდრე პროფესიული განათლების მქონენი (17%)? არა და ტურიზმის მომსახურების სფეროებიდან ლომის წილი დაკავშირებულია პროფესიული უნარების მქონე კადრებთან. სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო ევროპის ქვეყნებში, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, იზრდება ტურიზმის პროფესიული სკოლების რაოდენობა.

სურათი №1. დასაქმებულთა განაწილება ISCO-ს ელემენტარული ჯგუფების მიხედვით



წყარო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“, 2018

http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=26c121ff-bdee-4295-a5e7-c00b18c7abe1

სურათიდან ჩანს, რომ დასაქმებულთა უმეტესობას, რომლებისთვისაც საკმარისია პროფესიული განათლება: მზარეულები, მიმტანები, დამლაგებლები და დამხმარეები, მძღოლები, ბარმენები, მზარეულების დამხმარეებია და წარმოადგენს 38,9%-ს,

ხოლო 14,1%-ს კი წრმოადგენს პროფესიები, რომლებისთვისაც საჭიროა ან სასურველია უმაღლესი განათლება.

კვლევის მიხედვით, პრობლემები დაფიქსირდა სასტუმროებისა და სხვა ტურისტული მომსახურებების მენეჯერების (რომელთათვისაც საჭიროა უმაღლესი განათლება) ვაკანტური პოზიციების შევსებასთან დაკავშირებით. მიზეზთაგან ყველაზე ხშირად დასახელდა: არაკვალიფიციურობა, გამოცდილების ნაკლებობა და მაღალი ანაზღაურების მოლოდინი. აღნიშნული დასკვნაც ეჭვქვეშ აყენებს კვლევის შედეგს, რომლის მიხედვითაც ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულების ყველაზე მეტ რაოდენობას უმაღლესი განათლების პირების წარმოადგენენ. აქაც ისმის კითხვა: იქნებ ტურიზმის სფეროში არა ტურიზმის არამედ სხვა პროფილის უმაღლესი განათლების მქონე კადრებით ხდება ასეთი ვაკანსიების შევსება? ხოლო ტურიზმის პროფილის უმაღლესი სკოლების კურსდამთავრებულნი კი თავისი დაბალი ცოდნისა და უნარების გამო არა მენეჯერის, არამედ უფრო დაბალ პოზიციებზე საქმდებიან? ცხადია, რომ ამ მიმართულებით საკვლევი კიდევ ბევრია და სასურველია ასეთი კვლევების, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი და ხარისხობრივი განვითარება.

ძირითადი ტექსტი

2019 წლამდე არსებული კვლევები ან არ ითვალისწინებენ საქართველოს რეგიონებში და კერძოდ, აჭარის არ-ში განათლების სისტემაში არსებულ და ტურიზმის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებულ პრობლემებს, ან არის ზოგადი ხასიათის და ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც დღეს აჭარაში ტურიზმის განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დისბალანსს უკავშირდება. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო აჭარის რეგიონში ტურიზმის შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსით გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირება, რაც პირდაპირ კავშირშია რეგიონში ტურიზმის განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებთან.

შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანი გულისხმობს შემდეგი ამოცანების შესრულებას: გავარკვიოთ ტურიზმის უმაღლესი ან

პროფესიული სკოლების რამდენი კურსდამთავრებული საქმდება პროფესიული პროფილის მიხედვით ან ვერ საქმდება და რა არის ამის გამომწვევი მიზეზები; უკავშირდება თუ არა ისინი მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე მიღებული ცოდნისა და უნარების დონეს და რა ღონისძიებები უნდა გაატაროს მთავრობამ ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად. შესაბამისად, კვლევის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს აჭარაში შრომის ბაზრის განვითარებისათვის ტურიზმის განათლების მნიშვნელობის გამოკვლევა და შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ობიექტების შერჩევა მოხდა სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. ძირითადი კრიტერიუმი იყო ტურისტული საქმიანობის სფერო, იმ თვალსაზრისით, რომ კვლევაში მოხვედრილიყო ძირითადი დამსაქმებლები საწარმოებისა და ორგანიზაციების სახით და სასწავლო დაწესებებულებები.

კვლევის ამოცნებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა აჭარის არ-ში შრომის ბაზრის მიწოდების - უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების მიერ კვალიფიური კადრების მომზადებისა და დასაქმების მდგომარეობა, ხოლო შრომის ბაზრის მოთხოვნის - ტურისტული საწარმოებისა და ობიექტებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმებაში არსებული პრობლემები.

კვლევები ჩატარებულია 2 ეტაპად:

კვლევის ჩატარების პირველ ეტაპზე, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელშეწყობით, სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, 2018 წლის 30 აგვისტოს შევხვდით აჭარის ტურიზმის ბაზრის მონაწილეთა უმრავლესობას (იხ. დანართი N1. შეხვედრის მონაწილეთა სია). აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო: სახელმწიფო სტრუქტურებიდან - აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა, აჭარის დასაქმების ხელშეწყობის სააგენტომ; კერძო სექტორიდან - განთავსებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებმა, ტურისტულმა კომპანიებმა, დამოუკიდებელმა გიდებმა; სასწავლო დაწესებულებებიდან - ბათუმის შოთა რუსთაველის

სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საზღვაო აკადემიის წარმომადგენლებმა; საზოგადოებრივი კოლეჯებიდან - „ახალმა ტალღამ“ და „ბლექ სიმ“; არასამთავრობო ორგანიზაციებიდან - აჭარის გიდების ასოციაციამ.

შეხვედრა აქტიურ და სამუშაო ვითარებაში ჩატარდა და დაფიქსირდა არსებული გამოწვევები და პრობლემები, რაც ხელს უშლის აჭარაში დასაქმების ბაზრის განვითარებას. კერძოდ:

- არაპროფესიონალი ქართველი და უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული გიდები;
- უცხოური ენების გიდების სიმწირე;
- დასაქმების პერიოდის სეზონურობა;
- საკრუიზო ტურიზმის სასწავლო პროგრამების განუხორციელებლობა;
- უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლებში სასწავლო პრაქტიკის არამიზნობრივი განხორციელება (პრაქტიკის შესაბამისობა დიპლომში მითითებულ კვალიფიკაციასთან მიმართებაში);
- მაღალკვალიფიციური პროფესურისა და პედაგოგების სიმწირე;
- ტურისტულ საწარმოში პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტისთვის მოტივაციის გააქტიურებაზე დამსაქმებლის გულგრილობა;
- ტურიზმის სფეროს რეგულირებისა და საკანონმდებლო უზრუნველყოფის სისუსტე;
- უმაღლეს სასწავლებლებსა და განათლების სამინისტროს შორის კომუნიკაციის პრობლემა: კვლევით საკითხებში ინტერესების არათანხვედრა;
- დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულთათვის სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა, რაც ხელს უშლის სფეროში სპეციალისტების განვითარებას. საჭიროა მათ მიეცეს დასაქმების შესაძლებლობა;
- პრაქტიკის განსახორციელებელი მატერიალური ბაზის სიმწირე სასწავლებლებში;
- ენების კომპეტენციების სისუსტე ყველა დონეზე.

კვლევის მეორე ეტაპი. თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის ჩატარება (სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით შედგენი-

ლი ანკეტებით და ინტერვიუს გამოყენებით) აჭარის ტურისტული ინდუსტრიის წინასწარ შერჩეულ 212 ობიექტში, 2 უმაღლესსა და 2 პროფესიულ სასწავლებელში, აგრეთვე სიღრმისეული ინტერვიუ (face-a-face) ჩაუტარდა უნივერსიტეტის 20 კურსდამთავრებულს.

ცხრილი №1. აჭარაში ტურისტულ საწარმოებში სპეციალისტთა დასაქმების მდგომარეობა

	დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა	%	ტურიზმის უმაღლესი განათლება	%	ტურიზმის პროფესიული განათლება	%	შიდა ტრეინინგ გავლილი	%	საშუალო განათლებით	%	სულ
სულ	2079	100	367	18	260	13	790	38	662	31	100
განთავსების ობიექტები	1054	51	137	13	184	17	254	24	479	40	100
კვების ობიექტები	755	36	68	9	76	10	428	57	183	23	100
ტურისტული კომპანიები	270	13	162	60	0	0	108	40	0	0	100

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ 112 ტურისტული კომპანიის გამოკითხვის ანკეტებზე დაყრდნობით, 2019წ.

დიაგრამა №1. აჭარაში ტურიზმში ინდუსტრიის სექტორებში დასაქმებულთა ანალიზი განათლების დონის მიხედვით (%-ში)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ 112 ტურისტული კომპანიის გამოკითხვის ანკეტებზე დაყრდნობით, 2019წ.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული უმაღლესი და პროფესიული სკოლების მიერ 2014-იდან 2017 წლამდე ფიქსირდება კურსდამთავრებულთა შესაბამისად, 74%-იანი და 79%-იანი დასაქმება, ზემოაღნიშნული მონაცემები მეტყველებენ იმ ფაქტზე, რომ 2019 წლის მდგომარეობით, აჭარაში ძირითად ტურისტულ საწარმოებში დასაქმებულთა 69% მეტი მოდის შიდა ტრეინინგებ გავლილ და საშუალო განათლების მქონე კადრებზე, ხოლო 31-% ტურიზმის უმაღლესი და პროფესიული სკოლების კურსდამთავრებულ კადრებზე, განსაკუთრებით, სასტუმროებსა და ტურისტულ კომპანიებს უჭირთ უმაღლესი განათლების მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მოძიება. ნათელია, რომ დაბალი კვალიფიკაციისა და უნარების გამო ან ხდება აღნიშნული კადრების გადამზადება შიდა ტრეინინგებით, ან მოკლე დროის შემდეგ მათ უხდებათ ტურიზმიდან სხვა დარგში გადანაცვლება (ცხრილი 1., დიაგრამა1.).

კვლევის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის არში ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემის დაბალი დონე განაპირობებს განათლებასა და დასაქმების ბაზარს შორის არსებული „შეუთანხმებლობას", რაც თავის მხრივ უკავშირდება უმუშევრობას რეგიონში.

აღნიშნული ართანხვედრის შეზღუდვა შესაძლებელია თვითმმართველობების აქტიურად ჩართვით ტურიზმის პროფესიონალი კადრების მომზადებისა და გადამზადების კუთხით. მიზანშეწონილია მათ ბაზაზე არსებული ტურიზმის სამსახურებთან ან განყოფილებებთან შეიქმნას ტრეინიგ-ცენტრები, რომელთა სასწავლო პროგრამებითაც მომზადდებიან ნებისმიერი ასაკის ადამიანები, არა მხოლოდ მოთხოვნად პროფესიებში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მიღების მიზნით, არამედ პედაგოგები, რომლებიც მიიღებენ თანამედროვე ცოდნასა და უნარებს თავიანთი პროფესიული მოვალეობის უკეთესად განსახორციელებლად.

სასწავლო პროგრამების კონცეფცია უნდა ეფუძნებოდეს მათ გამიჯვნას 3 მიმართულებით: 1. იმ სპეციალობების სატრეინინგო კურსები, რომლებზეც შრომის ბაზრის მოთხოვნა ჭარბობს მიწო-

დებას (მაგალითად, სხვადასხვა მიმართულების გიდების, ტურ-ოპერატორების, ანიმატორების, ავიაგადაზიდვების დაჯავშნის სპეციალისტების და ა.შ.), 2. გადამზადების კურსები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის და 3. ტურიზმის პედაგოგთა გადასამზადებელი სემინარები და ვორქშოფები.

აღნიშნული ღონისძიების მიზანმიმართულად განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ საჭიროა ჩატარდეს ტურიზმის შრომის ბაზრის კვლევები შემდეგი მიმართულებით: 1. შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სპეციალობებისა და მათთვის ადამიანური რესურსის რაოდენობის დასადგენისთვის, 2. ე.წ. „მისტიური კვლევა“ (კონკრეტული ქეისებით) მომსახურების ხარისხის მონიტორინგისთვის და 3. უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნის მონიტორინგის მიზნით.

ტრეინინგების გავლის შემდეგ სპეციალისტმა უნდა მიიღოს სახელმწიფოსაგან აღიარებული სერტიფიკატი, რაც განაპირობებს მის კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. სასწავლო ცენტრებისა და პროგრამების დაფინანსების განხორციელება შეიძლება, როგორც მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველობების ბიუჯეტში სპეციალურად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებით, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოეთის საელჩოებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიღებული გრანტების საშუალებით.

დასკვნა

აჭარის უმაღლესი და პროფესიული სკოლების მიერ ფიქსირდება კურსდამთავრებულთა, დაახლოებით 75%-იანი დასაქმება, ხოლო კვლევით დასტურდება, რომ ტურისტული საწარმოები აწყდებიან კვალიფიციური კადრების დეფიციტს. ნათელია, რომ უმაღლესი და პროფესიული სკოლების კურსდამთავრებულთა დაბალი კვალიფიკაციისა და უნარების გამო ან ხდება აღნიშნული კადრების დასაქმებისთვის მათი გადამზადება შიდა ტრეინინგე-

ბით (რაც ტურისტულ საწარმოებში დასაქმებულთა 38%-ს შეადგენს), ან მოკლე დროის შემდეგ მათ უხდებათ ტურიზმიდან სხვა დარგში გადანაცვლება. დარგი კარგავს ადამიანურ რესურსს, იმის მაგივრად, რომ სხვა სფეროებიდან „გადმოიბიროს" უკვე განათლება მიღებული ახალგაზრდები და მისცეს მათ საშუალება ახალი პროფესიული უნარების შეძენის შემდეგ ჩაერთოს ტურიზმის სექტორში. აჭარის არ-ში ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემასა და დასაქმების ბაზარს შორის არსებული „შეუთანხმებლობა" განაპირობებს უმუშევრობის მაღალ პროცენტს რეგიონში.

კვლევით მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ნათელია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის შრომის ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ დარგის პროფესიებისა და სპრციალობები სწავლების დაგეგმვა, ზრდასრულთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შრომის ბაზრის შესწავლითა და კვლევით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა ხორციელდებოდეს, სადაც ცალსახად უნდა გამოიკვეთოს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობები, მათი რაოდენობა და მათთვის საჭირო უნარებისთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2015-2018 წლების სტრატეგიული გეგმა, 2014, ბათუმი. გვ. 18

2. აჭარის ტურიზმისა და კურორტების 2017 წლის საქმიანობის ანგარიში.

http://www.adjara.gov.ge/Uploads/docs/2e4f148457714f729674575531bf.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.02.2019

3. მეტრეველი მ. ტურიზმის ბიზნესი. გამომც. ,,ფავორიტი პრინტი". 2011, თბილისი.

4. მეტრეველი მ. ტურიზმის ტურიზმის ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი. გამომც. ,,ფოტონი". 2006, თბილისი.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა-

მინისტრო, „ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“, 2018. გვ. 7-36

6. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, გვ.: 14, 2015, თბილისი.

7. https://www.researchgate.net/publication/317168362_Tourism_Education_and_Edu-Tourism_Development_Sustainable_Tourism_Development_Perspective_in_Education_1 უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.03.2019

8. https://www.igi-global.com/dictionary/unlocking-the-employment-opportunities-in-tourism-industry-at-hadoti-region-with-the-help-of-tourism-education/53234 უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.03.2019

9. http://www2.unwto.org/about/employment უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01.03.2019

REFERENCES:

1. Strategic Plan of 2015-2018, Department of Tourism and Resorts of Adjara Autonomous Republic, 2014, Batumi. P. 18

2. Report on activities of Adjara Tourism and Resorts 2017 http://www.adjara.gov.ge/Uploads/docs/2e4f148457714f729674575531bf.pdf

3. Metreveli M., The Tourism Business, Favoriti Printi, 2011, Tbilisi, Georgia

4. Metreveli M., Explonatory Dictionary of tourism terms, Fotoni, 2006, Tbilisi, Georgia

5. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, Research of Labor Market Needs for Tourism Industry, Tbilisi, Georgia, 2018. p. 7-36

6. https://www.researchgate.net/publication/317168362_Tourism_Education_and_Edu-Tourism_Development_Sustainable_Tourism_Development_Perspective_in_Education_1

7. https://www.igi-global.com/dictionary/unlocking-the-employment-opportunities-in-tourism-industry-at-hadoti-region-with-the-help-of-tourism-education/53234

8. http://www2.unwto.org/about/employment

IDENTIFICATION OF THE PROBLEMS OF DEMAND – PROVISION OF THE TOURISTIC PROFESSIONS IN GEORGIA ON THE EXAMPLE OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

Marina Metreveli, Professor of GTU
Irakli Tavberidze, PhD Student of GTU

RESUME

The higher and vocational schools in Adjara region of Georgia ensure the employment of about 75% of alumni and the studies prove that the travel enterprises encounter the deficit of highly qualified personnel. It is clear that the low qualification and scarce skills of the alumni of the higher and vocational schools entail either the necessity of requalification thereof by the internal trainings (constituting 38% of the employees of the travel agencies) or they have to rotate to other field. Tourism loses the human resources instead of "alluring" educated youth from other spheres and allow them acquiring new professional skills and be employed in tourism sector. "Disagreement" in Adjara AR between the tourism educational system and employment market conditions high index of unemployment in this region.

The studies reveal that development of the labor market of tourism industry requires planning of the field professions and majors, improvement of qualification of the personnel. The professional requalification programs by the state based on study of the labor market and research information where the highly demanded majors at the labor market, their amount and the syllabuses necessary for their skills shall be clearly outlined.

Key words: Tourism Industry, Labour market, Tourism Educational System, Professional Education.

კლიმატის ცვლილება და მწვანე სახურავების ტექნოლოგიის დანერგვა

ანი ჯანუყაშვილი
სტუ მაგისტრანტი
თენგიზ ჯიშკარიანი
მეცნიერ ხელმძღვანელი, ტექნიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეზიუმე

ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო რთულდება ცხოვრება დიდ ქალაქებში. დაბინძურებული ჰაერი, გამონაბოლქვი სატრანსპორტო, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო სექტორებიდან, ხმაური და მტვერი, ნეგატიურ გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე. ეს განსაკუთრებით ეხება ჩვენ დედაქალაქს, სადაც ძირითადი აქცენტი ახალი საცხოვრებელი კორპუსების აშენებაზეა გაკეთებული და შესაბამისად ნაკლებად პრიორიტეტულია ქალაქის ტერიტორიის გამწვანება.

თბილისში არსებული შენობების სახურავების საერთო ფართი ჯამში რამდენიმე ასეულ კვ.მ-ს აღწევს და ეს ფართი სრულიად აუთვისებელია; უახლესი კვლევების მიხედვით, დღეს თბილისის ურბანიზებულ ტერიტორიაზე არსებული საერთო სარგებლობის გამწვანებული პარკებისა და სკვერების ფართობი ერთ სულ მოსახლეზე 3 კვ. მ-ზე ნაკლებია, მაშინ, როცა 1980-იან წლებში ეს რიცხვი 13 კვ.მ-ს შეადგენდა; ევროპული ქალაქებისათვის გენგეგმის მიხედვით, საშუალო ნორმატიული მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 20 კვ.მ. გამწვანების არსებობას ითვალისწინებს.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, ჰაერის დაბინძურება, ენერგოეფექტურობა, ახალი ტექნოლოგიები, განახლება-

დი ენერგია, მწვანე სახურავების ტექნოლოგია, მსოფლიო გამოცდილება, ენერგო-ეკონომიკური კვლევა.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

კლიმატის ცვლილება.ორგანული სათბობის წვის შედეგად, ბოლო 50 წლის განმავლობაში ნახშირორჟანგის (CO_2) კონცენტრაცია ატმოსფეროში ყოველწლიურად 1.6-2.0 ppm-ით იზრდება და 2050 წლისთვის 500 ppm-ს გადააჭარბებს, (ყოველ ერთ მილიონ ლიტრ ატმოსფერულ ჰაერში იქნება 500 ლიტრი CO_2), ხოლო საუკუნის ბოლოს 550-560 ppm-ს მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 800 ათასი წლის მანძილზე ჰაერში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის ნიშნული არ ასცილებია 300 ppm -ს (ნახ.1).

ნახშირორჟანგის აღნიშნული კონცენტრაცია გამოიწვევს 7^0C-ით გლობალურ გათბობას, რაც კლიმატისა და ბიოსფეროს ცვლილებასთან, მთელი მსოფლიოს მასშტაბით სასოფლო--სამეურნეო ზონების რადიკალურ ძვრებთან, კონტინენტური ყინულების დიდი ნაწილის დნობასთან და სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიების მასიურ დატბორვასთან არის დაკავშირებული.



ნახ. 1. ნახშირორჟანგის კონცენტრაციის დონე ატმოსფეროში (© climate.nasa.gov)

საქართველომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) (პარიზი, 2015 წ.) შესაბამისად დაამუშავა დოკუმენტი „ეროვნულად განსაზღვრული მოსალოდნელი წვლილი-ს (INDC) შესახებ“, რომლის თანახმად ქვეყანა, 2030 წლისთვის გეგმავს უპირობოდ შეამციროს სათბური გაზის გაფრქვევა ჩვეულებრივი საქმიანობით გათვალისწინებულ მაჩვენებელზე 15%-ით დაბლა. 15%-იანი შემცირების მიზანი შეიძლება გაიზარდოს 25%-მდე გლობალური თანამშრომლობის შედეგად ტექნიკური დახმარების მიღების, იაფ ფინანსურ წყაროებზე და ტექნოლოგიებზე წვდომის პირობებში. ტრადიციული ბიზნესის სცენარის 25%-იანი შემცირება აგრეთვე გარანტიაა იმისა, რომ საქართველოში სათბურის გაზის გამოყოფა 2030 წლისთვის 1990 წლის დონეზე 40%-ით ნაკლები იქნება.

ნახშირორჟანგის (CO_2) ემისიის შეზღუდვა ატმოსფეროში და კლიმატის ცვლილების სიჩქარის შემცირება უშუალოდ არის დაკავშირებული ენერგეტიკულ, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო, სამშენებლო და სატრანსპორტო სექტორებში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალურად გამოყენებასთან, მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვასა და ენერგოდამზოგავი ღონისძიებების პრაქტიკულ რეალიზებასთან.

კლიმატის ცვლილების სიჩქარის შემცირება, CO_2-ის ემისიის შეზღუდვასთან ერთად, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ გაზების შთანთქმის ინტენსივობაზე და, აქედან გამომდინარე, ტყეებისა და სხვა მცენარეული საფარის, როგორც ატმოსფეროდან CO_2-ის მშთანთქმნელების, შენარჩუნება-გაძლიერებაზე.

ცნობილია, რომ მცენარეთა ზრდის აუცილებელი ფაქტორებია სითბო, სინათლე, ტენი და ნახშირორჟანგი. ფოტოსინთეზის პროცესში ერთი ჰექტარი ტყე წელიწადში ატმოსფეროდან შთანთქავს 13-17 ტონა ნახშირორჟანგს და გამოყოფს 10-15 ტონა ჟანგბადს. გაზონით დაფარულ ფართობს შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანების გარკვეული რაოდენობის წლიური მოთხოვნილება ჟანგბადზე. ამავე დროს, მცენარეებს შეუძლიათ შეაკავონ 50%-მდე მტვერი და მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია;

მცენარეული საფარის, როგორც ატმოსფეროდან CO_2-ის მშთანთქმნელის, გაძლიერებისა და შენარჩუნების მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამერიკული საგენტო Vox მონაცემებით ყოველ წელს მსოფლიოში ჰაერის დაბინძურების შედეგად 6.5 მილიონი ადამიანი კვდება, მათ უმეტესობას ზემოხსენებული მიზეზით პროვოცირებული სიმსივნე და გულის სხვადასხვა დაავადება უვითარდებათ.

ჰაერის დაბინძურება. საქართველო იმ ქვეყნების სათავეშია, სადაც ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია, მიუხედავად ქვეყნის მასშტაბისა. საერთაშორისო ენერგეტიკულმა სააგენტომ (IEA) გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც განმარტებულია, რა საფრთხეს უქმნის ჰაერის დაბინძურება მსოფლიოს. კვლევაში მოცემულია დიაგრამა (ნახ.2), რომელიც ასახავს ქვეყანებს, რომლებშიც ჰაერი დაბინძურების კუთხით არსებულმა მდგომარეობამ ფატალურ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.



ნახ.2. ჰაერის დაბინძურების დიაგრამა

ქვეყნები ასი ათას ადამიანზე სიკვდილის მაჩვენებლის მიხედვით არის დალაგებული და გოგირდის დიოქსიდს (SO2), ნიტროგენის ოქსიდების (NOx) და ჰაერში არსებული სხვა მავნე ნივთიერებების ნაერთით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევებს მოიცავს.

როგორ მოხვდა საქართველო სიის სათავეში, კვლევაში განმარტებული არ არის, თუმცა ნათქვამია, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი ძველი, დიზელზე მომუშავე მანქანაა, რომელსაც მომწამვლელი გამონაბოლქვი აქვს. ამასთან, საქართველოში არ არის განვითარებული მუნიციპალური ტრანსპორტის სისტემა, მოსახლეობას საკუთარი მანქანებით უხდება გადაადგილება. ქართველების უმეტესობა კი მეორად მანქანებს ყიდულობს, რომელიც სხვა ქვეყნებიდან არის იმპორტირებული.

ამასთან, Vox წერს, რომ საქართველოში მანქანის მფლობელები ხსნიან დაზიანებულ კატალიზატორებს და აღარ ამაგრებენ ახალს, რაც რეალურად არ მოწმდება. გზებზე არ არის მოწესრიგებული მოძრაობა, ხშირად იქმნება საცობები, ყველა ეს ფაქტორი კი ჰაერის დაბინძურებას უწყობს ხელს.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერი ბინძურდება ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, სამრეწველო ობიექტებიდან და სოფლის მეურნეობის დარგებიდან. მათგან ძირითადი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი და ენერგეტიკაა, რადგან ბოლო წლებში იზრდება ამ სექტორებში მოხმარებული საწვავის რაოდენობა.

ნებისმიერ სხვა დამაბინძურებელზე მეტად, ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას სწორედ მტვრის ნაწილაკები ახდენს, რადგან მათ შესწევთ უნარი, შეაღწიონ ბრონქიოლების პერიფერიულ უბნებში და ხელი შეუშალონ ფილტვებს შიგნით ჰაერის მიმოცვლას. ადამიანის ჯანმრთელობაზე ასევე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს აზბესტი. შენობების დემონტაჟისას ჰაერში გაიფრქვევა აზბესტის ბოჭკო, რომელიც განსაკუთრებულად მაღალი ტოქსიკურობის კიბოს გამომწვევ ნივთიერებას წარმოადგენს. მისი შესუნთქვა შეუქცევად პროცესებს იწვევს, რის შედეგადაც ვითარდება მეზოთელიუმა, რაც

ადამიანისთვის ლეტალურად მთავრდება. აზბესტის გამოყოფა ავტოტრანსპორტის სამუხრუჭე ხუნდების ცვეთის დროსაც ხდება, მანქანაშიც და ატმოსფეროშიც.

რა უნდა გაკეთდეს რათა შემცირდეს ჰაერის დაბინძურება? სპეციალისტების თქმით, პირველ რიგში აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებებისა და ნორმების დადგენა, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებაა და რომელსაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ახორციელებს.

უმთავრესია ასაკის მიხედვით ავტოტრანსპორტის ლიმიტირება, საწვავის ხარისხის გაუმჯობესება, მანქანების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, მოძრაობის სწორ რეგულირება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება.

მწვანე სახურავები. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი, მწვანე საფარის მომატებას აქვს. აუცილებელია ქალაქში სარეკრეაციო ზონების, ბაღების, პარკების მომრავლება, მწვანე სახურავების ტექნოლოგიის დანერგვა ქვეყანაში და ამ კუთხით არსებული პოტენციალის გამოყენება.

ევროპისა და აშშ-ს ქალაქებში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო მწვანე გაზონებისა და მცენარეული საფარის მოწყობა შენობების სახურავებზე, რაც თავდაპირველად 1960 წელს გერმანიაში გამოჩნდა, შემდეგ კი ფართოდ გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით.

მწვანე სახურავებსა და მწვანე კედლებს მრავალი დადებითი მხარე აქვს. მათ აქვთ იზოლატორის ფუნქცია და ამცირებენ ელექტროენერგიის მოხმარებასა და ხარჯებს. ისინი აკავებენ წყალს ჩაბეტონებულ ადგილებში. ამასთანავე მწვანე საფარი არის მწერებისათვის ძირითადი გავრცელების ადგილები.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია თითოეული მცენარის მონაწილეობაა ფოტოსინთეზში, რაც გულისხმობს ყველა ცალკეული მცენარის მიერ თავის წილი CO^2-ს ჰაერიდან შეკავებას. ყოველი ახალი მცენარის გაზრდით ჩვენ ვებრძვით კლიმატის ცვლილებას.

მსოფლიო გამოცდილება. გასაკვირი არ არის, რომ საფრანგეთის ზოგიერთ ქალაქში ასევე ბაზელსა და ანტვერპენში,

ახალ და განახლებულ შენობებზე მწვანე სახურავების გაკეთება სავალდებულო გახდა. ევროპასა და მთელს მსოფლიოში წარმოდგენილია მწვანე სახურავებისა და კედლების არაერთი შთამბეჭდავი მაგალითი, როგორც საჯარო შენობებზე ასევე საცხოვრებელ კორპუსებზე. მწვანე სახურავების ტექნოლოგია საშულებას გვაძლევს: შევამციროთ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაური და სითბოს დანაკარგები ჭერიდან და სხვენიდან, გავზარდოთ ჟანგბადის შემცველობა ატმოსფერულ ჰაერში, დავიცვათ შენობის სახურავის მასალა ტემპერატურული ცვლილებებისაგან (სიცხისაგან და ყინვისაგან) და გავახანგრძლივოთ მათი საექსპლუატაციო ვადა, გავზარდოთ ჰაერის ტენიანობა (მწვანე საფარი ატმოსფეროში აბრუნებს ტენის 60%-ს), გამოვრიცხოთ სახურავის მასალიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო ნივთიერებებისა და ნაერთების გამოყოფა, თავიდან ავირიდოთ ცეცხლის სწრაფი გავრცელება სახურავის აალების შემთხვევაში და შენობას მივანიჭოთ ორიგინალური და ესთეტიკური სახე.

მსოფლიოს მასშტაბით არსებული და დანერგილი გამოცდილების გაზიარებით, რატომაც არ უნდა ვიფიქროთ რაიმე მსგავსის გაკეთება ჩვენს ქალაქებში, მაშინ როდესაც შენობების სახურავების საერთო ფართი ჯამში რამდენიმე ასეულ კვ.მ-ს აღწევს და ეს ფართი არაფერში არ გამოიყენება?

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მთელ მსოფლიოში შეინიშნება განსაკუთრებული ინტერესი „მწვანე სახურავების“ მიმართ. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ნიდერლანდები, ნორვეგია, იტალია, ავსტრია, უნგრეთი, შვეცია, დიდ ბრიტანეთი და საბერძნეთი, აგრეთვე აშშ-სა და კანადაში მიმდინარეობს ინტენსიური კვლევები სახურავების გამწვანების ეფექტურობის შესასწავლად. შექმნილია მრავალი კვლევითი ცენტრი და ასოციაცია.

დასკვნა

მიუხედავად მნიშვნელოვანი დადებითი მხარეებისა, მწვანე საფარის მოწყობა სახურავებზე არცთუ ისეთი მარტივია და დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან და სირთულეებთან.

პირველ რიგში, უნდა მოხდეს სახურავების გამწვანების მეთოდიკის შესწავლა და ერთი კონკრეტული შენობისათვის საპილოტე პროექტის შემუშავება, სითბოს დანაკარგების შესამცირებელი და ტენის შემაკავებელი საიმედო მასალის, აგრეთვე, ფესვების ზემოქმედებისაგან დამცავი ფენების შერჩევა, კარგად მოფიქრებული სადრენაჟო სისტემის მონტაჟი ზედმეტი ტენის ასართმევად, მწვანე საფარის გრუნტის სითბური რეჟიმის დადგენა, ტემპერატურის შენარჩუნება გარკვეულ დიაპაზონში, თბოფიზიკური პარამეტრების შესწავლა და საბოლოო ჯამში ენერგოეფექტურობის კუთხით გაანგარიშების ენერგო-ეკონომიკური და სხვა ტექნიკური მახასიათებლების შესწავლა.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. https://climate.nasa.gov/climate_resources/24/graphic-the-relentless-rise-of-carbon-dioxide/

2. http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/klimatiscvlileba/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90(%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%92%-E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90)

3. http://fortuna.ge/saqartveloshi-haeris-dabindzurebis-mach-venebeli-msoflioshi-yvelaze-maghalia/

4. https://goodgoal.org/2017/03/22/impressive-green-roofs-and-green-walls-in-europe/

5. http://liberali.ge/articles/view/21159/sashishi-haeri

6. http://netgazeti.ge/news/208410/

7. http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/haeri

8. https://web.toronto.ca/wp-content/uploads/2017/08/965d-Report-on-the-Environmental-Benefits-and-Costs-of-Green-Roof-Technology-for-the-City-of-Toronto-Chapter-4-1.pdf

9. https://www.campbellsci.com/news-university-toronto-green-roof

10. https://www.nasa.gov/pdf/665642main_NASA_and_Green_Roof_Research.pdf
11. http://greenroofoutfitters.com/green-roof-reserch/

CLIMATE CHANGE AND IMPLEMENTATION OF GREEN ROOF TECHNOLOGY

Ani Janukashvili, GTU MBA Student
Tengiz Djishkariani,
Scientific Supervisor,PhD, Professor of GTU

RESUME

In recent years, life has become more difficult in big cities. The polluted air from transport, industrial and household sectors, noise and dust-all these factors have a very negative impact on human health. This is especially essential for our capital city, where the top priority is building the new residential buildings and not the greenery of the city. However, the green cover has a great and direct impact on air cleaning (the known fact is that one hectare forest absorbs 13-17 tons of carbon dioxide from the atmosphere and emits 10-15 tons of oxygen annually).

In the cities of Europe and the United States, already in the 60s of the last century, the green roofs and covers have been built on the façades and roofs of buildings. Why not think about something similar in our cities, while the total area of the roofs of buildings reaches a few hundred square meters, which is a big untapped potential. Georgia is in the list of top countries with highest air pollution rates, so Energy efficiency and new technologies like green roofs, should be necessarily implemented to make our living environment safer.

Key words: Climate Change; Air Pollution; Energy Efficiency; Green roof Technology; World Experience; Renewable Energy, New technologies; Energy-Economic study.

სასტუმრო საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებლები

გვანცა ბერიძე
სტუ დოქტორანტი
ბესიკ ბარკალაია
სტუ პროფესორი

რეზიუმე

განხილულია სასტუმრო საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემა, ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტები და სასტუმროს საქმიანობის ეფექტიანობა, როგორც ასეთი.მსჯელობაა იმის თაობაზე, რომ სასტუმრო საწარმოების ეფექტიანობის ამაღლება პირველ რიგში უკავშირდება ეკონომიკურ ეფექტიანობას და ამდენად ამ უკანასკნელის ზრდა შეიძლება მოხდეს შემოსავლების დანახარჯებთან შედარებით სიჭარბის პირობებში.

სასტუმრო ბიზნესის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ საკმაოდ მაღალი მუდმივი დანახარჯების პირობებში შესაძლებელია ცვლადი დანახარჯების შეკვეცა. აღნიშნულია, რომ მიმზიდველობის მიუხედავად, ამ მეთოდის გამოყენებას განსაზღვრული არეალი გააჩნია, ვინაიდან დანახარჯები არ შეიძლება გახდეს გარკვეულ ზღვარზე დაბალი, რაც სასტუმროს კლასზეა დამოკიდებული.

საკვანძო სიტყვები: ეფექტიანობა, მაჩვენებელთა სისტემა, ფინანსური მდგრადობა, ეკონომიკური მდგრადობა.

ძირითადი ტექსტი

სასტუმრო საწარმოების ეფექტიანობის ამაღლება პირველ რიგში უკავშირდება ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამ უკანასკნელის ზრდა შეიძლება მოხდეს შემოსავლების დანახარჯებთან შედარებით სიჭარბის პირობებში. სასტუმრო ბიზნესის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ საკმაოდ მაღალი მუდმივი დანახარჯების პირობებში შესაძლებელია ცვლადი დანახარჯების შეკვეცა. მაგრამ, მიმზიდველობის მიუხედავად, ამ მეთოდის გა-

მოყენებას განსაზღვრული არეალი გააჩნია, ვინაიდან დანახარჯები არ შეიძლება გახდეს გარკვეულ ზღვარზე დაბალი, რაც სასტუმროს კლასზეა დამოკიდებული.

არსებობს საკითხის მეორე მხარეც. სასტუმროს მომგებიანობის საფუძველს საცხოვრებელი მომსახურებების გაყიდვა და ინფრასტრუქტურის, მ.შ. კვების ობიექტების მუშაობიდან შემოსული დამატებითი შემოსავლები წარმოადგენს. ამდენად, ნომრის გაქირავების ფასი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს შემოსავალზე და მის კორექტულ განსაზღვრაზე დამოკიდებულია სასტუმრო მომსახურების ეფექტიანობის შემადგენელი სხვა მაჩვენებლები. ერთი მხრივ, განსახლების სწორად განსაზღვრული ფასი აკომპენსირებს სანომრე ფონდის ფუნქციონირებაზე გაწეულ დანახარჯებს, მეორე მხრივ - ახდენს მომხმარებლის მხრიდან მოთხოვნილების გენერირებას.

ფინანსური მდგრადობა - არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ნებისმიერი მიმართულების ბიზნესის ფუნქციონირების სტაბილურობას. სასტუმრო საწარმო წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ იგი ახორციელებს ადეკვატურ ფულად პოლიტიკას, გააჩნია ფინანსური მდგრადობის საკმარისი რაოდენობა, ანუ საკთარი მაღალლიკვიდური აქტივების ღირებულების 50%-ზე მეტი.

მიკრო და მაკროეკონომიკური გარემოს ფაქტორები განსაზღვრავს ეკონომიკურ და ფინანსურ მდგრადობას, მათ სინერგიას, სწორედ ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანმაპირობებლობა წარმოადგენს განვითარების საწინდარს.

სადანახარჯოსთან შედარებით საშემოსავლო ნაწილის ზრდა, იძლევა რესურსებისა და ბიზნეს-პროცესების ეფექტიანი მართვის, ფულადი ნაკადების თავისუფალი მოძრაობის, ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების საშუალებას, რაც ერთობლიობაში წარმოადგენს ბიზნესის ღირებულებისა და მისი წარმატებულობის ზრდის საფუძველს.

იმყოფება რა მუდმივი განვითარების პროცესში ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, ნებისმიერი ბიზნესი ექვემდებარება ცვლილებებს, ამდენად ეს პროცესი წარმოუდგენელია გრძე-

ლვადიანი მიზნების დასახვის გარეშე. მათი რეალიზაცა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია ფინანსური რესურსების არსებობა. მათი არარსებობის შემთხვევაში, წარმოიქმენბა ნასესხები სახსრების ან ინვესტიციების მოზიდვის მოთხოვნილება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ვალის დაგროვება და საკრედიტო ტვირთის ზრდა.

ნებისმიერი საწარმოს მდგრადობის შესაფასებლად გამოიყენება მაჩვენებელთა სისტემა, რომელთაგან ნაწილი აბსოლუტურია, ნაწილი - შეფარდებითი. აბსოლუტურ მაჩვენებლებს განეკუთნება: წმინდა მოგება და აქტივები, საკუთარი კაპიტალი და საბრუნავი საშუალებები; ხოლო შეფარდებით მაჩვენებლებს კი მივაკუთნებთ:

- რეინვესტირება (რეინვესტირებული მოგების შეფარდება წმინდა მოგებასთან);
- საკუთარი კაპიტალის ზრდა (საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის საკუთარი კაპიტალის შეფარდება საკუთარ კაპიტალთან წლის დასასრულისთვის);
- საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (წმინდა მოგების შეფარდება საკუთარ კაპიტალთან);
- კომპანიის ეკონომიკური ზრდა (რეინვესტირების კოეფიციენტის ნამრავლი საკუთარი კაპიტალის რენტაბელობისა და ზრდის კოეფიციენტების ნამრავლზე);
- წმინდა აქტივების რენტაბელობა (რეალიზაციის რენაბელობის კოეფიციენტის ნამრავლი წმინდა აქტივების ბრუნვაზე);
- გაყიდვების რენტაბელობა (მოგების შეფარდება რეალიზაციიდან ამონაგებ თანხასთან).

უნდა აღინიშნოს, რომ მაჩვენებელთა ანალიზი გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ დასკვნები სასტურმო საწარმოს საქმიანობის სუსტ და ძლიერ მხარეებზე.

ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი შედგება სამი ფაქტორისაგან: რენტაბელობა, საკუთარი კაპიტალის ზრდა საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის, რეინვესტირების კოეფიციენტი. როგორც წესი, სასტუმროთა ფუნქციონირების კომპარატიული ანალიზი შემდეგი მიმართულებით ტარდება:

- ანალიტიკური ინფორმაციის მიღება სხვადასხვა სასტუმროს მუშაობის, გეოგრაფიული განლაგების, ტიპისა და კატეგორიის შესახებ;
- სასტუმროს ფაქტიური საქმიანობის შედეგების შეფარდება გეგმიურ მნიშვნელობებთან, რაც იძლევა საბიუჯეტო ამოცანების შესრულებისთვის თვალყურის მიდევნების საშუალებას;
- ეფექტიანობის მჩვენებლების დინამიურობის მახასიათებლების შედარებითი ანალიზი.

ნებისმიერი კომერციული საწარმოს რენტაბელობა ხასიათდება მაჩვენებელთა სისტემით - გაყიდვების, კაპიტალის, საკუთარი კაპიტალისა და ძირითადი საქმიანობიდან მიღებული კაპიტალის რენტაბელობით. ყველა ამ მაჩვენებლის კვინტესენციას კი ინვესიტიციების ერთ დახარჯულ ფულად ერთეულზე მიღებული შემოსავალი წარმოდაგენს.

ჯამური აქტივების მომგებიანობა პირდაპირ არის დაკავშირებული კომპანიაში საკუთარი კაპიტალის მაღალი შემოსავლიანობის უზრუნველმყოფი ბაზის არსებობასთან. ეს მაჩვენებელი განისაზღვრება, როგორც საწარმოს ქონების გამოყენების ეფექტიანობა და მისი კლება მოწმობს საწარმოს მომსახურებაზე (საქონელზე) მოთხოვნილების შემცირებას:

$$\mathbf{K}_{\text{საკუთ.}} - \mathbf{Pr}_{\mathbf{net}} -, \text{ როცა } \mathbf{K}_{\text{საკუთ}} = (\text{ბვ}_1 - \text{ბვ}_2), \text{ სადაც}$$

$\mathbf{K}_{\text{საკუთ.}}$ - საკუთარი კაპიტალია,
$\mathbf{Pr}_{\mathbf{net}}$ - წმინდა მოგება,
ბვ_1 - ბალანსის ვალუტა წლის დასაწყისისათვის,
ბვ_2 - ბალანსის ვალუტა წლის ბოლოსათვის.

კოეფიციენტი ახასიათებს აქტივების მომგებიანობას და ასახავს ფასწარმოქმნის პოლიტიკას, გარდა ამისა, დანახარჯების დონეს რეალიზებული მომსახურების (საქონელის) წარმოებაზე.

არსებობს მაჩვენებლის გაზრდის ორი ძირითადი საშუალება: 1) აქტივების ბრუნვის დაჩქარება; 2) წარმოების დანახარჯე-

ბის შემცირება, ანდა ფასების გაზრდა.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა, რომელიც ზომავს აქციონერების შემოსავლების საერთო მოცულობას და განსაზღვრავს, რა მოცულობის წმინდა მოგებას მიიღებს კომპანია საკუთარი სახსრების ყოველ ერთ ფულად ერთეულზე (დოლარზე, ლარზე, სხვა):

$$\text{რ}_{\text{საკუთ.კაპიტალ.}} = _\text{Pr}_{\text{net}}\text{–}$$

$$\text{რ}_{\text{საკუთ.კაპიტალ.}} = (\text{სკ}_1 - \text{სკ}_2),$$ სადაც

სკ_1 - საკუთარი კაპიტალის მოცულობაა წლის დასაწყისისათვის,

სკ_2 - საკუთარი კაპიტალის მოცულობა წლის ბოლოსათვის.

მოცემული კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა აჩვენებს ბიზნესის წარმატებულობას და შეუძლია განაპირობოს მისი აქციების საბაზრო კურსის ზრდა, იაფი ფინანსური რესურსების მოზიდვა განვითარებისათვის და ა.შ. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კარგი მაჩვენებლები ასევე შეიძლება იყოს დაკავშირებული მაღალ ინფლაციასთან ანდა კომპანიისათვის სხვა რისკებთან.

ძირითადი საქმიანობის რენტაბელობა გამოითვლება, როგორც გაყიდვებიდან მიღებული მოგების შეფარდება პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებთან:

$$\text{Pr}\ \text{რ}_{\text{ეალ.}} / \text{TC},$$ სადაც

$\text{Pr}_{\text{რეალ}}$ - რეალიზაციიდან მიღებული მოგებაა,

TC - გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.

ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს მოგების რაოდენობას, რომელიც მიღებულია მომსახურების (საქონლის) წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების ყოველი ერთი ფულადი ერთეულისათვის (დოლარი, ლარი, სხვა) და გამოითვლება როგორც მთელი ბიზნესისთვის, ასევე მისი ცალკეული დანაყოფისთვის.

პროდუქციის რენტაბელობის ზრდა შესაძლებელია თვითღირებულების შემცირებისა და საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ზრდის ხარჯზე.

გარდა ამისა, კვალიფიციური მართვა ამცირებს მატერიალურ საბრუნავ ხარჯებს რეალიზებული მომსახურების (საქონლის) ყოველ ერთ ფულად ერთეულზე (დოლარი, ლარი, სხვა).

გაყიდვების რენტაბელობა გაანგარიშდება, როგორც წმინდა მოგების შეფარდება საერთო (სარეალიზაციო და არასარეალიზაციო) მოგების ჯამთან:

$$\text{რ}_{\text{გაყიდვ.}} = \text{Pr}_{\text{რეალიზ.}} / (\text{Pr}_{\text{რეალიზ.}} + \text{Pr}_{\text{არასარეალიზ.}}) \cdot$$

ეს ინდიკატორი პირდაპირ არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობასთან. თუ გაყიდვების რენტაბელობა ნელ-ნელა იკლებს, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ან გაზრდილი დანახარჯები, ანდა საგადასახადო განაკვეთის მატება. გაყიდვების მოცულობის კლება შეიძლება იყოს დაკავშირებული მომსახურების ხარისხის ანდა მათზე მოთხოვნილების შემცირებასთან.

სასტუმრო ბიზნესის ინდუსტრია გვიჩვენებს, რომ მოთხოვნის კლების პირობებში ფასი ხდება ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს სასტურმოს კონკურენტუნარიანობას. ამასთან ერთად, სასტურმო ბიზნესის სპეციფიკურობიდან და საექსპლუატაციო დანახარჯებში მუდმივი ხარჯების მოცულობის დიდი წილიდან გამომდინარე, ფინანსური ეფექტიანობის საკითხები დიდ მნიშვნელობას იძენს, ავიწროვებს რა შესაძლო ფასისმიერი მანევრის არეალს. ვთვლით, რომ ამასთან დაკავშირებით აუცილებელია შესაბამისი ინსტრუმენტების ნაკრების ფლობა, რომელიც იძლევა სხვადასხვა სასტუმრო საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ოპერატიული და ზუსტი ანალიზის საშუალებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ferguson, T. S. A Bayesian analysis of some nonparametric problems // Ann. Statist. 1973. Volume 1. -P. 209-230.

2. Gronroos, C., Service Management and Marketing: A Customer Relationship Management Approach, 2-nd Edition. John Wiley & Sons, 2000.

3. Juran, J. Managerial Breakthrough. New York- Mc Graw-Hill, 1964.

4. Kruskal, I. B. Multidimensional Scaling by Optimizing Goodness of- fit to-a Nonmetric Hypothesis // Psychometrika. - 1964. - v. 29. - N 1.

5. Parasuraman, A., Berry L., Zeithaml V. SERVQUAL: A Multiple-Item Scale for Measuring Customer Perceptions of Service Quality // Journal of Retailing. 1988. - Vol. 64 (Spring). - P. 12 - 40.

6. Parasuraman, A., Zeithaml V., Berry L. A Conceptual Model of Service Quality and its Implications for Future Research // Journal of Marketing. -1985.-Vol. 49 (Fall).

PERFORMANCE INDICATORS OF THE HOTEL ENTERPRISES

Gvantsa Beridze
The Doctoral Student of Georgian Technical University
Besik Barkalaia
Doctor of Economics, Professor of Georgian Technical University

RESUME

The article reviews the efficiency performance of hotel enterprises, financial sustainability coefficients and efficiency of hotel activities. The authors are discussing that the efficiency of hotel enterprises is first of all linked to economic efficiency, so it is believed that the latter can be increased in terms of excessive revenue.

According to authors, one of the features of the hotel business is that it is possible to cut variable costs in conditions of high constant costs. At the same time, they note that despite the attractiveness, the use of this method has a definite area, as the costs can not be reduced to a certain level, depending on the hotel class.

Key words: efficiency, indicator system, financial sustainability, economic sustainability.

ქართული მეღვინეობის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიული მართვა

ზურაბ ჩხაიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია ღვინის წარმოების კონკურენტუნარიანობის სტრატეგიული მართვის თავისებურებანი და აღნიშნულია, რომ მეტწილად ისინი დამოკიდებულია სეზონურ მახასიათებლებზე, წარმოების ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზების სფეციფიკაზე, წარმოებასა და მართვაზე, რომლებიც გამომდინარეობენ დარგის ტექნიკური თავისებურებებიდან, ხოლო ქვეყნის მეღვინეობის კონკურენტუნარიანობის ზრდა უნდა ითვალისწინებდეს დარგის პრივატიზაციის შედეგებს.

გარდა ამისა, დასაბუთებულია დარგობრივი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა და დარგის შემდგომი განვითარებისათვის მის მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია, განვითარება, სახელმწიფო მხარდაჭერა.

ძირითადი ტექსტი

ღვინის წარმოების კონკურენტუნარიანობის სტრატეგიული მართვის თავისებურებანი მეტწილად დამოკიდებულია სეზონურ მახასიათებლებზე, წარმოების ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზების სფეციფიკაზე, წარმოებასა და მართვაზე, რომლებიც გამომდინარეობენ დარგის ტექნიკური თავისებურებებიდან, ხოლო ქვეყნის მეღვინეობის კონკურენტუნარიანობის ზრდა უნდა ითვალისწინებდეს დარგის პრივატიზაციის შედეგებს, რომლებიც ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- დემონოპოლიზაცია, ანტიმონოპოლური რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს პატერნალიზმს. კონკურენციის განვითარება წარმოებისა და მარკეტინგის სფეროში;
- დარგის ინფრასტრუქტურაზე ყველა მწარმოებლისათვის

და მომხმარებლისათვის თანაბარი და საკმარისი წვდომის უზრუნველყოფა. დარგობრივ დონეზე ეროვნული მეღვინეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ორგანიზაციების კონკურენტუნა-რიანობის სტრატეგიული მართვის განვითარების გზით;

• მეღვინეობის დარგში არსებული უსაფრთხოების სტანდარტების, ტექნიკური ნორმებისა და წესების ერთიანობა. ევროკავშირისა და მსოფლიო საბაზრო სისტემის სტანდარტების დანერგვა;

• ალკოჰოლური პროდუქციის ბაზრის ფინანსური გამჭირვალობის უზრუნველყოფა. წარმოების პროცესებში სახელმწიფოს უარყოფითი ჩარევის მინიმიზაცია, ამავდროულად პროდუქციის ხარისხის არჩევითი კონტროლის გამკაცრება საცალო ქსელებში და სადამსჯელო რეგულაციების შემოღება უხარისხო პროდუქციაზე, რომლებიც ითვალისწინებს შესაბამისი მაღაზიების დახურვასაც კი;

• ინვესტორების, კრედიტორებისა და აქციონერების კანონიერი უფლებების დაცვა სტრუქტურული ცვლილებების გატარებისას, შერწყმებისა და შთანთქმების დარგობრივი კონტროლი, არაკეთილსინდისიერი შთანთქმებისა და საკუთრების ეკონომიკური კანონდარღვევების დაუშვებლობა.

ეროვნული მეღვინეობის სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის სავალდებულოა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

• მეღვინეობის პროდუქციის რეგიონული, კონკურენტუნარიანი ბაზრების შექმნა საქართველოს ყველა რეგიონში;

• ეფექტური მექანიზმების შექმნა მეღვინეობის პროდუქციის წარმოებისა და ლოჯისტიკის სფეროში, რათა შემცირდეს ბიზნეს-რისკები და გაუმჯობესდეს დარგის ფინანსური მდგომარეობა;

• ხელსაყრელი პირობების შექმნა ახალი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისა და აშენებისთვის, რომლებიც მეღვინეობის ნედლეულის შენახვაზე, წარმოებასა და პროდუქციის ლოჯისტიკაზე იქნება გათვლილი;

• არსებული ერთიანი სავაჭრო ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო აქციზურ საწყობებს, ტექნიკური კონტროლის ლაბორატორიებს, რეგიონულ საბაჟო საწყობებს, კონფისკაციის წესით ამოღებული და კონტრაფაქტული პროდუქციის საწყობებს და უვარგისი პროდუქციის განადგურებისათვის საჭირო ტექნიკას;

• დარგის განვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც დაარეგულირებს მის ფუნქციონირებას და მიმართული იქნება კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში;

• მეღვინეობის დარგში სახელმწიფოებრივი რეგულირების, მართვის და დაკვირვების სისტემების რეფორმირება;

• ღვინის წარმოების ტექონოლოგიის სპეციფიურობა მდგომარეობს წარმოების ციკლის ხანგრძლივობაში, საბოლოო პროდუქტის ხარისხი დამოკიდებულია საწყისი ნედლეულის ხარისხზე, ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების კავშირებზე ერთმანეთთან მიმართებაში და ზოგადად, ყურძნის მოყვანისა და ღვინის წარმოების ტერიტორიების მაქსიმალური სიახლოვის აუცილებლობაზე.

კავშირი ყურძნის ხარისხსა, საწყის ნედლეულსა და საბოლოო პროდუქციას შორის ძალზე მჭიდროა, ვინაიდან უხარისხო საწყისი პროდუქტისგან პრაქტიკულად შეუძლებელია ხარისხიანი ღვინოების წარმოება. ზოგ შემთხვევაში კარგი ნედლეულისგანაც კი არის შესაძლებელი უხარისხო ღვინის მიღება იმ შემთხვევაში, თუ წარმოების რომელიმე საფეხურზე, ან რომელიმე ტექნოლოგიური ოპერაციის დროს დაშვებულ იქნება გადახრა ან შეცდომა. დარღვევა შესაძლოა სრულიად უმნიშვნელოდ კი ჩანდეს (მაგალითად, თუკი მუშებს გარკვეული სპეციფიური სუნი აქვთ), მაგრამ ღვინის ხარისხზე ამან შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს.

ღვინის წარმოების პროცესში მკაცრი მოთხოვნებია იმ ჭურჭლის მასალაზე, რომლებშიც მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროცესები. დაცული და გათვალისწინებული უნდა იყოს ტე-

მპერატურის ნორმები, დუღილის სტიმულატორები, ეკოლოგიური გარემო, მეღვინეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომელიც ხელოვნებისა და მეცნიერების ზღვარზე უნდა ფუნქციონირებდეს.

მეღვინეობის პროდუქტის მინიმალური ხარისხისთვის, სულ მცირე, აუცილებელია სწორი სავენახე მიწის შერჩევა. საქართველოში ამ მიზნისთვის განსაკუთრებულად ვარგისიანია კახეთის, ქართლის, იმერეთის მხარის მიწები, სადაც კონცენტრირებულია ვენახების უმეტესი ნაწილი (91% და მეტი). დანარჩენი ფართობი მოდის სამეგრელოზე, გურიაზე და რაჭაზე. იმთავითვე, კახეთის მხარეში არსებობს მიწები, რომლებიც გამოუსადეგარია მაღალი ხარისხის ყურძნის მოსაყვანად. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღეს არსებობს ე.წ. ექსტრემალური მიწებიც, სადაც ვაზი გადარჩენის ზღვარზეა (ასეთ ვაზზე ამბობენ, რომ ის "ტირის"). ისინი თავმოყრილია საქართველოს დარჩენილ რეგიონებში.

ვაზის დასარგავად საჭიროა ხარისხიანი ელიტარული ჯიშის სანერგე მასალა, რომლიდანაც ათწლეულების მანძილზე (კარგი ვაზი ნაყოფს იძლევა 100 წელსა და მეტხანს) მიიღება სრულფასოვანი ყურძნის მოსავალი ვარგისიანი მაღალი ხარისხის ღვინის დასამზადებლად იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დროული მოვლის პირობები.

ღვინის პროდუქციის რეალიზების სპეციფიკა საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ქართული ღვინის მაგალითზე. საფრანგეთში, მაგალითად, იმავე ხარისხის ღვინოებისათვის, რაც საქართველოშია (ხვანჭკარა, ქინძმარაული), გააჩნიათ ბევრად უკეთესი და ცნობილი ბრენდები, რომლებიც „აწყობილია" ბევრი კომპონენტისგან: დაქწებული ღვინის ხარისხითა და დამთავრებული ამ ღვინოების ბოთლების ფორმებით. ამიტომაც ისინი სარგებლობენ ბევრად მეტი სამომხმარებლო მოთხოვნით და იყიდებიან ბევრად მაღალ ფასად, ვიდრე ქართული ანალოგები. ამიტომაც ფრანგული ღვინის ზოგიერთი ბრენდის ფასები (5 და მეტი ათასი ამერიკული დოლარი ბოთლ ღვინოზე) არ არის გასაკვირი. ღვინის მოხმარება

საფრანგეთსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ითვლება მაღალი კულტურისა და პრესტიჟული ცხოვრების სტილის მაჩვენებლად. მიდრეკილება მსგავსი ცხოვრების სტილისკენ წარმოადგენს თანამედროვე ტენდენციას გლობალური მასშტაბით, მათ შორის საქართველოშიც, სადაც მოსახლეობისთვის ღვინის კულტურული მოხმარება არა მარტო შეძლებული, არამედ ყოველდღიური საყოფაცხოვრებო და რელიგიური ცხოვრების ნორმაა. ამ ტენდენციის გავრცელება ყველა კონტიგენტის ალკოჰოლის მომხმარებელზე ქვეყნის მასშტაბით მოგვცემდა შემოსავლების გაზრდის საშუალებას. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გენერალური მიზნის ფორმულირება, რომელიც გულისხმობს ქვეყნისა და რეგიონების მეღვინეობის დარგის განვითარებას: მსოფლიო ბაზარზე ორიენტირებული წარმოების მასშტაბებისა და მაღალი ხარისხის ღვინის წილის გაზრდა და ამავდროულად დაბალი ხარისხის ღვინოების სრული ლიკვიდაცია.

მეღვინეობის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიული მართვა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს იმასაც, რომ ყურძენი და ღვინო, საბოლოო ჯამში, არ არის აუცილებელი მოხმარების პროდუქტები, თუმცა, გაყიდვების მაჩვენებლებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან პროდუქციას.

ღვინის მოხმარება მოსახლეობის უმრავლესობისთვის დამახასიათებელია დღესასწაულებზე, სუფრასთან და უქმე დღეებში. თუმცა მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მოიხმარს ღვინისა და კონიაკის ნაწარმს ყოველდღიურად და არც თუ მცირე რაოდენობით 0,5 ლიტრი და მეტი). ერთ სულზე ღვინის მოხმარების მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 87-ე ადგილს იკავებს. საკმაოდ მსხვილი მასშტაბების საკუთარი ღვინის წარმოების მიუხედავად, საქართველოში ხდება ისეთი ქვეყნების ღვინის ნაწარმის შემოტანა, როგორებიცაა - მოლდოვა, საფრანგეთი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ყურძნისგან ღვინის გარდა მზადდება წვენები, მურაბები, მუსები, ბადაგი, ტკბილეული (ფელამუში,

ჩურჩხელა), თვითონ ყურძენი კი იყიდება თავისი პირვანდელი სახით, როგორც მზა პროდუქტი, მისი უმეტესი წილი მაინც ღვინის წარმოებისთვის მოიხმარება (90% და მეტი).

ღვინის პროდუქტების ნარჩენებისგან შესაძლებელია ამზადებენ საკვები პროდუქტების სუროგატების (მაგალითად, ყურძნის მარცვლებისგან - დაბალი ხარისხის ყავის) დამზადება, მათ იყენებენ საქონლის საჭმლის დასამზადებლად და სხვა. მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ფურაჟისათვის კვებითი დანამატების დამზადებას მინიმალური სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც ნარჩენების გამოყენებით რაიმე მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღებაზე იმედების დამყარება არ ღირს. ძირითადი შემოსავალი ყურძნის წარმოებისგან არის ღვინის გაყიდვით მიღებული თანხები.

აქვე იმალება ის ძირითადი დიალექტიკური წინააღმდეგობა, რომელსაც დირექტიული მართვის ორგანოები და ოფიციალური ეკონომიკური მეცნიერება დიდი ხნის მანძილზე ნიღბავდნენ ან მალავდნენ. ერთის მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი, როგორც სოციალისტური წყობის დროს, ასევე დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ალკოჰოლური სასმელების გაყიდვებისგან მიღებულ შემოსავალზე. მით უმეტეს, თუ საუბარია ღვინოზე (იგულისხმება იაფი, დაბალი ხარისხის ღვინოები, რომლებიც მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის). მაგრამ მეორე მხრივ, ალკოჰოლის გამოყენების შედეგად მიღებული შემთხვევების დანახარჯი, რომელიც გულისხმობს მკურნალობის თანხებს, ტრავმებს, ნაადრევ ინვალიდობას, სატრანსპორტო შემთხვევებს, სუიციდს, კრიმინალის ზრდას და მისთანებს, ითვლის ათობით, თუ არა ასობით ათას ლარს ყოველწლიურად, რაც დაახლოებით ტოლია იმ შემოსავლებისა, რომელსაც ალკოჰოლური პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიიღება. არსებობს სხვა სპეციფიური პრობლემებიც, მაგალითად, ბრძოლა მინდვრის მავნებლებთან, ყურძნის მოსავლის აღებისა და მისი გადამუშავების აუცილებლობა მოკლე ვადაში, რაც უნარჩუნებს პროდუქტს სიტკბოს. რთველის დროს სასურველია მოსავლის

ძირითადი ნაწილის მოკრეფა, რაც ყოველთვის არ არის შესაძ-ლებელი ამინდების, ან ხალხის, სატრანსპორტო საშუალებების, ქარხნების მოწყობილობების ნაკლებობის გამო.

მეღვინეობის დარგის განვითარების სტრატეგიული განვი-თარების გეგმა უნდა მოიცავდეს კლასტერების და სტრატეგი-ული ჯგუფების ანალიზს, რომელიც, ჩვენი აზრით, გულისხმობს შემდეგ ძირითად მიმართულებებს (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. ქვეყნის მეღვინეობის დარგის წარმოების კონკურენტუნარიანობის სტრატეგიული ანალიზის მიმართულებები (საავტორო)



როგორც დიაგრამაზე ჩანს, მიზანშეწონილია, გამოვყოთ ქა-რთული მეღვინეობის ანალიზის ექვსი ძირითადი მიმართულე-ბა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი, უსათუოდ, პროდუქ-ციისა და დარგის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და მისი საბაზრო საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივების შეფასე-ბაა.

ერთის მხრივ, ეს გულისხმობს ყურძნის მოყვანის ეფექტურობის ანალიზსა და შეფასებას, მეორე მხრივ - ღვინის ქარხნებისა და მევენახეობის თანამშრომლობის ეფექტურობის ანალიზსა და შეფასებას, მესამე მხრივ - ნედლეულის ზონების ანალიზსა და შეფასებას, დაბოლოს - ღვინის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ანალიზსა და შეფასებას შიდა და საერთაშორისო ბაზარზე. აქ, პირველ რიგში, საუბარია მაღალი ხარისხის ღვინოებზე (როგორც სუფრის, ან სადესერტო ალკოჰოლი), რომლებიც მიზანმიმართულია კულტურული გამოყენებისთვის.

ღვინის პროდუქტის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის ზრდის საწყისი მაჩვენებელი არის მონიტორნიგი. ის უნდა მუშაობდეს ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ბაზრების პროდუქციის წარმოებაზე შემდეგი მიმართულებებით:

• ბაზრის წილი პროდუქციის წარმოებაში;

• მწარმოებელი-კონკურენტები და მათი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა (ბაზრის მდგომარეობა), კონკურენტული სტრატეგიები, ეკონომიკური ეფექტურობა;

• პროდუქციის ბაზრის განვითარების სტატეგიული და ტაქტიკური ტენდენციები.

მონიტორინგი ხორციელდება თითოეული პროდუქციის ჯგუფზე, იდეალურ შემთხვევაში თითოეულ სახეობაზე. მისი პროფესიონალური განხორციელება იძლევა საშუალებას, შეიქმნას საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის სრული სურათი და შესაძლებლობა, განისაზღვროს მიმართულებები პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

სტრეტეგიის შემდეგი ეტაპი - პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ანალიზია. ანალიზის მიზანია იმ ძირითადი ფაქტორების პოვნა, რომლებიც მოქმედებენ პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე, მათი მიზეზ-შედეგობრივი და ურთიერთდამოკიდებულების კავშირების აღმოჩენა. ამოცანები, რომლებიც საჭიროა ანალიზისათვის, შემდეგია:

• პროდუქციის ხარისხისა და მისი კონკურენტუნარიანობის ურთიერთკავშირის ანალიზი;

• პროდუქციის ფასებისა და კონკურენტუნარიანობის ურთიერთკავშირის ანალიზი;

• პროდუქციასადმი არსებული სამომხმარებლო სურვილებისა და კონკურენტუნარიანობის ურთიერთკავშირის ანალიზი;

• პროდუქციის კონკურენტულ უპირატესობათა და ნაკლოვანებათა ანალიზი.

სტრატეგიის შემდეგი ეტაპი ღვინის პროდუქციის კომპლექსის კონკურენტუნარიანობის შეფასებაა. ის უნდა იყოს კონკრეტული და პასუხობდეს კითხვას: შეესაბამება თუ არა მიღწეული კონკურენტუნარიანობის დონე მოცემული ეკონომიკური ეფექტიანობის დონეს? მთავარი სირთულეა იმ კონკრეტული დონის შემუშავება, რომელიც უნდა იქნას ჩამოყალიბებული ან საწარმოს ხელძღვანელობის, ან მესაკუთრეების მიერ. ორიენტირად შესაძლებელია იმავე წარმოების წინა პერიოდის მაჩვენებლების, მოცემულ დარგში საუკეთესო მწარმოებლის მაჩვენებლების, საშუალო სამრეწველო ან საერთაშორისო მაჩვენებლების გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი შეესაბამება ეკონომიკური ეფექტურობის გეგმიურ დონეს (გაყიდვების რენტაბელობა), მაშინ საჭიროა განხორციელდეს გეგმიური ღონისძიებები პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის ორი ძირითადი მიმართულებით: ზღვრული დანახარჯების შემცირება და პროდუქციის ხარისხის გაზრდა. თუ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები არ შეესაბამება გეგმიურ დონეს, მაშინ საჭიროა რევოლუციური ინოვაციების გატარება ორი ძირითადი მიმართულებით: თუკი არსებობს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის რეზერვები, საჭიროა მათი დაუყოვნებლივ რეალიზება, თუ არ არსებობს - საჭიროა მესაკუთრეთა და მმართველთა შეცვლა. ყველა სხვა შემთხვევაში გაკოტრება გარადაუვალია.

ღვინის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის სტრატეგია შეუძლებელია ახალი დონის სამრეწველო მენეჯმენტის გარეშე. საბჭოურმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მართვის ადმინისტრაციული მოდელი, რომელიც ემყარება უმკაცრეს პა-

სუხიმსგებლობასა და ფართო ინიციატივას, - ყველაზე კონკურენტუნარიანია მსოფლიოში. დღეს კი ქართული მენეჯმენტის დამახასიათებელი თვისებებია არაპროფესიონალიზმი და უპასუხისმგებლობა. კონკრეტულ სამრეწველო დაწესებულებაში მენეჯმენტის პრობლემა შეიძლება შემდეგი ღონისძიებების გატარების მეშვეობით მოგვარდეს:

• ახალგაზრდა სპეციალისტების მოწვევა ქვეყნის მოწინავე უმაღლესი, პირველ რიგში, ცენტრალური სასწავლებლებიდან;

• „თავებზე ნადირობა": კონკრეტულ დარგში წამყვანი სპეციალისტების მონიტორინგი და გადაბირება;

• ხელმძღვანელ თანამდებობებზე მაღალკვალიფიცირებული კადრების დანიშვნა, სამუშაოზე მიღებისას პრეტენდენტების გამოცდილების, მუშაობის ეფექტურობის, დიპლომისა და სხვა პარამეტრების გათვალისწინება;

• პირდაპირი და მკაცრი მატერიალური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაცემის, ან თუნდაც, იმავე დონეზე შენარჩუნების შემთხვევაში;

• დასავლური ქვეყნების მენეჯმენტის რომელიმე მოდელის გამოყენება.

ვფიქრობთ, რომ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით მოიჯარეებთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი მიმართულებებით:

• ყველა მომწოდებლის მონიტორინგი (ფასები, მოწოდებული ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ხარისხი, საქმიანი რეპუტაცია, ხელმძღვანელთა გუნდის შემადგენლობა);

• მიმოქცევაში არსებული სარეზერვო თანხების გამყარების დროის მინიმუმამდე დაყვანა - იაპონური სისტემა "კენბანი" ან "ზუსტად დროში";

• მომწოდებელთა მონიტორინგის ბაზაზე ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმო სტრუქტურების შექმნა, კლასტერების განვითარება;

• სტრუქტურიდან ისეთი საწარმო დაწესებულებების თუ ელემენტების ამოღება, რომელთაც არ მოაქვთ შედეგი; მათ

ადგილას დამოუკიდებელი, მცირე ბიზნესების დაარსება.

დღეს საქართველოში მეღვინეობის სტრატეგიული მართვა რეალურად არ არსებობს, რაც არ აძლევს ქვეყნის მეღვინეობის დარგს საშუალებას მყარი ზრდის დაბალანსებისათვის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის სფეროში. არსებული საგადასახადო სისტემა ორიენტირებულია არა დარგის წარმოებით შესაძლებლობათა განვითარებაზე, არამედ სახელმწიფოს დაუსრულებელ საჭიროებებზე, ამიტომ საწარმოსთვის ის ასრულებს არა მასტიმულირებელ, არამედ "მომგუდავ" ფუნქციას. შედეგი ბუნებრივია - წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება, მსოფლიო ლიდერებისგან დიდი ჩამორჩენა, სამრეწველო მეურნეობის სტრუქტურის დეფორმირება. აუცილებელია იმის გაგება, რომ პროდუქციის კონკურენტუნარიანობა არის იმ ადრინდელი ფაქტორების ზემოქმედების შედეგი.

ღვინის პროდუქციის კონკურენტულ უპირატესობათა წყაროებია - ფასი, დიფერენციაცია, ღირებულება და ხარისხი. კონკურენტუნარიანობის საერთაშორისო დონის მიღწევა და შიდა ბაზარზე ეროვნული პროდუქციის დომინირება მიღწეულ უნდა იქნას არა პროტექციონიზმით, რომელსაც პირადად ჩვენ განვიხილავთ, როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნიმუშს სახელმწიფო დონეზე, არამედ წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის ზრდით.

ვფიქრობთ, რომ არსებობს ქვეყნის მევენახეობისა და მეღვინეობის მართვის ორგანიზების რამდენიმე ვარიანტი: სახსრების საკმარისი ოდენობის არსებობის შემთხვევაში, კარგი იქნებოდა მეღვინეობისა და მევენახეობის სამინისტროს ან დეპარტამენტის შექმნა, ვინაიდან ყურძენი საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტს წარმოადგენს. ასეთი სტრუქტურის შექმნის მთავარი პრინციპები უნდა იყოს :

- სამომხმარებლო ინტერესების პრიორიტეტულობა, სხვა ეკონომიკურ ინტერესებთან შედარებით;
- მაკონტროლებელი ფუნქციების კონცენტრაცია ერთ ადგილზე, ყველა სხვა დანარჩენი ინსტანციებისათვის შემოწმების პირდაპირი აკრძალვა;
- სახელმწიფოს ყველა ძალისხმევის მიმართვა მეღვინეობი-

სა და მევენახეობის სექტორების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

მიგვაჩნია, რომ მეღვინეობის დარგის სახელმწიფო მხარდაჭერის კონკრეტულ ფორმებად უნდა იქცეს მიზანმიმართული ღონისძიებები შემდეგი მიმართულებებით:

• კრედიტების სახელმწიფოებრივი გარანტები, მეღვინეობის საწარმოებისთვის სუბსიდირებული პროცენტული წილი საბანკო კრედიტებზე;

• ძირითადი საწარმოო ფონდების განახლების მხარდაჭერა, რაც უნდა გამოიხატებოდეს მიღებულ სარგებელში კაპიტალური ინვესტიციების გადასახადებიდან, ლიზინგში, კაპიტალური ინვესტიციების ნაწილის სუბსიდირებაში, დაჩქარებულ ამორტიზაციაში (3-5 წლამდე);

• მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მხარდაჭერა ყველა არსებული შესაძლებლობით: სამეცნიერო-ჯვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების შექმნით დაწყებული, სახელმწიფოს მიერ საუკეთესო მსოფლიო ტექნოლოგიების შესყიდვებითა და მათი საწარმოებისთვის გადაცემით დამთავრებული.

რაც შეეხება პროტექციონისტურ ზომებს, ანუ იმპორტული პროდუქციის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მეთოდებს, ისინი უნდა ახდენდნენ ეროვნული მწარმოებლის სტიმულირებას, რათა გაიზარდოს პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. რა თქმა უნდა, პროტექციონიზმზე ერთბაშად უარის თქმა სახიფათოა წარმოებისთვის, რადგან ეს შეიძლება დარგისა და ეკონომიკის კრახით დასრულდეს. ამიტომ პროტექციონისტური ზომები უნდა არსებობდეს და მათი შემცირება თანმიმდევრულად ხდებოდეს, სრულყოფილი კონკურენციის ორგანიზების პირობებში.

კონკურენტუნარიანობის ძალის შეფასება ბაზარზე და ანტიმონოპოლიური რეგულირება არის აუცილებელი ელემენტები სამრეწველო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის სისტემის სამართავად. აუცილებელია იმის გააზრება, რომ თუკი არსებობს კონკურენცია, არსებობს მისი მამოძრავებელი ძალაც, რომელიც ქმნის განვითარებას, პროგრესს, შეიძლება არა ტაქტიკურად, მაგრამ ყოველთვის - სტრატეგიულად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Baptista R., Swann P., Do firms in clusters innovate more?, Research Policy, 27, 2008, pp 12-14

2. Certain I., Malcova E., THE Perspective of Innovation Clusters, Scientific Papers Series Management , Economic Engineering in Agriculture and Rural Development, Vol. 13, Issue 1, 2013, pp 2-5

3. Clemons E., Reddi S., Row M., The Impact of Information Technology on the Organization of Economic Activity: The "Move to the Middle" Hypothesis, Journal of Management Information Systems, Volume 10, №2, 2017, pp 15-18

4. Doronina I.I., Borobov V.N., Ivanova E.A., Agro-industrial Clusters as a Factor of Increasing Competitiveness of the Region, International Journal of Economics and Financial, Vol 6, Special Issue (1), 2016, pp 2-5

5. Giuliani E., The selective nature of knowledge networks in clusters: evidence from the wine industry, Journal of Economic Geography, Volume 7, Issue 2, pp 4-

6. Kassalis I., Industrial Clusters: A Coefficient Factor For Integrated Development, Journal Intellectual Economics, Vol. 5, No. 2(10), pp 7-11

7. Kowalski A., The Role of Innovative Clusters in the Process of Internationalization of Firms, Journal of Economics, Business and Management, Vol. 2, No. 3, 2014, pp 1-3

8. Латышев А. Ю., Особенности Кластеров Как Современных Форм Монополий, Вестник Челябинского государственного университета, № 32 (323), 2013, стр. 2-5(. Latyshev A. Yu., Features of Clusters as Modern Forms of Monopolies, Herald of Chelyabinsk State University, No. 32 (323), 2013, pp. 2-5)

9. Костенко О.В., Койластерн И., Роль промышленной политики в развитии кластеров, Крымский научный вестник, №2 (8), 2016, стр. 7-10(Kostenko O.V., Koilastern I., The Role of Industrial Policy in the Development of Clusters, Crimean Scientific Herald, №2 (8), 2016, pp. 7-10)

STRATEGIC MANAGEMENT OF GEORGIAN WINEMAKING COMPETITIVENESS

Zurab Chkhaidze
Doctoral Student of Georgian Technical University

RESUME

The article deals with the peculiarities of the strategic management of the competitiveness of wine production. There is noted that they largely depend on the seasonal characteristics, the technologies of production, the efficiency of labor organization, the production and management derived from the technical specifications of the sector and the growth of the country's winemaking competitiveness. It highlights the results of privatization of the sector.

In addition, the author discusses the necessity of developing the sectoral state strategy and its significance for further development of the sector.

Key words: strategy, development, state support.

ტურიზმის სახეობრივი მრავალფეროვნება: კოორდინაცია და იერარქია როგორც უსაფრთხოების პრობლემის კვლევის მეთოდი

თამარ მესხიშვილი
სტუ დოქტორანტი
მარინა მეტრეველი
სტუ პროფესორი

რეზიუმე

განხილულია ტურიზმის სახეობების ამჟამად არსებული საკმაოდ დიდი რაოდენობა, რის გამოც უსაფრთხოების დონისა და ხასიათის განსაზღვრისათვის მოცემული პრაქტიკაში მონაწილე აგენტებისა და უწინარეს ყოვლისა თავად ტურისტებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ტრადიციული კლასიფიკაციური მიდგომების გამოყენების აუცილებლობას.

საკვანძო სიტყვები: კოორდინაცია, იერარქია, უსაფრთხოება.

ძირითადი ტექსტი

მთავარი კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას იძლევა კლასიფიკაციური ერთეულები განვალაგოთ ერთ რიგში, არის განხორციელებული ტურისტული პრაქტიკის დაყოფა აქტიურ და პასიურ ტურიზმად. ტურიზმის ორივე ტიპი წარმოადგენს ადამიანების შრომისუნარიანობის მხარდაჭერისა და აღდგენის საშუალებას, ამიტომ ჩვენ განვიხილავთ კლასიფიკაციური ერთეულების მონაცემებს, როგორც კოორდინაციულად განლაგებულს, ანუ ერთ მწკრივში განლაგებულს. მათი არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პასიური ტურიზმი ორიენტირებულია სტაციონარული საცხოვრებლის მქონე სპეციალური ტურისტული ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე, მაშინ როდესაც აქტიური ტურიზმი ორიენტირებულია გადაადგილებაზე.

შემდგომი დიფერენციაცია იყენებს კლასიფიკაციური ერთე-

ულების განლაგების იერარქიის ელემენტებს და საშუალებას იძლევა შინაგანი სახეობრივი განსხვავებების გამოვლენისათვის როგორც პასიურ ასევე აქტიურ ტურიზმში. პასიურ ტურიზმში – ეს არის ტურისტული ინფრასტრუქტურის გამოყენების დაყოფა ნიშანთვისებების მიხედვით (მსხვილი კურორტები და მცირე სასტუმრო ფორმები) და ამ ტპის ტურიზმის სახეობების შემდგომი დიფერენციაციით მოტივაციის ნიშანთვისებზე და საჭირო რესურსების დახასიათებით, რომელიც საჭიროა კლასიფიკაციის ბოლო საფეხურის განვითრების ყველა მდგენელისათვის (ცხრილი 1).

აქტიურ ტურიზმში პირველად კლასიფიკაციურ ნიშანად გვევლინება გადაადგილების ტიპი (ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და მათი გამოყენების გარეშე), თითოეული მათგანის შემდგომი დიფერენციაციით ორი ნიშანის მიხედვით. იმ შემთვევაში, როცა გამოიყენება ტექნიკური საშუალებები – ისინი იყოფა საწყალოსნო და საიალქნო, მოტო, ავტო და ველო ტურიზმად. იმ შემთხვევაში კი, როცა გადაადგილება ხდება ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე, მიღებულია დაყოფა საფეხმავლო, სამთო, სათხილამურო, სპელეო და საცხენოსნო ტურიზმად.

ცხრილი 1. კულტურაზე ორიენტირებული (პასიური) ტურიზმი (შედგენილია ავტორის მიერ)

ტურიზმის ტიპი	კულტურულად ორიენტირებული ტურიზმი							
მომსახურების სახეობა	მსხვილი კურორტები კომპლექსრი მომსახურებით				მცირე სასტუმრო ფორმები			
ტურიზმის ქვესახეობა მოტივაციის მიხედვით	სამკურნალო	გამაჯანსაღებელი	შემეცნებითი	საქმიანი	გამაჯანსაღებელი	შემეცნებითი	საქმიანი	სპორტული

შემდეგი იერარქიული საფეხური წარმოადგენს დაყოფას მოგზაურობის მოტივაციის ნიშნით (ცხრილი 2).

ცხრილი 2. აქტიური ტურიზმი (შედგენილია ავტორის მიერ)

აქტიური ტურიზმი								
ფეხმავალი	**საფეხლოსნო**	**სამთო**	**სათხილამურო**	**საიალქნო**	**ავტო და მოტოტურიზმი**	**ველოტურიზმი**	**სველოტურიზმი**	**საცხენოსნო**
გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, სპორტული	გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, სპორტული	შემეცნებითი, სპორტული	შემეცნებითი, სპორტული	სპორტული	შემეცნებითი, სპორტული	გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, სპორტული	გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, სპორტული	გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი, სპორტული

ამგვარად, ჩვენს მიერ გამოყენებულ კლასიფიკაციურ მიდგომაში ამორჩეულია იერარქიისა და კოორდინაციის შეხამება (სუბორდინაცია), რომლის დროსაც კლასიფიკაციური სტრუქტურის იერარქიულობა უფრომეტი დონით ვლინდება მაშინ, როცა ხდება აქტიური ტურიზმის მრავალფეროვნების განხილვა. პასიური ტურიზმისათვის კლასიფიკაციური სქემის აგების შემთვევაში გამოიყენება სამი იერარქიული საფეხური: ტიპი, სახეობა და ქვესახეობა; მაშინ როცა აქტიური ტურიზმისათვის გამოიყენება ოთხი საფეხური: ტიპი, კლასი, სახეობა და ქვესახეობა.

თუ დავეყრდნობით სხვა კლასიფიკაციას, რომელშიც დიფერენციაციის კრიტერიუმის სახით გამოყენებულია მოგზაურობის ორგანიზებულობა, სავსებით ნათელი გახდება აქტიური ტურიზმის უსაფრთხოების პრობლემის კიდევ ერთი მხარე.

ჯგუფები, რომელთა ფორმირება ხდება მოგზაურობის განხორციელებისათვის, განსხვავდებიან ორგანიზების დონითა და მეთოდით. უნდა განვასხვავოთ ორგანიზებული, თვითშემოქმედებითი და სპონტანური ტურისტული ჯგუფები. მოკლედ დავახასიათოთ ყოველი მათგანი და გამოვავლინოთ მათი არსებითი მახასიათებლები. ორგანიზებული ტურისტული ჯგუფი. განვიხილოთ ჯგუფი ორგანიზებულ ტურიზმში. ტურისტული მარშრუტი ფორმირდება წინასწარ, რომელიმე გასაშუალოებული ტურისტული ჯგუფის მოთხოვნილებზე გათვლით.

ორგანიზებული ტურისტი იძენს პეკიჯ–ტურს და ამას აღიქვამს და აფასებს, როგორც შემოთვაზებულ პროდუქციას, რაც გამიზნულია მასობრივი გაყიდვისათვის. შესაბამისად იგი ცდილობს მოგზაურობის ორგანიზატორისაგან მიიღოს სიამოვნების, კომფორტისა და მომსახურების მაქსიმუმი, რაცა ხელმძღვანელობს პრინციპით „მე ვიხდი – თქვენ გვაწვდით“.

იგი მოგზაურობის დროს არ იღებს თითქმის არავითრ გადაწყვეტილებებს, რითაც საკუთარ კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობების უმეტესი ნაწილი გადააქვს ჯგუფის ხელმძღვანელზე. ამგვარი ტურისტული პრაქტიკის ტიპოლოგია შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს, ისევე როგორც ტურისტების მოტივები და მიზნები. არც თუ იშვიათად, ტურისტული საგზურების შეძენის დროს ტურისტს აქვს არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, რას უნდა მოელოდეს მოგზაუროების დროს. საერთო ჯამში ადგილი აქვს რეალობის მოლოდინებთან შეუსაბამობას, მაშინ როცა ნებისმიერი მოგზაურობის შედეგის შეფასება ხდება იქიდან გამომდინარე, რამდენადაა დაკმაყოფილებული პირადი მოლოდინები.

რაც უფრო რთულია მოგზაურობა, მით უფრო რთულია ჯგუფის ფორმირების პროცესი. განსაკუთრებით რთულ მდგგომარეობაში არიან ტურისტული ჯგუფების ხელმძღვანელები, რადგან მათ წინაშე დგას ამოცანა: მოკლე დროში მოახდინონ ქმედუნარიანი კოლექტივის ფორმირება, ხოლო საწყის „მასალას“ წარმოადგენენ განსხვავებული ფიზიკური მომზადების, ასაკის, ტურისტული გამოცდილების მქონე ადამიანები, რო-

მელთაც არ აქვთ ერთმანეთის მსგავსი შეხედულებები, ინტერესები, ჩვევები და, უმეტეს შემთხვევებში, არ იცნობენ ერთმანეთს.

როგორც წესი, ორგანიზებული ჯგუფების ფორმირება ხდება ხელმძღვანელის მონაწილეობის გარეშე, ანუ ხელმძღვანელს არ შეუძლია გავლენა იქონიოს ჯგუფის ხარისხობრივ შემადგენლობაზე, რომელიც გამოიხატება მონაწილეების ფსიქოლოგიურ მსგავსებაში, რადგან ტურისტული პროდუქტი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის, რომელსაც შეუძლია მისი შეძენა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ტურისტული ფირმა პოულობს გამოსავალს ურთულესი სიტუაციიდან.

მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ ამონარიდი, ფრანგული ტურისტული ფირმის სარეკლამო პექტიდან: „გამგზავრებამდე თქვენ გაივლით მომზადებას, რომელის დროსაც მიიღებთ შესაძლებლობას, შედარებით ახლოს გაიცნოთ ადამიანები, რომლებთან ერთდაც მოგელით საკმაოდ მნიშვნელოვანი დროის გატარება. ერთობლივი კურსების და ტრენინგების გავლის შედეგად, თქვენ მოახდინოთ ერთგვარი „ჯგუფური სულისკვეთების“ ფორმირებას. ყოველივე ეს, პლუს თქვენი თანმხლები ინსტრუქტორების მაღალი კვალიფიკაცია და ჯგუფთან მუშაობის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა, უზრუნველყოფს მწვერვალზე ასვლის წარმატებას ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შემთხვევაში“.

ამგვარად, ორგანიზებული ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელის ამოცანაა ჩამოაყალიბოს ჯანმრთელი ფსიქოლოგიური კლიმატი არა მარტო მოგზაურობის მოსამზადებელ ეტაპებზე, არამედ მისი ჩტარების პროცესშიც.

თვითშემოქმედებითი ტურისტული ჯგუფი არსებითად განსხვავდება ორგანიზებულისაგან. თვითშემოქმედებითი ჯგუფი, უმეტესწილად ფორმირდება ერთი წრის ადამიანებისაგან: ოჯახი, მეგობრები, თანამშრომლები, ადამიანები, რომლებთან ერთადაც უკვე ყოფილან მოგზაურობებში. ასეთი ჯგუფები იქმნება ნებაყოფილობით საწყისებზე, ურთიერთობების წესები და ქცევის ნორმები განისაზღვრება არა თანამდებობ-

რივი მდგომარეობით, არამედ ჩაფიქრებული ღონისძიების მიზნებით, მონაწილეების ხასიათითა და პირადი თვისებებით. ამიტომ ასეთ ჯგუფში „გუნდური სულისკვეთება“ დომინირებს პირად ინტერესებზე. აგრეთვე არსებობს მიზნებისა და მოტივების ერთაიანობა, რომლებიც უფრო მეტია ვიდერ ჯგუფებში, რომლებიც ფორმირებულია ორგანიზების სხვა მეთოდებით. რადგან მოგზაურობის შემუშავება ხდება დამოუკიდებლად, შესაძლებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობა. ამით მნიშვნელოვნად ფართოვდება მოგზაურობის მონაწილეების მომზადების შესაძლებლობები, მათ შორის ფსიქოლოგიურიც.

სპონტანური ტურისტული ჯგუფი მიეკუთნება სოციალურ წარმონაქმნს, რომლებიც ხასიათდება ქცევის და მისი შედეგების არაპროგნოზირებადობით მოგზაურობის განხორციელების ყველა ეტაპზე. აქტიურ ტურიზმში სპონტანური ჯგუფების ფორმირება ძირითადად დაკავშირებულია საინფორმაციო ქსელების განვითრებასთან, მათ სიხშირესთან და ინფორმაციის მოძრაობის სისწრაფის მატებასთან, რომლის საიმედობა არ არის აბსოლუტური და მალე ძველდება. ამგვარი დაუსწრებელი ფორმირება არაკონტროლირებადი და ხშირად საშიშია. ჩვეულებრივ, სპონტანურ ტურისტებში ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანობის, მსგავსება და მომზადებულობა პრაქტიკულად ნულის ტოლია, თუმცა ცალკეულ მონაწილეებს შეიძლება ქონდეთ მნიშვნელოვანი გამოცდილება აქტიურ ტურიზმში.

სპონტანური ტურისტების ჯგუფი არ არის გაერთიანებული მარშრუტის წამყვანი მოტივაციით, რადგან ხშირად შედგება უცნობი ადამიანებისგან და არსებითად წარმოადგენს არამდგრად გაერთიანებას, რომელსაც გააჩნია განსხვავებული, ხშირად დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოტივაციები; ამიტომ სპონტანური ჯგუფი ყოველთვის მიდრეკილია მარშრუტზე მთლიანი ან ნაწილობრივი დაყოფისაკენ და კონფლიქტურია. როგორც წესი, სპონტანურ ჯგუფში ლიდერობა გამოკვეთილი არ არის და ვარირებს. ერთმმართველობა პრინციპულად შეუძლებელია.

დასკვნა. რთულ, ანუ მეორე კატეგორიაზე მაღალ მარშრუტებზე სპონტანური ტურიზმი შეუძლებელია პრინციპში. ამგვარად, უსაფრთხოების პრობლემას აქვს გამწვავების ტენდენცია ტურისტული პრაქტიკის მთავარი მონაწილეების აქტივობის დონის მატების შესაბამისად და ტურისტული ჯგუფების ორგანიზებულობის შემცირების კვალობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Perception of risk posed by extreme events. Paper prepared fo discussion at the conference "Risk Management Strategies in an Uncertain World". Palisades. New York. April 12-13. 2017

2. Alexander Y., 2017. Communications Aspects of International Tourism. International Problems, Vol. 16, 55-60.

3. Journals from Databases: Ayoob, M., 2001. Security in the Third World: the worm about to turn? International Affairs, Vol. 60, Issue 1. Available from: http://web.ebscohost.com/ehost/pdfviewer/pdfviewer?sid=510109fd-9fd0-4f68-be5b-5a731a98b017%40sessionmgr110&vid=5&hid=125 . retrieved on 8 December 2010.

4. Reviews Vol. 1(1), pp.9-11. Available from: http://www.academicjournals.org/MPR/PDF/Pdf2010/Apr/Ibekwe.pdf. retrieved on 10 February 2011Limits to Community Participation in the tourism development process in developing countries. Tourism Management, Vol. 21, Issue 6. Um, S. and Crompton, J.L., 2010.

5. Chudi, I.P., 2010. Healthcare problems in developing countries. Medical Practice and Everything you wanted to know about space tourism but were afraid to ask. Space SafetyMagazine.Retrievedfromhttp://www .spacesafetymagazine.com/spaceflight/commercial -spaceflight/wanted-space-tourism-afraid / Rakobowchuk, P. (2013, 25 May).

6. Tourism safety risks leaves industry watchers concerned. Huffington Post. Retrieved from http://www.huffingtonpost.ca/2013/05/25/space-tourism-safety-risks-_n_3335366.html Reddy, M.V., Nica, M., & Wilkes,K.(2012).

DIVERSITY OF TOURISM: COORDINATION AND HIERARCHY AS A METHOD OF RESEARCH OF SECURITY PROBLEMS

Tamar Meskhishvili,
PhD Student of GTU,
Marina Metreveli,
Professor of GTU

RESUME

The article discusses quite a large number of types of tourism species, therefore it is essential to the use of traditional classification approaches for agents who are participating in the practice for determining the level of safety and character, and first of all themselves.

Key words: Coordination, hierarchy, safety.

ბიზნეს-პროცესების რეინჟირინგი და ბენჩმარკინგი

ბაჩო რუსიშვილი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

„ბიზნეს-პროცესების რეინჟირინგი და ბენჩმარკინგი“ განხილულია ხუთი საკითხად. პირველ საკითხად განხილულია ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის საჭიროობა, დახასიათებულია მისი სამი მეთოდი და უპირატესობა. მეორე საკითხად განხილულია ბენჩმარკინგი, როგორც ბიზნეს-პროცესების იდენტიფიკაციის საშუალება. ბენჩმარკინგით ფასდება ბიზნეს-პროცესის „ჯანმრთელობის“ მდგომარეობა და საჭირო შემთხვევაში ხდება მისი რეინჟინერინგი. მესამე საკითხად განხილულია ბიზნეს-ინჟინერინგის ჩატარების 6 ეტაპი, რომელიც იწყება ბიზნეს-პროცესის განახლების საჭიროობის დასაბუთებით და მთავრდება განახლებული პროცესის დანერგვით. მეოთხე საკითხში საუბარია რეინჟირინგის მეთოდებზე და ინსტრუმენტებზე, ხოლო მეხუთეში რეინჟინერინგის გუნდზე, მასში შემავალ წევრთა როლებსა და ფუნქციებზე.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-პროცესები, რეინჟირინგი, განახლება, გადაპროექტება, სასიცოცხლო ციკლი, მოდელირება, ოპტიმიზაცია

შესავალი

ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესებაზე (Busuness Process Improvement) საუბარი ეს არის ახალი კონცეფცია ბიზნესში, რომელიც უკვე 20-30 წელია, რაც თანდათან ინერგება კომპანიებში. ეს კონცეფცია ბიზნეს-პროცესების მწარმოებლურობის, ეფექ-

ტიანობის და ადაპრიტებადობის ამაღლებაზეა მიმართული [1, გვ. 54]. მას ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი ეწოდება (Business Process Reengimering - BPR). მეცნიერების მ. ჰამერი და ჯ. ჩამპი რეინჟინერინგად მიიჩნევენ „საწარმოს საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებში ძირეული გაუმჯობესების მისაღწევად ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტურ გადააზრებას და რადიკალურ გადაპროექტებას“.

ქართველი მეცნიერი ა. სამადაშვილი რეინჟინერინგად თვლის „ბრწყინვალებადაკარგულ ბრილიანტის შეცვლას მისი ახალი მოდელით [1, გვ. 102], ანუ არა მის უბრალო გადაპრიალებას, არამედ უფრო ბრწყინავით შეცვლას. ვერაფერს იტყვი, მიგნებაც კარგია და შედარებაც კარგი.

რეინჟინერინგის დაწყებამდის საჭიროა კომპანიის მთელი ბიზნეს-პროცესების ბენჩმარკინგის ჩატარება, ანუ მათი „ჯანმრთელობის“ შემოწმება და იმ პროცესების ამორჩევა, რომლებიც გამოჯანმრთელების თვალსაზრისით გადაუდებელ დახმარებას მოითხოვენ.

1. ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის საჭიროება და მეთოდები.

დაბერების თავიდან ასაცილებლად ბიზნეს-პროცესებს ოპტიმიზაცია სჭირდებათ. ეს ხორციელდება სამი გზით: გაუმჯობესებით, გარდაქმნით და რეინჟირინგით. №1 ცხრილში მოცემული მათი მახასიათებლები გვარწმუნებს იმაში, რომ მათ შორის რეინჟირინგი საუკეთესოა.

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, რეინჟინერინგი ბიზნეს-პროცესების ძირეული გარდაქმნა, მასშტაბური ცვლილებაა. იგი ფირმის მთლიან ბიზნესს ეხება და განსხვავებით გაუმჯობესებისა და გარდაქმნისგან, მისი ეფექტიანობა რევოლუციურია ე. ი. მაღალზე – მაღალია.

მაგრამ ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესება კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს, ხოლო გარდაქმნა პერიოდულად, რეინჟინერინგი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს. კომპანიის ხელმძღვანელობამ სწორედ ეს მომენტი უნდა

ცხრილი №1

ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის მეთოდები კომერციულ ბანკებში [1, გვ. 199]

მეთოდის დახასიათება	ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციის მეთოდები		
	გაუმჯობესება	გარდაქმნა	რეინჟინერინგი
პოლიტიკა	მთლიანად შენარჩუნდება. გაუმჯობესება ცალკეული ფუნქციების დონეზე ხორციელდება	ძირითადად შენარჩუნდება. აღმოიფხვრება ზედმეტი და ნაკლებწარმატებული პროცედურები	ძირეული გარდაქმნა განხორციელდება. ბიზნესისადმი მიდგომის პრინციპული ცვლილებები მოხდება
გამოყენების სიხშირე	ხორციელდება მუდმივად	ხორციელდება პერიოდულად	გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში
ცვლილებები მასშტაბურობა	მცირე	ზომიერი	მთლიანად ბიზნესის
რეალიზაციის ხერხი	დროებითი ბრძანებით ხორციელდება	ეველა სტრუქტურული ქვედანაყოფის ძალისხმევით ხორციელდება	ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება
ეფექტიანობა	ნაწილობრივი	ზომიერი	რევოლუციები
ღირებულება, რისკები, შრომატევადობა	დაბალი	დაბალიდან საშუალომდე	მაღალი

„დაიჭიროს“. ეს არ არის ადვილი საქმე. თუმცა, არაერთი და ორი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ეს მომენტი მაშინაა, როცა დაიწყება ფირმის მოგების კლება და გადახდისუნარიანობის შემცირება. მაგრამ, გადახდისუნარიანობის შემცირება შეიძლება შემთხვევითმა ფაქტორებმაც გამოიწვიოს. ასევეა მოგებაც. მასზე უარყოფითად მოქმედებს ჯარიმების გადახდა, უიმედობა, ვალების ზარალში ჩამოწერა და სხვა. მოგების შემცირება კი, თავის მხრივ, იწვევს გადახდისუნარიანობის შემცირებას და ა. შ.

ასე რომ, კომპანიის მენეჯერებს დიდი ძალისხმევის დაძაბვა მართებთ მათი ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის იმ ეტაპის გამოსარკვევად, როდესაც კომპანიაში ჩნდება დაცემის სიმპტომები, ანუ როცა კომპანიის ბიზნესი „ბერდება“ და მას განახლება სჭირდება.

2. ბენჩმარკინგი, როგორც ბიზნეს-პროცესების იდენტიფიკაციის საშუალება.

ბენჩმარკინგი წარმოადგენს ახალი, უფრო პროგრესული გადაწყვეტილებების ძიების პროცესს. როგორც ბიზნეს-პროცესი, მას საქმე აქვს ბიზნესის შედეგების, ღირებულების, დროის

და ხარისხის შედარებასთან სხვა მის მსგავს ბიზნესებთან. მართალია მომგებიანობა წარმოადგენს სხვადასხვა ბიზნესების ურთიერთშედარების საზომს, მაგრამ ბენჩმარკინგი მათ საჭირო ცვლილებების ახსა-განმარტებას სთავაზობს. ბენჩმარკინგის ფარგლებში შედის ბიზნესის იმ არეების იდენტიფიცირება, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას და ინიცირებს ცვლილებებს [2, გვ. 115]. ბენჩმარკინგი წარმოადგენს საზღვრების მომცველი სტრატეგიის კონცეპტუალიზაციას, რომელსაც ყველა სამეწარმეო სუბიექტმა უნდა მისდიოს, თუ მას წარმატების მიღწევა სურს. ტერმინ „ბენჩმარკინგში“ ჩადებულია ის ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესს დასძლიოს ორგანიზაციული ინერციის და ინტროვერსიის დამახასიათებელი პრობლემები [3, გვ. 115].

მაშასადამე, თუ ბიზნეს-სუბიექტს უნდა მუდმივად იფუნქციონ, მან სისტემატურად უნდა იზრუნოს ბიზნეს-პროცესების განახლებაზე და განახლებული პროცესებით მიღებული შედეგი შეუდაროს ანალოგიურ სხვა ბიზნესის შედეგებს, ანუ განახორციელოს ბენჩმარკინგი. ასე რომ, საწარმოს გადარჩენისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ის იყოს ინოვაციური, ეს ნიშნავს იმას, რომ საწარმო მიიღებს ახალ გადაწყვეტილებებს, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებები და შეინარჩუნოს თავისი შემოსავლიანობა მაშინ, როდესაც მისი გარკვეული პროდუქტები და მომსახურება ძველდება. ასეთ დროს საჭიროა ამ სიახლემ ან ბიზნეს-პროცესი განაახლოს, ან ბიზნეს-ოპერაცია, ანდა თვით დამზადებული პროდუქტი.

მაშასადამე, რეინჟინერინგისთვის ბიზნეს-პროცესის გამზადება ბენჩმარკინგით იწყება. არსებობს ბენჩმარკინგის ჩატარების ოთხი მეთოდოლოგია [1, გვ. 62]:

- რეტროსპექტული;
- შიდა;
- გარე;
- თეორიული.

როგორც ცნობილია, თითოეულ ბიზნეს-პროცესზე მწარმოებლურობის საკვანძო ინდიკატორები ისაზღვრება. **რეტრო-**

სპექტულ ბენჩმარკინგის დროს პროცესის მწარმოებლურობის საკვანძო ინდიკატორების (KPI) მიმდინარე მნიშვნელობებს მის „ძველ“ (წარსულის) შესაბამის მნიშვნელობებს ადარებენ. **შიდა ბენჩმარკინგის** ჩატარებისას, ორგანიზაციის გარკვეული სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობის შედეგებს იგივე ორგანიზაციის სხვა, მხოლოდ უფრო წარმატებულად მიჩნეულ ქვედანაყოფის სამუშაო მაჩვენებლებთან ადარებენ. მსგავსი პროცედურა მიმდინარეობს **გარე ბენჩმარკინგის** შემთხვევაშიც, იმ განსხვავებით, რომ შედარება უკვე სხვა, გარე ორგანიზაციასთან, ან მის ერთ-ერთ ქვედანაყოფთან ხდება. ხაზგასმულია, რომ ბენჩმარკინგის ეს უკანასკნელი მეთოდოლოგია ყველაზე ხშირად გამოიყენება. თითქმის ასევე გავრცელებულია **თეორიული ბენჩმარკინგიც**, რომლის ჩატარებისას ორგანიზაციის, ან მისი ერთ-ერთი ქვედანაყოფის საქმიანობის შედეგებს იმ თეორიულ ზღვრებთან ადარებენ, რომელთა მიღწევაც არსებულ პირობებში, პრინციპში შესაძლებალდ არის მიჩნეული [1, გვ. 62].

სპეციალისტების (უ. სამადაშვილი, მ. ხარხელი, რ. ჩეიზი და სხვები) აზრით, არა აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, თუ რომელ გზას ავირჩევთ ბენჩმარკინგის ჩატარებისას. მთავარია ხელმისაწვდომი და რელევანტური იყოს ის ინფორმაცია, რომლის გამოყენებასაც მოითხოვს სათანადო მეთოდოლოგია. თუ კი ეს პირობა დაცულია, ბენჩმარკინგის ოთხივე ტიპი მეტ-ნაკლებად თანაბარი წარმატებით და სწრაფად გაგვარკვევს, თუ რომელი KPI-ს მიხედვით არის ჩამორჩენა.

3. ბიზნეს-პროცესების განახლების ანუ რეინჟინერინგის ეტაპები.

ბიზნეს-პროცესების განახლება ექვს ეტაპს მოიცავს [4, გვ. 610]:

- პირველი ეტაპი — ღონისძიების (აქციის) დასაბუთება;
- მეორე ეტაპი — განახლების საჭიროების მქონე პროცესის გამოვლენა;
- მესამე ეტაპი — განახლების შესაძლებლობის შეფასება;
- მეოთხე ეტაპი — არსებული პროცესის ანალიზი;

- მეხუთე ეტაპი — ახალი პროცესის პროექტის შექმნა;
- მეექვსე ეტაპი — განახლებული პროცესის დანერგვა.

პირველი ეტაპი უნდა მიეძღვნას ფირმის შიგნით ინფორმაციული კამპანიის მოწყობას, რომელზეც დასაბუთდება, თუ რატომ აპირებს ფირმა ბიზნეს-პროცესების (ამ პროცესების) განახლებას.

მეორე ეტაპზე უნდა გამოიკვეთოს ის პროცესები, რომლებიც პირველ რიგში საჭიროებენ განახლებას. ამ ეტაპზე პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს:

1. რომელი პროცესების განახლება შეუძლია ფირმას წარმატებით?
2. რა სახსრები დასჭირდება მის განსახორციელებლად?
3. რამდენად ძლიერია პროცესების განმაახლებელი გუნდი?
4. კერძოდ რა მოძველდა — თვითონ პროცესი თუ მასში გამოყენებული ტექნოლოგია?

მესამე ეტაპზე ფასდება ფირმაში განახლების განხორციელების შესაძლებლობა, ანუ მისი პერსონალის კულტურა, მათ მიერ სიახლის და მისი საჭიროების გათავისება და მასში მათი მონაწილეობის ინტერესი და სხვა.

მეოთხე ეტაპზე ტარდება იმ პროცესის (პროცესების) დეტალური დიაგნოსტიკა, რომელიც საჭიროებს განახლებას. სდგება დიაგრამები, ბლოკ-სქემები და ა. შ. ამ ეტაპზე ჩასატარებელი მთელი სამუშაო უნდა დაიყოს სამ ტიპად:

1. სამუშაოები, რომლებიც ზრდის პროდუქციის ღირებულებას, ანუ სამუშაოები, რომლებსაც ანაზღაურებს მომხმარებელი.
2. სამუშაოები, რომლებიც არ ზრდის პროდუქციის ღირებულებას. ეს სამუშაოები მომხმარებლისთვის არ ქმნის დამატებით ღირებულებას, მაგრამ ისინი აუცილებლად უნდა შესრულდეს პირველი ეტაპის სამუშაოს შესასრულებლად.
3. უკუგების არმქონე სამუშაო დროის დაუბრუნებელი დანაკარგები, ანუ სამუშაოები, რომლებიც არც დამატებით ზრდიან ღირებულებას და არც იმ სამუშაოთა შესრულებას უწყობენ ხელს, რომლებიც ზრდიან მას.

ჩამოთვლილი სამუშაოებიდან, მესამე ეტაპის სამუშაოები

არის უმიზნო და ზედმეტი. ეს სამუშაოები უნდა ამოვარდეს ახალი პროცესის დაპროექტებიდან, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოები უნდა შემცირდეს და შეძლებისდაგვარად გარდაიქმნას პირველი ეტაპის სამუშაოებად.

მეხუთე ეტაპზე ხდება ახალი პროცესის პროექტის შედგენა ანუ პროცესის გადაპროექტება. იგი ცარიელი ფურცლიდან იწყება. ამ საქმეზე მომუშავე სპეციალისტებს ევალებათ უარი თქვან არსებულ წესებზე და პროცედურებზე და შექმნან პრინციპულად ახალი პროექტი. სპეციალისტმა უპირველესად პროექტიდან უნდა ამოაგდოს ჯერ მესამე, ხოლო შემდეგ მეორე ტიპის სამუშაოები, შემდეგ კი იზრუნოს ამ სახეშეცვლილი პროცესის შესრულებისთვის შესაფერისი ტექნოლოგიის და სათანადო მომზადების მქონე მუშების შერჩევისთვის.

მეექვსე ეტაპზე ხდება განახლებული პროცესის პრაქტიკული დანერგვა. მასში ფირმა-კლიენტის ხაზობრივი ხელმძღვანელობა აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს.

4. ბიზნეს-პროცესის განახლების მეთოდები და ინსტრუმენტები.

ბიზნეს-პროცესის განახლებისთვის სხვადასხვა მეთოდები და ინსტრუმენტები გამოიყენება. ამ მეთოდებში და ინსტრუმენტებში სახელდება: ინდუქციური აზროვნება, ბლოკ-სქემების შედგენა, პროცესის ეტალონი, მოდელირება, პროცესის განახლების პროგრამული უზრუნველყოფა [5, გვ. 167].

ინდუქციური აზროვნება გამოიყენება აშკარა ან ფარული პრობლემების და მათი პოტენციურად სწორი გადაწყვეტილების ძიების დროს. ეს მიდგომა აუცილებელია პროცესის განახლებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენებისას.

ბლოკ-სქემების შედგენა. ბლოკ-სქემა ის ერთადერთი ინსტრუმენტია, რომელიც ბიზნეს-პროცესის განახლების ყველა ეტაპზე გამოიყენება. ეს სქემები შეიძლება შეიქმნას მარტივი წესით — ქაღალდზე ისრებით გამოხატული და შეიძლება რთული – კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

პროცესის ეტალონი. განიხილება როგორც უწყვეტი განახლების ინსტრუმენტი. ეტალონის მეშვეობით შეიძლება ახალი პროცესების გამოყენებაში და დანერგვის ხერხების შერჩევაში ლიდერის გამოვლენა და მათი მოცემულ საწარმოში პარქტიკული გამოყენება.

მოდელირება. მოდელირება ბიზნეს-პროცესის გადაპროექტების შეფასების და ვიზუალიზაციისთვის გამოყენება.

5. ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის ჩატარების გუნდური მეთოდი.

ბიზნეს-პროცესს არც ერთი ადამიანი გეგმავს და არც ერთი ადამიანი ანხორციელებს. მისი ინიციატორი შეიძლება ერთი ადამიანია, მაგრამ მის რეალიზაციას გუნდი ახორციელებს.

ტრადიციულად ორგანიზებულ კომპანიაში, მუშაკები განაწილებულია განყოფილებების, ლაბორატორიების, ქვეგანყოფილებების და ა. შ. მიხედვით, სადაც ისინი თავიანთ ფუნქციებს (პროცესების ნაწილებს) ასრულებენ. ასეთი ფრაქციულობა მრავალ პრობლემას ქმნის ორგანიზაციაში, კერძოდ შეუთანხმებლობას და წინააღმდეგობას სხვადასხვა ჯგუფების მიზნებს შორის. რეინჟინერინგი ალტერნატიულ მიდგომას გვთვაზობს, რომელიც პერსონალის არა ქვეგანყოფილებების მიხედვით დაყოფაში, არამედ გუნდებში გაერთიანებაში მდგომარეობს. ანუ, რეინჟინერინგი ქმნის გუნდებს, რომლებიც ერთობლივად ასრულებენ სამუშაოს მთლიანად, მისი დასაწყისიდან დასრულებამდე და პასუხისმგებელნი არიან მთლიანად პროცესზე. ასეთი გუნდები ძველ, ადრე არსებულ ფუნქციონალურ განყოფილებებს ენაცვლებიან.

იცვლება კომპანიის თანამშრომლებს შორის როლების განაწილება. რეინჟირინგის გუნდი ბიზნეს-პროცესების და საწარმოო რესურსების მართვის საფუძველზე იგება. მასში თანამშრომლების მიერ შესასრულებელი რამოდენიმე ტიპიური როლის გამოყოფა შეიძლება:

- გუნდის ლიდერი;
- რესურსების მფობელი;

- პროცესის მფლობელი;
- პროცესის ოპერატორი.

კომპანიის რეინჟინერინგში ჩართული თანამშრომლების ზემოჩამოთვლილი კატეგორიების მოვალეობები მოიცავს შემდეგს [1, გვ. 112-114]:

გუნდის ხელმძღვანელი:

- განსაზღვრავს რეინჟირინგის ოპერატიულ და გრძელვადიან მიზნებს;
- განსაზღვრავს ბიზნესის სტრატეგიას;
- ახორციელებს საერთო კონტროლს ფინანსურ საქმიანობაზე;
- უზრუნველყოფს ბიზნესის და ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებას;
- ნიშნავს პროცესების მფლობელებს და რესურსების მფლობელებს;
- აკონტროლებს პროცესების მფლობელებისა და რესურსების მფლობელების საქმიანობას.

რესურსის მფლობელი:

- ანაწილებს პროცესების ოპერატორებს სხვადასხვა ბიზნეს-პროცესებს შორის;
- გადაჭრის კონფლიქტებს, რომლებიც წარმოიქმნებიან რესურსების განაწილების დროს;
- აღწევს შეთანხმებებს თანამშრომლებთან (ოპერატორებთან), რომელთა საფუძველზე ისინი იღებენ ნათელ წარმოდგენებს კომპანიის საქმიანობაში საკუთარი გრძელვადიანი როლის შესახებ, ასევე უზრუნველყოფს თითოეულ თანამშრომელს ინდივიდუალური სამუშაო გეგმით;
- უზრუნველყოფს საკუთარი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და ამოწმებს მათ კომპეტენტურობას;
- ადგენს გრძელვადიანი სწავლების და სტრატეგიული მომზადების (რომელიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ პროცესთან) ბიუჯეტს;
- იღებს სამუშაოზე (პროცესის მფლობელთან ერთად) პროცესების ოპერატორებს;

➢ გვერდში უდგას თანამშრომლებს მოლაპარაკებების დროს, პროფესიული ზრდისას, კონფლიქტების გადაწყვეტისას და სხვ.

პროცესის მფლობელი:

➢ შეიმუშავებს პროცესს და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას კომპანიის ბიზნეს-გეგმებთან;

➢ სხვა პროცესების მფლობელებთან ერთად განსაზღვრავს პროცესის ინტერფეისებს, ანუ შეხების წერტილებს მათთან;

➢ გეგმავს პროცესის ბიუჯეტს;

➢ ნიშნავს პროცესის ლიდერს (ლიდერებს);

➢ ანაწილებს რესურსებს კონკრეტული პროცესის თითოეული ვარიანტისთვის და დებს ხელშეკრულებებს პროცესის თითოეულ ოპერატორთან;

➢ აუცილებლობის შემთხვევაში, ოპერატიულად, მიმდინარე ვითარებაში ასრულებს პროცესის დამუშავებას, რისთვისაც ბიუჯეტში გამოიყოფა შესაბამისი სახსრები;

➢ მონაწილეობს რესურსებზე მოთხოვნილების გრძელვადიან დაგეგმვაში, რაზეც ძირითადი პასუხისმგებელი რესუსების მფლობელი რჩება;

➢ უზრუნველყოფს პროცესის განვითარებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

პროცესის ოპერატორი:

➢ საკუთარ სამუშაოებზე აღწევს სათანადო შეთანხმებებს კომპანიაში;

➢ მოითხოვს სამუშაოს წარმატებული შესრულებისთვის საჭირო ყველა ხელშეკრულების დადებას და შესრულებას;

➢ ადგენს (პროცესის ლიდერთან ერთად) დეტალიზებულ ინდივიდუალურ გეგმებს, სამუშაოთა შესრულების ვადების ჩვენებით:

➢ ასრულებს სამუშაოებს კონკრეტულ პროცესებში;

➢ ზრუნავს საკუთარ პროფესიულ ზრდაზე.

ჩამოთვლილი პიროვნებები რეინჟირინგის გუნდს ხელმძღვანელობენ. ამის გარდა არსებობენ გუნდის წევრებიც გუნდის წევრების შერჩევა გულმოდგინედ ხდება. ისინი მეთოდურ უზრუნველყოფას გუნდის ლიდერისა და კონსულტანტისგან იღებენ.

დასკვნა

ნებისმიერ ბიზნეს-პროცესს აქვს სასიცოცხლო ციკლი – დაბადება, ზრდა, მოწიფულობა, დაბერება და სიკვდილი. მას ეს პროცესები ისე ეხება, თითქოს ცოცხალი ორგანიზმი იყოს. ბიზნეს-პროცესის თავდაპირველი აწყობა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ, როცა იგი ისე „ბერდება“, რომ გაუმჯობესება აღარ შველის, კომპანიამ აუცილებლად მისი რეინჟინერინგი უნდა განახორციელოს.

ლიტერატურა:

1. სამადაშვილი ა. ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგი, თბ., სტუ, 2011 (გვერდების რაოდენობა 126).

2. ცაავა გ. და სხვები. რისკოლოგია, თბ., 2007 (გვერდების რაოდენობა 562).

3. ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-სტეფანოს კომსელისი, ირინა ფაფალიოუ, მარია ფსილაკი, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ნაწილი III, თბ., 2011 (გვერდების საერთო რაოდენობა 210).

4. Ричард Б. Чейз, Ниюлас Дж. Эквилайн, Роберт Ф. Яклбс, Производственный и операционный менеджмент, М., Вилямс (გვერდების რაოდენობა 817).

5. ხარხელი მ. ბიზნეს-პროცესების განახლება და ოპერაციული კონსალტინგის როლი მის განხორციელებაში, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, 2014 (გვერდების რაოდენობა 163-176).

REFERENCES:

1. Samadashvili a. Business Process Engineering, Tb, GT, 2011 ((Total number of pages 126).

2. Tsaava G. and others. Riskology, Tb., 2007 ((Total number of pages 562).

3. Joseph Hassid, Alexis-Stefano Komsseli, Irina Pafaliou, Maria Psilaki, Theoretical Principles of Entrepreneurship, Part III, 2011 (Total number of pages 210).

4. Richard B. Chase, Noulas J. Equiline, Robert F. Yaklbs, Produc-

tion and Operations Management, M., Wilams (Total number of pages 817).

5. Kharkheli M. Updating business processes and the role of operational consulting in its implementation, "Economics and Business", No. 1, 2014 (pages 163-176).

BUSINESS-PROCESS REENGINEERING AND BENCHMARKING

Bacho Rusishvili,
Doctoral Student of Georgian Technical University

RESUME

"Business-Process Reengineering and Benchmarking" discusses five issues. The first issue is the need for optimization of business processes, its three methods are characterized and the advantages are given to reinforcement. The second issue is considered by benchmarking as the means of identifying business processes. Benchmarking is evaluated by the business "process" health condition and its reinriching. The third issue discusses the 6 stage of business engineering, which starts with the justification for the necessity of renewing business processes and ends with the introduction of a renewed process. The fourth issue deals with reengineering methods and instruments, and in the fifth reinforcement team, the roles and functions of its members.

The article ends with a summarizing conclusion.

Key words: Business processes, reengineering, updating, transmitting, vital cycle, modeling, optimization.

დასაქმებულთა კმაყოფილება მართვის მეთოდით და სტილით საქართველოში ფუნქციონირებად ერთობლივ საწარმოებში

ზაირა ღუდუშაური,
სტუ პროფესორი
მაია როხვაძე,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ორი ერთობლივი საწარმოს მაგალითზე გამოკვლეულია დასაქმებულთა შრომის პირობები, შრომის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებები, ხელფასების და პრემიების განაწილების სამართლიანობა, სამუშაოსადმი და კომპანიისადმი ერთგულება, ხელმძღვანელის თვისებებით და მუშაობის სტილით კმაყოფილდება და ა. შ.

გამოკვლევით დადგენილია, რომ სამუშაოთი უკმაყოფილოა გამოკითხულთა – 72%, შრომა-დასვენების რეჟიმით – 52%, ხელფასებით უკმაყოფილოა – 86%, ხელმძღვანელობის სტილი არ მოსწონს – 20%-ს, დატვირთვა არასამართლიანად მიაჩნია – 66%-ს, ხელმძღვანელის თვისებები არ მოსწონს – 88%-ს და ა. შ.

გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნა, რომ გამოკვლეულ ერთობლივ კომპანიებში არ არის შექმნილი კეთილსასურველი ატმოსფერო.

საკვანძო სიტყვები: დასაქმებულთა კმაყოფილება; ერთობლივი საწარმო; მართვის სტილი; მართვის მეთოდი

შესავალი

გლობალიზაციამ და მსოფლიო მასშტაბით კონკურენციის გამწვავებამ კომპანიები აიძულა გავიდნენ თავისი ქვეყნიდან და სხვა ქვეყნებში წარმოების უკეთესი პირობები ეძებონ. მაღალგანვითარებული ქვეყნების კომპანიებისთვის ეს პირობებია იაფი სამუშაო ძალა, იაფი ნედლეული, დაბეგვრის მისაღები რეჟიმი, ხოლო განვითარებადი ქვეყნების კომპანიებისთვის – ახალი და

უახლესი ტექნოლოგიის მიღება, მართვის ახალი მეთოდების დაუფლება და მრავალი სხვა.

საქართველოს როგორც განვითარებად ქვეყანას, სწორედ ეს სიახლეები სჭირდება და ამდენად მისი „კარი ღიაა“ უცხოელებთან პარტნიორობისთვის, ერთობლივი საწარმოების გახსნისთვის.

ეს პროცესი საქართველოში დაწყებულია, მაგრამ ასეთ საწარმოებში დასაქმებულებს მთელი რიგი პრეტენზიები აქვთ მმართველი პერსონალის მიმართ, რომლებიც ძირითადად უცხოელები არიან.

1. ერთობლივი საწარმოების მართვის მეთოდები, სტილი და ქართულ კულტურასთან მისი თავსებადობა

ეს საკითხი შევისწავლეთ შპს „აგროჯორჯიასა“ და „იტალია კონსტრუქციონ“-ში. გამოკითხვა ჩავატარეთ პირადად.

შპს „აგროჯორჯია“-ში გამოვკითხეთ 25 თანამშრომელი (65 დასაქმებულიდან), ხოლო შპს „იტალია კონსტრუქციონ“-ში – 20 თანამშრომელი (61 დასაქმებულიდან). ეს ადამიანები იყვნენ სხვადასხვა ასაკის და სქესის, სხვა¬დასხვა პროფესიის და მუშაობის სხვადასხვა სტაჟის.

გამოკითხულ თანამშრომელთათვის დასმული კითხვები და მიღებული პასუხები იხილეთ ცხრილში 1.

ამ ცხრილში მოცემული პასუხებით ირკვევა რომ:

- შპს „აგროჯორჯია“-ში სამუშაო არ მოსწონს 18 კაცს, ანუ გამოკითხულთა – 72%, ხოლო შპს „იტალია კონსტრუქციონ-ში“ – 5 კაცს, ანუ 25%-ს;
- სამუშაოთი კმაყოფილი არ არის „აგროჯორჯია“-ში 20 კაცი, ანუ 80%, „იტალია კონსტრუქციონ“-ში კი ყველა კმაყოფილია;
- შრომის პირობები „აგროჯორჯია“-ში არ მოსწონს 5 კაცს ანუ 20%-ს, „იტალია კონსტრუქციონ“-ში კი ყველა კმაყოფილია;
- ხელმძღვანელობის სტილი „აგროჯორჯია“-ში არ მოსწონს 5 კაცს ანუ 20%-ს, „იტალია კონსტრუქციონ“-ში 8 კაცს, ანუ 40%-ს;

ცხრილი 1

მართვის მეთოდით და სტილით დასაქმებულთა კმაყოფილების გამოკვლევა შპს „აგროჯორჯიასა“ და შპს „იტალია კონსტრუქციონ“-ში

№	კითხვები	შპს „აგროჯორჯია“ (25 რესპოდენტი)		შპს „იტალია კონსტრუქციონი“ (20 რესპოდენტი)	
		კი	არა	კი	არა
1	მოგწონთ თქვენი სამუშაო?	7	18	15	5
2	კმაყოფილი ხართ სამუშაოს შედეგით?	5	20	20	-
3	მოგწონთ შრომის პირობები?	20	5	20	-
4	კმაყოფილი ხართ ხელმძღვანელობის სტილით?	20	5	17	8
5	თქვენი კოლექტივი შეკრულია?	18	7	15	5
6	სამართლიანია თქვენთვის წარდგენილი მოთხოვნები?	10	15	10	10
7	კმაყოფილი ხართ შრომა-დასვენების ორგანიზებით?	12	13	5	15
8	გააქვთ თანამდებობრივი დაწინაურების პერსპექტივა?	1	24	3	17
9	კმაყოფილი ხართ ხელფასით?	3	22	8	12
10	სამართლიანია პრემიების და წანამატების განაწილება	1	24	3	17
11	მონაწილეობთ მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღებაში?	1	24	2	18
12	სამართლიანია თანამშრომლებს შორის დატვირთვის განაწილება?	8	17	6	14
13	უშუალო ხელმძღვანელთან პარტნიორული ურთიერთობა გააქვთ?	4	21	3	17
14	არის შრომის ორგანიზებაში ნაკლოვანებები?	20	5	15	5
15	მოგწონთ გენერალური მენეჯერის თვისებები?	10	15	10	10
16	მოგწონთ უშუალო ხელმძღვანელის თვისებები?	20	5	15	5
17	ყოფილა თქვენით უკმაყოფილო ხელმძღვანელი?	3	22	2	18
18	მუშაობის შედეგები არის მართვის სტილზე დამოკიდებული?	23	2	18	2
19	არის თუ არა კონფლიქტები მენეჯერებსა და თანამშრომლებს შორის?	10	15	10	10
20	სიახლის დანერგვა და გარდაქმნები თანამშ რომ ლებთან შეთანხმებით ხდება თუ არა?	5	20	12	13
21	ერთგული ხართ თქვენი ორგანიზაციის?	20	5	13	7
22	მუდმივად იმუშავებდით ამ ორგანიზაციაში?	20	5	13	7

- „აგროჯორჯია“-ში კოლექტივს შეკრულად არ თვლის 7 კაცი, „იტალია კონსტრუქციონ“-ში კი 5 კაცი, ანუ შესაბამისად 26 და 25 პროცენტი;
- წარდგენილ მოთხოვნებს (დირექციის მხრიდან) სამართლიანად არ მიიჩნევს „აგროჯორჯია“-ში 15 კაცი, ანუ 60%, „იტალია კონსტრუქციონ“-ში - 50% (10 კაცი);
- შრომა-დასვენების ორგანიზებით „აგროჯორჯია“-ში უკმაყოფილოა 13 კაცი, ანუ 52%, „იტალია კონსტრუქციონ“-ში - 75% (15 კაცი);

- მინიმალურია თანამდებობრივი დაწინაურების პერსპექტივის იმედი შპს „აგროჯორჯია“-ში აქვს მხოლოდ 1 კაცს (4%-ს), ხოლო „იტალია კონსტრუქციონ“-ში 3 კაცს, ანუ 15%-ს;
- ორივე საწარმოში ხელფასის განაკვეთების მიმართ დიდი უკმაყოფილებაა. „აგროჯორჯია“-ში ამის უკმაყოფილოა დასაქმებულთა 86% (22 კაცი), „იტალია კონსტრუქციონ“-ში - 12 კაცი, ანუ 60%;
- იგივე მდგომარეობაა პრემიების განაწილებაში. ორივე საწარმოში გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან პრემიებით კმაყოფილია მხოლოდ 4 კაცი;
- მმართველობით გადაწყვეტილებების მიღებაში გამოკითხულთაგან მონაწილეობას იღებს „აგროჯორჯია“-ში ერთი კაცი (4%), „იტალია კონსტრუქციონ“-ში - 2 კაცი (10%);
- არასამართლიანად მიაჩნია სამუშაო დატვირთვის განაწილება „აგროჯორჯია“-ში - 17 კაცს, ანუ 66%-ს, ხოლო „იტალია კონსტრუქციონ“-ში 14 კაცს, ანუ 70%-ს;
- უშუალო ხელმძღვანელთან პარტნიორული ურთიერთობა აქვს „აგროჯორჯია“-ში მხოლოდ 4 კაცს, ანუ 16%-ს, „იტალია კონსტრუქციონ“-ში კი 3 კაცს, ანუ 15%-ს;
- შრომის ორგანიზებაში ნაკლოვანებებს ხედავს „აგროჯორჯია“-ში 20% (5 კაცი), „იტალია კონსტრუქციონ“-ში კი გამოკითხულთა 25% (5 კაცი);
- გენერალური მენეჯერის თვისებები არ მოსწონს „აგროჯორჯია“-ში - 60%-ს, „იტალია კონსტრუქციონ“-ში - 50%-ს;
- უშუალო ხელმძღვანელის თვისებები არ მოსწონს „აგროჯორჯია“-ში - 20%-ს, ასევეა „იტალია კონსტრუქციონ“-შიც;
- გამოკითხულთა 88%-მა „აგროჯორჯია“-ში გამოაცხადა, რომ ხშირია ხელმძღვანელის უკმაყოფილება. იგივე თქვა გამოკითხულთა 90%-მა „იტალია კონსტრუქციონ“-ში;
- ორივე საწარმოში გამოკითხულთა 90%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ მათი მუშაობის შედეგები მმართველობის სტილზეა დამოკიდებული;
- კითხვაზე ერთგული ხართ თუ არა თქვენი ორგანიზაცი-

ის და მუდმივად იმუშავებდით თუ არა იქ, ორივე ორგანიზაციის 70-90%-მა დადებითად გვიპასუხეს.

ამის გარდა, ამ კითხვარით დავადგინეთ, რომ სიახლეების და გარდაქმნების განხორციელება თითქმის არ უთანხმდება და არ განიხილება კოლექტივში, ხშირია ხელმძღვანელ პირებსა და დასაქმებულებს შორის კონფლიქტები და სხვა.

დასკვნა

მთელი ამ გამოკვლევით იმ საერთო დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ამ კომპანიებში შექმნილი ატმოსფერო, რომელსაც კოლექტივის მართვის სტილი და მართვის მეთოდი განაპირობებს, არ არის კეთილსასურველი. გამოკითხულთა პასუხებიდან ჩანს, რომ ორივე კომპანიაში მართვა არის ცენტრალიზებული, თანამშრომელთა მხოლოდ 4-10% ღებულობს გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას, არც დატვირთვა, არც ხელფასები და არც პრემიები არ არის სამართლიანად განაწილებული, კოლექტივის პარტნიორული ურთიერთობები ხელმძღვანელთან დაბალ დონეზეა („აგროჯორჯიაში“ 16%, „იტალია კონსტრუქციონში“ – 15%). ხშირად აქვს ადგილი კონფლიქტებს და ა. შ. ჩვენი აზრით, ორივე ერთობლივ საწარმოში საჭიროა მენეჯმენტის სრულყოფა, უნდა მოწესრიგდეს შრომის პირობები, სამუშაო განაწილდეს სამართლიანად, ამაღლდეს სახელფასო განაკვეთები ფასების ზრდის პარალელურად, მოხდეს თანამშრომელთა ჩართვა გადაწყვეტილებების მიღებაში, მოხდეს ფუნქციების დელეგირება მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებზე, გაფართოვდეს დირექტორატთან პარტნიორული ურთიერთობები და ა. შ.

EMPLOYMENT SATISFACTION BY MANAGEMENT METHOD AND STYLE IN FUNCTIONING GEORGIAN JOINT VENTURES

Zaira Ghudushauri,
Professor of Georgian Technical University
Maia Rokhvadze,
Doctoral Student of Georgian Technical University

RESUME

In the article - **"Employment satisfaction by management method and style in functioning Georgian joint ventures"** is researched the working conditions of employment and the problems that are actual in working organizations according to the example of two joint ventures, to share salaries and bonuses fairly, to be devoted to work and company and to be satisfied with the manager and working style and so on.

As the research shows, 72% of people aren't satisfied with their work, 52% of them - with the schedule of working and holiday, 86% -with their salaries, 20% of them don't like the style of management, 66 % think that working hours aren't fairly distributed and 88 % don't like manager's manners and etc.

According to the results of survey it is drawn the conclusion that there isn't pleasant atmosphere in above-mentioned joint venturies.

Key words: Employment satisfaction, Joint Venture, Management Style, Management Method.

ტექნოლოგიური აუდიტის თანამედროვე მეთოდიკა

ლეილა სულხანიშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

განიხილულია ქართული საწარმოების მოდერნიზაციის შესაძლებლობები და აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის იგი წარმოდგენს ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტს. ქართულ საწარმოებში დღეს გამოყენებული ტექნოლოგიები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, ანუ არის საზღვარგარეთული ტექნოლგიების მხოლოდ ესა თუ ის ნაწილი. საქმის ამგვარი მდგომარეობა სრულებით შეუსაბამოა წარმოების თანამდეროვე მშენებლობისა და შემდგომი მდგრადი განვითარების ამოცანებთან.

ვინაიდან ყველა განვითარებულ ქვეყანაში საწარმოები უმეტესად შენდება ტექნოლოგიური პრინციპით (ქართული „საგნობრივი" პრინციპისგან განსხვავებით) და დაკავშირებულია ერთმანეთთან სხვა სისიტემის სუბკონტრაქტაციებით, ამიტომ გაკეთებულია დასკვნა, რომ ქართული წარმოება უნდა გადავიდეს ახალ ტექნოლოგიურ ტიპზე, რაც გაზრდის მას და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგია, ტექნოლოგიური პრინციპი, საგნობრივი პრინციპი, საექსპერტო–ანალიტიკური მეთოდი.

შესავალი

ეროვნული საწარმოების მოდერნიზაცია ამჟამად წარმოადგენს საქართველოს ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტს. აღნიშნული განცხადებულია ქვეყნის პოლიტიკური და აღმასრულებელი ხელმძღვანელობის მიერ ყველა დონეზე.

ამასთან ერთად აღნიშნული ამოცანის წარმატებით შესრულება მთლიანად განისაზღვრება რეფორმირების პრინციპე-

ბით, საწარმოების მოდერნიზაციით და მისი განხორციელების ოპერატიული ეფექტური ინსტრუმენტებით.

1. ტექნოლოგიური აუდიტის ჩატარების პრინციპები

ამჟამად ეროვნული საწარმოების უმეტესობა აგებულია „საგნობრივი" პრინციპით და ამიტომ თავის შემადგენლობაში არსებული ტექნოლოგიების მხოლოდ დანაყოფები (ნაწილები) აქვს ჩართული: მექანური გადამუშავება, აწყობა, ჩამომსხმის დგანები და კონვეირები, სამჭედლო, მპრესავი, თერმოგადამამუშავებელი, გალვანური და ლაქსაღებავებით დაფარვის და სხვა. ყოველი მათგანი საჭიროებს შესაბამის მოდერნიზაციას და თანამედროვე მსოფლიო მოთხოვნების დონემდე აყვანას.

საქმის ამგვარი მდგომარეობა სავსებით შეუსაბამოა წარმოების თანამდეროვე აგებულებასთან. ყველა განვითარებულ ქვეყნებში საწარმოები უმეტესად შენდება ტექნოლოგიური პრინციპით (საჩამომსხმელო ქარხანა, ამწყობი ქარხანა, მექანა–გადამამუშავებელი ქარხანა და ა.შ.) და დაკავშირებულია ერთმანეთთან სხვა, სისიტემური სუბკონტრაქტაციებით.

დღეისათვის ევროპაში საწარმოთა სუბკონტრაქტაციის დონე შეადგენს 70%–ზე მეტს, ხოლო 2020 წლისათვის ევროპელი მეწარმეები მის აყვანას 85–90%–მდე ვარაუდობენ. სახელდობრ, ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა, არ გაიფლანგოს ძვირადღირებული რესურსები და მოხდეს მათი კონცენტრაცია ერთ გადანაწილებაში, რითაც მოხდება წარმოების მხარდაჭერა და მისი დონე შენარჩუნება მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა დონეზე.

საქართველომ მხოლოდ ასე, უცხოური გამოცდილების შეძლებისდაგვარი იმპლემენტაციის მეშვეობით შეიძლება მიიღოს სიტუაცია, რომელშიც შენარჩუნებულია მინიმალური ნომენკლატურა და გამოყენებულია ტექნიკური მოწყობილობების რაოდენობა, რომლის დატვირთვა მაქსიმალურია. გასაგებია, რომ ასეთ სიტუაციაში ხდება საწარმოო ფართობების, საჭირო კადრების, კომუნალური გადასახადების და მრავალი სხვა და-

ნახარჯის შესაბამისი მინიმიზაცია.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საწარმოების გამოკვლევა, ანუ მათი ტექნოლოგიური აუდიტი, გაძნელებულია იმის გამო, რომ არ არსებობს ეფექტური და ოპერატიული ინსტრუმენტი – შეფასების მეთოდიკა. საქართველოში დღეს გამოყენებული მეთოდიკები უმეტესწილად დამყარებულია მაჩვენებლების (წონითი კოეფიციენტების) ტექნოლოგიური დონის შეფასებაზე, რომელთა რაოდენობა აღემატება 150. ამგვარი მაჩვენებლების შეგროვება, მათი შეფასება და განსაკუთრებით მათი საიმედობა, წარმოადგენს მნიშვნელოვან სიძნელეს და საჭიროებს განუზომლად დიდ შრომით და დროის დანახარჯებს.

გარდა ამისა, ვთვლით, რომ მოცემული მეთოდის ნაკლს წარმოადგენს ტიპიურ საწარმოო-მმართველობით სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღების სირთულე, რომელიც განპირობებულია ზედმეტი მონაცემების მასიურობით, ანუ ზედმეტობითაც კი. მაჩვენებლების უმეტესობა, რომლებიც გამოიყენება საანგარიშო–სტატისტიკურ მეთოდებში, ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული. ისინი იძლევიან მხოლოდ საწარმოოს ცალკეული პარამეტრების შეფასების საშუალებას, მაგრამ არ წარმოადგენენ საწარმოს ტექნოლოგიური მდგომარეობის სრულ და კომპლექსურ სურათს.

2. ტექნოლოგიური აუდიტის ჩატარების საავტორო მოდელი

ჩვენს მიერ შემოთავაზებული საექსპერტო–ანალიტიკური მეთოდი აგებულია GE/McKinsey–ის მოდელის ანალოგიური მეთოდით და აფასებს საწარმოების ორგანიზაციულ–ტექნიკურ დონეს.

წარმოვადგენთ მეთოდის ღირსებებს:

1. ექსპერტის პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მაქსიმალური გამოყენებით, წარმოების (შესაბამისად საწარმოს) დონის და გადანაწილების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასებების ყველაზე უფრო ორგანულად შეაკავშირების შესაძლებლობა;

2. წარმოების ეფექტურობისა და განაწილების სხვადასხვა სახეთა კონკრეტული მახასიათებლებთან მიბმის გარეშე შედარების შესაძლებლობა (მაგალითად, შეიძლება შედარდეს მექანიკური დამუშავება და ჩამოსხმა, შედუღება და ნნევით დამუშავება და ა.შ.);

3. შეფასების დროის მინიმიზაცია;

4. სტანდარტულ სიტუაციაში ტიპიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და ამით დროისა და რესურსის დაზიგვის შესაძლებლობა;

5. ექსპერტის მიერ რიცხვით (ანდა კვაზირიცხობრივ) ფორმატში ხარისხობრივი შეფასების ინტერპრეტირების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, მეთოდიკის გამოყენება იძლევა ცალკეული ორგანიზაციების და საწარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი დონეების მთლიანობაში შეფასების საშუალებას.

პირველადი მახასიათებლები შეიძლება მიღებულ იქნას საექსპერტო გზით და, საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებულ იქნას შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. ყოველი საწარმო და მისი საწარმოო პროცესი ფასდება ტექნოლოგიური დონის მახასიათებლების და საწარმოო პოტენციალის მიხედვით, ამიტომ ისინი მიეკუთნება მატრიცის ერთერთ პოზიციას.

გამოკვლების ამოცანებზე დამოკიდებულებით შეფასება შეიძლება მიბმულ იქნას პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლებზეც; მაგალითად, საკვლევ საწარმოში პროდუქციის (ნაკეთობის) გამოშვების საწარმოო პროგრამის ან სხვა საწარმოს სტრუქტურის დონის უზრუნველყოფა როგორც საკვლევი საწარმოს ფარგლებში, ასევე სხვა საწარმოებთან შედარებით.

მიღებული შეფასებების შესაბამისად განისაზღვრება ყოველი წარმოების მდგომარეობა (სხვანაირად – პოზიცია) „**ხარისხი/რაოდენობა**“ მატრიცასთან მიმართებაში.

ყოველი საწარმოსათვის დგინდება მატრიცაში პოზიციის ნომერი, პოზიციის დასახელება და მოკლე დახასიათება. ყოველივე ეს შეჯამებული სახით მოყვანილია ცხრილში 1.

მატრიცაში „**პოზიციის ნომერი**“ ატარებს პირობით ხასიათს და არ აქვს საერთო ქულებით შეფასებასთან.

მატრიცაში „**ხარისხი/რაოდენობა**“ მდგომარეობა განსაზღვრავს შემდგომ გადაწყვეტილებას მოცემული საწარმოს პერსპექტივების შესახებ.

ცხრილი 1. საწარმოს პოზიციების შიფრი, დასახელება და დახასიათება

პოზიციის ნომერი	პოზიციის შიფრი	პოზიციის დასახელება	დახასიათება
1	ლ1	პირველი დონის ლიდერი	ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების მაღალი დონე
2	ლ2	მეორე დონის ლიდერი	საშუალო ხარისხობრივი შეფასების დროს ხარისხიბრივი შეფასების მაღალი დონე
3	ს	საშუალო დონე	დაბალი რაოდენონრივი შეფასების დროს ხარისხობრივი შეფასების მაღალი დონე
4	ლ2	მეორე დონის ლიდერი	საშუალო ხარისხობრივი შეფასების დროს რაოდენობრივი შეფასების მაღალი დონე
5	ს	საშუალო დონე	ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების საშუალო დონე
6	ა1	პირველი დონის აუტსაიდერი	დაბალი დონის რაოდენობრივი შეფასების დროს საშუალო დონის ხარისხობრივი შეფასება

7	ს	საშუალო დონე	დაბალი რაოდენობრივი შეფასების დროს ხარისხობრივი შეფასების საშუალო დონე
8	ა1	პირველი დონის აუტსაიდერი	დაბალი ხარისხიბრივი შეფასების დროს რაოდენობრივი შეფასების საშუალო დონე
9	ა2	მეორე დონის აუტსაიდერი	ხარისხიბრივი და რაოდენობრივი შეფასების დაბალი დონე

საწარმოს მიმართულების შესახებ მდგომარეობის შეფასება განისაზრვრება მისი პოზიციით მატრიცაში „**ხარისხი/რაოდენობა**“. რადგან კვლევის ამოცანებზე დამოკიდებულებით შეფასება მიბმულ იქნა პროდუქციის გამოშვებასთან ან სხვა საწარმოო სტრუქტურების დონესთან, შესაბამისად დასკვნებიც განსხვავებულია.

საწარმოს შეფასებისას პროდუქციის გამოშვების მაჩნებელთან მისი შესაბამების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში 2.

ცხრილი 2. წარმოების შესაბამისობა საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფის ამოცანებთან

პოზიცია მატრიცაში	**დახასიათება**
ლ1	შეესაბამება საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფის ამოცანებს. გააჩნია მნიშვნელოვანი რეზერვი.
ლ2	შეესაბამება საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფის ამოცანებს. გააჩნია რეზერვი.
ს	შეესაბამება საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფის ამოცანებს. გააჩნია რეზერვი.

ლ2	შეესაბამება საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფის ამოცანებს.
ს	არ შეესაბამება საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფის ამოცანებს.
ა1	შეესაბამება საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფის ამოცანებს.
ს	არ შეესაბამება საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფის ამოცანებს.
ა1	შეესაბამება საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფის ამოცანებს.
ა2	მნიშვნელოვნად არ შეესაბამება საწარმოო პროგრამის უზრუნველყოფის ამოცანებს.

სხვა საწარმოო სტრუქტურებთან მიმართებაში წარმოების შეფასების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას სისტემა, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში 3.

ცხრილი 3. წარმოების დონე სხვა საწარმოო სტრუქტურებთან შედარებით

პოზიცია მატრიცაში	**დასკვნა**
1 (ლ1)	მაღალი დონე, რომელიც აღემატება სხვა წრმოებებს
2 (ლ2)	მაღალი დონე, რომელიც შეესაბამება სხვა მოწინავე წრმოებების დონეს
3 (ს)	საშუალო დონე, რომელიც შეესაბამება სხვა წარმოებების დონეს
4 (ლ2)	მაღალი დონე, რომელიც შეესაბამება სხვა მოწინავე წარმოებების დონეს
5 (ს)	საშუალო დონე, რომელიც შეესაბამება სხვა წარმოებების დონეს

6 (ა1)	დაბალი დონე, რომელიც არ შეესაბამება სხვა წარმოებების დონეს
7 (ს)	საშუალო დონე, რომელიც შეესაბამება სხვა წარმოებების დონეს
8 (ა1)	დაბალი დონე, რომელიც არ შეესაბამება სხვა წარმოებების დონეს
9 (ა2)	დაბალი დონე, რომელიც მნიშვნელოვნად არ შეესაბამება სხვა საწარმოების დონეს.

წარმოების კომპლექსური შეფასებისათვის მრავალი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს საწარმოს, შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე ჯგუფად (მიმართულებებად), რომლებიც ხსნიან საწარმოს საქმიანობის ამა თუ იმ მხარეს. გარდა ამისა, ამგვარი დაჯგუფება აადვილებს მათ შეკრებას და შემდგომ გადამუშავებას.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ წარმოების ყოველი კონკრეტული ერთეულის შეფასების შემდეგი მიმართულებები:

- სტრუქტურული უზრუნველყოფა;
- ტექნიკური უზრუნველყოფა;
- საკადრო უზრუნველყოფა;
- ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- საინფორმაციო უზრუნველყოფა.

სტრუქტურული უზრუნველყოფის რაოდენობრივი შეფასება. სტრუქტურული უზრუნველყოფის რაოდენობრივი შეფასება პირველ რიგში ითვალისწინებს საწარმოო ფართობის ზომას და წარმოების ენერგოშეიარაღებულობას. დამხმარე მაჩვენებლების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას საწარმოო ფართის შეფარდება წარმოების საერთო ფართობთან და საწარმოო ფართის გამოყენების კოეფიციენტი. სტრუქტურული უზრუნველყოფის **ხარისხობრივი შეფასება** ითვალისწინებს საწარმოო შენობების და ნაგებობების მდგომარეობას, საჭირო კომუნიკაციების არსებობას და მდგომარეობას, წარმოების გაფართო-

ების შესაძლებლობას, შრომის ფონდშეიარაღებულობასა და ენერგოშეიარაღებულობას და სხვა.

ტექნოლოგიური უზრუნველყოფის რაოდენობრივი შეფასება პირველ რიგში ითვალისწინებს წარმოების საწარმოო სიმძლავრეს, მათ შორის სამუშაოების სახეობის მიხედვით. დამატებითი მაჩვენებლის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას ტექნოლოგიური მოწყობილობის რაოდენობრივი შემადგენლობა ჯგუფების მიხედვით. ტექნოლოგიური უზრუნველყოფის **ხარისხობრივი შეფასება** ითვალისწინებს მოწყობილობების ხარისხის დონეს, მისი ცვეთისა და ასაკობრივი შემადგენლობის (სიძველის) დონეს, მოწყობილობათა და ტქნოლოგიების განახლების, ჩანაცვლებისა და დაბერების კოეფიციენტებს, სპეციალური მოწყობილობების არსებობას, ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენების მრავალფეროვნებას და სხვა.

კადრების სწავლების **რაოდენობრივი შეფასება** ითვალისწინებს წარმოების უზრუნველყოფილობას სამუშაო კადრებით და მათი დასაქმების სტრუქტურას. საკადრო სწავლების **ხარისხობრივი შეფასება** ითვალისწინებს პერსონალის ასაკობრივ შემადგენლობას და კვალიფიკაციის დონეს.

ორგანიზაციული უზრუნველყოფის **რაოდენობრივი შეფასება** ითვალისწინებს გამოშვებული პროდუქციის ხასიათსა და დონეს. ორგანიზაციული უზრუნველყოფის **ხარისხობრივი შეფასება** ითვალისწინებს ორგანიზაციის დონეს, ეფექტურობის ხარისხს და წარმოების პროგრესულობას.

საინფორმაციო უზრუნველყოფის **რაოდენობრივი შეფასება** ითვალისწინებს წარმოების ავტომატიზაციის და ტექნოლოგიური მომზადების დონეს. საინფორმაციო უზრუნველყოფის **ხარისხობრივი შეფასება** ითვალისწინებს წარმოების ავტომატიზაციის საშუალებების ხასიათს (დახასიათებას) და წარმოების ტექნოლოგიურ მომზადებას, აგრეთვე წარმოების ავტომატიზაციის სიღრმეს.

წარმოების მდგომარეობის კომპლექსური შეფასების ჩატარებისათვის აუცილებელია მატრიცაში „**ხარისხი/რაოდენობა**“ დადგინდეს პოზიციების რიცხობრივი ექვივალენტები და შეფა-

სების მიმართულებით განისაზრვროს წონითი კოეფიციენტები.

წარმოების ჯამური შეფასება განსაზღვრული იქნება ფორმულით:

$$A = \sum_{1}^{n} A_i \times B_i$$

სადაც A_i – **რაოდენობა/ხარისხი** მატრიცის პოზიციის რიცხობრივი

ექვივალენტი i–ს მიხედვით შეფასების მიმართულებაში;

B_i – წონითი კოეფიციენტი i–ს მიხედვით შეფასების მიმართულებაში;

n –შეფასების მიმართულების რიცხვი (განსახილველ შემთხვევაში – 5).

კერძო შემთხვევაში რიცხობრივი ექვივალენტების სისტემის ამორჩევა დამოკიდებულია გამოკვლევის ამოცანაზე. სისტემა შეიძლება იყოს წრფივი (სწორხაზოვანი) ან ეკსპონენციური. რიცხვითი ექვივალენტების სისტემის შესაძლო მაგალითები მოვიყვანეთ ცხრილში 4. მიღებული სისტემისგან დამოუკიდებლად რეკომენდებულია პოზიციები 1(ლ1), რომელსაც მივანიჭეთ ექვივალენტი 100 და პოზიცია 9 (ა2) , რომლის ექვივალენტია 0.

ცხრილი 4. რიცხვითი ექვივალენტების სისტემები

პოზიცია მატრიცაში	**რიცხვითი ექვივალენტი**	
	წრფივი სისტემა	**ექსპონენციური სისტემა**
1 (ლ1)	100	100
2 (ლ2)	75	37
3 (ს)	50	14

4 (ლ2)	75	37
5(ს)	50	15
6 (ა1)	25	5
7(ს)	50	14
8 (ა1)	25	5
9 (ა2)	0	0

შეფასების მიმართულებების წონითი კოეფიციენტები დგინდება წარმოების კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. რაც უფრო მნიშვნელოვანია რომელიმე მიმართულება შეფასებაში, მით მაღალი უნდა იყოს მისი „წონა“. წონითი კოეფიციენტების მიმართულებების შეფასების შემუშავების მეთოდიკის დადგენა წარმოების კვლევის მიზნებზე და ამოცანებზე დამოკიდებულებით უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელი კვლევის საგანს. წონითი კოეფიციენტების დადგენის მიღებული მეთოდიკიდან დამოუკიდებლად, კოეფიციენტების ჯამი უნდა შეადგენდეს 1 ერთეულს.

მაგალითისათვის შეიძლება გამოვიყენოთ წონითი კოეფიციენტების სისტემა, რომელიც მოყვანილია ცხრილში 5.

ცხრილი 5. შეფასების მიმართულებების წონითი კოეფიციენტები

შეფასების მიმართულება	**წონითი კოეფიციენტი**
სტრუქტურული უზრუნველყოფა	0,3
ტექნოლოგიური უზრუნველყოფა	0,26
საკადრო უზრუნველყოფა	0,1
ორგანიზაციული უზრუნველყოფა	0,14
საინფორმაციო უზრუნველყოფა	0,2

შემაჯამებელი ცხრილის ანალიზის დროს ამოირჩევა განვითარების მიმართულებები ან საწარმოს წარმოების ლიკვიდაცია, მაგალითად როგორც:

- საწარმოს შემადგენლობიდან წარმოების გამოყვანა;
- წარმოების ორგანიზებული შემცირება (ანდა დახურვა): რაღაც დროის განმავლობაში წარმოება მუშაობს შემდგომში პროდუქციის გადაცემით სხვა საამქროებზე ან სპეციალუზირებულ საწარმოში;
- ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლების გზით (მოწყობილობების პარკის განახლება, მექანიზაციის საშუალებების და დამატებითი აღჭურვილობის დანერგვა და ა.შ.), სტრუქტურული უზრუნველყოფის არსებული დონის შენარჩუნება და წარმოების განვითარება;
- წარმოების განვითარება – თანამედროვე მაღალი წარმადობის და პროგრამული უზრუნველყოფის მქონე მოწყობილობებით მნიშვნელოვანი გაჯერება, დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიური მეთოდების დანერგვა და ა.შ.

ამისათვის იქმნება ახალი ოპტიმალურად დასაბუთებული ტექნოლოგიური და არასტანდარტული მოწყობილობების შესყიდვების ჩამონათვალი. მის საფუძველზე ფორმირდება მომავალი მოდერნიზირებული საწარმოს სტრატეგიული მოდელი და ვლინდება მისი მოდერნიზაციის ყველა სტადია, როგორც ახლო, ასევე მომავლის პერსპექტივაში.

ამავე დროს, როგორც ეს მიღებულია თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში, საწარმო ყალიბდება ოპტიმალური ტექნოლოგიური სპეციალიზაციის მიხედვით, რასაც მოსდევს საწარმოო ფართობების, ინფრასტრუქტურული დანახარჯების, კვალიფიციური კადრების და ა.შ. მნიშვნელოვანი შემცირება (პრაქტიკულად 2,5 ჯერ), რაც საბოლაო ჯამში საშუალებას იძლევა, მკვეთრად შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება და გაიზარდოს ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობა. თვის მხრივ, ყოველივე აღნიშნული საშუალებას იძლევა, გაფართოვდეს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის სეგმენტი, რაც ნიშნავს წარმოების განვითრების შესაძლებლობას.

მეტიც: გამოთავისუფლებული რესურსები (მიწა, შენობები, მოწყობილობა და სხვა) თავისთავად წარმოადგენს ჩატარებული მოდერნიზაციის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროს.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ტექნოლოგიური აუდიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის მონაცემები (მოწყობილობების ჩამონათვალი, ნაკვეთების დაგეგმარება და სხვა) საშუალებას იძლევა, ჩატარდეს განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის ანალიზი.

დასკვნები

შემოთავაზებულია საწარმოების ტექნოლოგიური აუდიტის ჩტარების მეთოდიკა, რომლის ძირითად ღირსებას წარმოადგენს:

- წარმოების ტექნოლოგიური დონის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების მონაცემების გაერთიანება;
- კონკრეტული პროდუქციის მახასიათებლებთან მიბმის გარეშე, წარმოების სხვადასხვა ნაწილების ეფექტურობის შედარების შესაძლებლობა;
- შეფასების დროის მინიმიზაცია.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს: მეთოდის ღირსებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ კვლევის ამოცანებზე დამოკიდებული შეფასება შეიძლება მიებას პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლებს ან სხვა საწარმოო სტრუქტურების დონეს.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. E. Bell, D. Kingdam, A. Powell. Technology Audit, Methodology and case example/ Technology Transfer and Implementation Conference (TTI-12), London, 2012.
2. Cenables J., Impey K. Internal audit. London, Dublin and Edinburgh: Butter-worth, 2011.
3. Growing Success (Business Incubation). A report by The Interprise Panel of The UK. London, 2016.
4. Hayward S., Audit Guide; - London: Butterworth and Co (publishers) Ltd., 2016.
5. How to Prepare Business Plan. – USA: Arizona, 2017.

6. Jenkins B., Cooke P., Quest P., An Audit Approach to Computers. London: Coopers and Lybrand, The Institute of Chartered Accountant in England and Wales, Chartered Accountant Hall, 2012.

7. Leslie Donald A., Teitlebaum Albert B, Anderson Rodney J., Dollar-unit Sampling: Practical Guide for Auditors. Toronto: Pitman, 2013.

8. Manual of Auditing (Coopers and Lybrand). London: Bookcraft (Bath) Ltd., 2012.

MODERN TECHNIQUES OF TECHNOLOGICAL AUDIT

Leila Sulkhanishvili
Doctoral Student of
Caucasus International University

RESUME

In the article "Modern Techniques of Technological Audit", the author discusses the possibilities of modernization of Georgian enterprises and notes that this is one of the most important priorities for our country. By the view of the author, technologies used in Georgian enterprises are fragmented, ie only those parts of foreign technologies.

The author believes that the present situation of the case is incompatible with the objective of construction and further sustainable development of production.

Since all the developed countries of the enterprises are being built on the technological principle (in contrast to the Georgian "objective" principle) and connected to each of the other system subcontractors. So, in the end the author concludes that if Georgian production moves to a new technology type, which will increase it, and it will play an important role in the socio-economic development.

Key words: Technology, Technological Principle, Subject Principle, Expert-Analytical Method.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში და გენდერული თანასწორობა

ხათუნა შალამბერიძე
ეად., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
თინათინ გუგეშაშვილი
ეად., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სამყაროში, სადაც გლობალიზაციის პროცესები სწრაფად მიმდინარეობს და ყველაფერი ურთიერთკავშირშია, წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია ყველა სოციალური და ეკონომიკური აქტივობის გამოყენება.

შესაბამისად, გლობალიზაციის პროცესების ზეგავლენა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აისახება და გამონაკლისი არც საქართველოა. ამ პროცესებში, უამრავ სხვადასხვა გადასაჭრელ პრობლემასთან ერთად მნიშვნელოვანია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობა. წინამდებარე სტატიის კვლევის მიზანიც სწორედ ამ კუთხით ქალთა ეკონომიკური არააქტივობის და მისი გამომწვევი მიზეზების კვლევას ეხება.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება იზომება ბაზარზე თანასწორი მონაწილეობითა და პროდუქტიულ რესურსებზე თანაბარი წვდომით. პირველი გულისხმობს გლობალურ და ადგილობრივ ბაზარზე ქალების თანასწორ ჩართულობას, ხოლო მეორე - ორივე სქესის თანასწორ უფლებებს ქონებასა და საკუთრებაზე. ეკონომიკური გაძლიერება ეფექტიანია, როდესაც ქალები სარგებლობენ თავიანთი უფლებებით, აკონტროლებენ და სარგებელს იღებენ რესურსებიდან, აქტივებიდან, შემოსავლებიდან და საკუთარი დროიდან.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმო-

ნიზების მიზნით. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები კანონმდებლობასა თუ ქცევის ნორმებში.

საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკა ითვალისწინებს გარკვეულ დებულებებს დასაქმების სფეროში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე, თუმცა მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო, მათი გამოყენება უმნიშვნელოა. ქალების და მამაკაცების ანაზღაურებას შორის 34.5%-იანი განსხვავება და აუნაზღაურებელი მუშაობა, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა სრული პოტენციალის გამოყენებისათვის. [1]

საქართველო ქვედა საშუალო შემოსავლის კატეგორიის ქვეყანაა, რომელმაც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ზომიერ ეკონომიკურ ზრდას მიაღწია, თუმცა ბოლო წლებში ეს ტემპი შენელდა. მშპ-ე ერთ სულ მოსახლეზე ქვეყანაში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით 10,7 აშშ დოლარია[2]. დასაქმების კუთხით ძირითადი სექტორი არის სოფლის მეურნეობა, თუმცა 2017 წელს სოფლის მეურნეობა მთლიანი მშპ-ს 7%-ს შეადგენდა. [3]

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა საქართველოში; შრომის ბაზრის რეგულაციების ლიბერალიზაცია; ეკონომიკური არააქტივობის განმაპირობებელი ფაქტორები.

შესავალი

ქალთა უფლებების გაფართოება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს მიიღონ თანაბარი მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორში, „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში", ფარგლებში, კვლევის შედეგად[4] გამოიკვეთა შრომის ბაზრის რეგულაციების რელევანტურობის აუცილებლობა, თუ რამდენად ახდენს მათი არსებობა ან ნაკლოვანებები ქალთა

1 წყარო:https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP_GE_DG_Gender_Equality_in_Georgia_VOL2_GEO.pdf

2 წყარო: მსოფლიო ბანკი, 2017 ბ, 2017 დ.

3 წყარო: საქსტატი 2017

4 წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC). 2018

ეკონომიკურ გაძლიერებაზე და ქალთა გენდერულ თანასწორობის ზრდაზე.

შრომის ბაზრის რომელ პოლიტიკას და ინსტიტუტს შესწევს უნარი ზემოქმედება მოახდინოს შრომის ბაზარზე, რომ ქალები არაფორმალური ეკონომიკიდან გადავიდნენ ფორმალურზე.

საქართველომ მოახდინა ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება, რომელიც უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იმ რვა ძირითადი კონვენციიდან მხოლოდ ორია, რომელიც ეხება გენდერულ თანასწორობას. იმისათვის, რომ საზოგადოებაში შემცირდეს შრომის გენდერული ნიშნით დაყოფის ეფექტი ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობაზე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ 5R ჩარჩო დოკუმენტზე. აღნიშნული დოკუმენტის რეკომენდაციების მიხედვით, საჭიროა აუნაზღაურებელი მოვლის აღიარება (RECOGNIZING), შემცირება (EDUCING) და გადანაწილება (REDISTRIBUTING), ანაზღაურებადი მომვლელების დაჯილდოება (REWARDING) ღირსეული შემოსავლითა და დაცული სამუშაო გარემოთი და მათი წარმომადგენლობის (REPRESENTATION) გაზრდა საზოგადოებრივ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2018).[1]

ძირითადი ტექსტი

ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტივობა და არაფორმალურ სექტორში მათი ჩართულობა არის ავტორთა კვლევის მიზანი, კერძოდ, საქართველოში ქალების ეკონომიკური არააქტიურობის მიზეზების და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის გამოკვეთა.

საქართველოში ქალთა დაბალ ეკონომიკურ აქტივობასთან მთელი რიგი ფაქტორებია დაკავშირებული. მათ შორის უპირველესი არის იმ აუნაზღაურებელი შრომის არაპროპორციულობა,

1 **წყარო:https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/DG/UNDP_GE_DG_Gender_Equality_in_Georgia_VOL2_GEO.pdf**

რასაც ქალები ეწევიან. როგორც დასტურდება, თუ ქალის მოვალეობები ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით შემცირდება, მისი ეკონომიკური ჩართულობა გაიზრდება.

ქალებისთვის სამსახურის პოვნას ართულებს შრომის ბაზარზე არსებული გენდერული დისკრიმინაცია და ქალებთან დაკაშირებით გავრცელებული უარყოფითი სტერეოტიპები.[1]

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კერძოდ, მე-13 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, ფინანსურ სესხებზე ქალებისათვის უზრუნველყონ მამაკაცთა თანასწორი უფლება. მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი სახელმწიფოებს მოუწოდებს, „გაატარონ რეფორმები, რომლებიც ქალებს, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ეკონომიკურ რესურსებზე ... ფინანსურ მომსახურებაზე, მემკვიდრეობასა და ბუნებრივ რესურსებზე თანაბარი წვდომის უფლებას მისცემს".[2]

მიუხედავად იმისა, რომ ქალებისათვის ერთი შეხედვით, სესხის აღებას არავითარი სამართლებრივი ბარიერი არ აბრკოლებს, პრაქტიკაში ამას ქალები ნაკლებად ახერხებენ, რადგან ბევრ მათგანს არ მიუწვდება ხელი მიწასა და ქონებაზე, რომელსაც ფინანსურ უზრუნველყოფად გამოიყენებენ. საქართველოში ქალები უფრო თანამესაკუთრეები არიან, ვიდრე მესაკუთრეები, და ქონება, როგორც წესი, მამაკაცების სახელზეა რეგისტრირებული. ქალები უფრო ხშირად მიკროსაფინანსო (მოკლევადიან, ნაკლები უზრუნველყოფის პირობებით) სესხებს იღებენ, რასაც ნაკლები ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება, თუმცა, ამგვარი ორგანიზაციები შედარებით უფრო ძვირ კრედიტებს გასცემენ.

ქალთა ეკონომიკური არააქტიურობის მთავარი მიზეზი საზოგადოებაში შრომის გენდერული ნიშნით დაყოფაა. ქალები, რომლებიც ამბობენ, რომ არ მუშაობენ ამის მიზეზად ოჯახთან

1 წყარო:მონაცემები საქართველოსთვის იხილეთ AYEG, 2014

2 წყარო: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/C/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, 33-ე პუნქტი.

დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს ორჯერ უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე კაცები. ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებელი იმატებს ასაკის მატებასთან ერთად საპენსიო ასაკის მიღწევამდე, ხოლო შემდეგ კვლავ იწყებს კლებას.

ქალების ეკონომიკური არააქტივობის განმაპირობებელი ფაქტორია, ნაკლები ფინანსური მოტივაცია, რაც გენდერულ სახელფასო განსხვავებაში გამოიხატება. ქალები კაცებზე მნიშვნელოვნად ნაკლებს გამოიმუშავებენ. ისინი აღნიშნავენ, რომ ასრულებენ მამაკაცების მსგავსი ოდენობის აუნაზღაურებელ მოვლასთან (საოჯახო საქმიანობა) დაკავშირებულ საქმიანობას, რაც მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ ქალების საშუალო ანაზღაურება კაცებისას გაუტოლდება, სამუშაოსა და აუნაზღაურებელი მოვლის გენდერული ნიშნით გადანაწილება უარყოფითად იმოქმედებს ქალების ეკონომიკურ აქტივობაზე.

ქალების ეკონომიკური გაძლიერების შესახებ გაეროს მაღალი დონის პანელი გამოარჩევს ქალთა ეკონომიკური საქმიანობის შემაფერხებელ შემდეგ ძირითად ბარიერებს:

ხელშემშლელი სოციალური ნორმები; დისკრიმინაციული კანონმდებლობა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების სიმწირე; აუნაზღაურებელი საოჯახო საქმიანობისა და ოჯახის მოვლის არაღიარება და არასათანადო ზრუნვა მის შემსუბუქებასა და გადანაწილებაზე; არასაკმარისი ხელმისაწვდომობა ფინანსურ და ციფრულ რესურსებსა და საკუთრებაზე. (UNHLP, 2016: 2)[1]

აღნიშნული ბარიერები განაპირობებს იმ გარემოებას, რომ მსოფლიოში სამუშაო ძალაში მონაწილე ყოველ 100 კაცზე მხოლოდ 67 ქალი მოდის. (მსოფლიო ბანკი 2017). დასაქმებასთან დაკავშირებული სისტემური უთანასწორობა აღრმავებს სიღარიბეს, ეკონომიკურ დაუცველობას და ამცირებს შესაძლებლობებს გოგონებსა და ქალებისათვის. ეკონომიკური მონაცემები მიუთითებს, რომ ეკონომიკაში ქალების დაბალი მონაწილეობა აფერხებს ეკონომიკურ ზრდას (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2012) და უარყოფითად

1 **წყარო: გაეროს განვითარების პროგრამა (2017)**

აისახება განვითარებაზე (მსოფლიო ბანკი 2017).

საქართველოში ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობაზე ყველაზე დადებითად განათლების ფაქტორი მოქმედებს. ქალები, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ 20%-ით მეტი მუშაობს, ვიდრე ქალები, რომლებსაც მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქალების სამუშაო ძალაში მონაწილეობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მამაკაცებისას. მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ამ უკანასკნელთ უმაღლესი განათლება.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება ქალებისათვის, ეკონომიკური აქტივობის გარკვეულ ბარიერებს ხსნის საზოგადოებაში შრომის გენდერული ნიშნით დაყოფა და აუნაზღაურებელი მოვლა უმაღლესი განათლების მქონე ქალებისთვისაც გამოწვევად რჩება.

საქართველოშო ყოველი მეორე არაფორმალურადაა დასაქმებული. ეს საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ პრობლემებთან როგორიცაა: დაბალი ანაზღაურება, ნაკლებ თვითდაჯერებულობა, ბედნიერების დაბალი ხარისხი. საქართველოში არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ფორმალურ სექტორში დასაქმებულ ქალებთან შედარებით წელიწადში საშუალოდ 970 აშშ დოლარით (42%) ნაკლებს გამოიმუშავებენ.[1]

ფორმალიზებამ შესაძლოა შეამციროს შემოსავალი გადასახადებისა და რეგულაციების წნეხის გამო, როგორც დამსაქმებლისთვის, ასევე იმ თვითდასაქმებულთათვის, რომლებიც არაფორმალურიდან ფორმალურ სეგმენტში ინაცვლებენ. მაგალითისთვის, საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ," რომელიც მიღებულ იქნა 21.07.2018. ორმოც წლამდე საქართველოს მოქალაქეს, რომელიც მუშაობს, ავალდებულებს ხელფასის 2% გადარიცხოს დაგროვებითი პენსიის ფონდში. ხოლო, თავის მხრივ დამსაქმებელსაც ავალდებულებს გადარიცხოს დაგროვებითი პენსიის ფონდში 2%.[2]

---

1 წყარო:გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC). 2018 ანგარიში.

2 წყარო:https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4280127?publication=0

საქართველომ 2014 წელს ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირთან, ხოლო შემდეგ მოხდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია. ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართში ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის საბჭოს დირექტივებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზებაზე შემდეგ სფეროებში: შრომის სამართალი; ანტიდისკრიმინაცია და გენდერული თანასწორობა; ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე.

საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა ჰარმონიზების უზრუნველსაყოფად. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი ახდენს შრომითი სამართლის რეფორმაზე მუშაობის კოორდინირებას სხვადასხვა მხარის, მათ შორის ევროკავშირისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით.

ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულმა ბაზრის ლიბერალიზაციამ შედეგად მოიტანა შრომის სამართლის, შრომის ბაზრის რეგულაციების ლიბერალიზაცია. მაგალითად, გაუქმდა პოლიტიკა, რომელიც ეხებოდა მინიმალურ ხელფასს, დასაქმების დაცვას, უმუშევრობის შემწეობებს, გაუქმდა შრომის ინსპექცია.

საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების მთავარი ხედვა ჩამოყალიბებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“. სტრატეგია აღიარებს, რომ წინა პერიოდის მიღწევებმა, რომლებიც მიზნად ისახავდა ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაზრდას, შედეგად არ მოიტანა საქართველოს ეკონომიკის გაზრდილი კონკურენტუნარიანობა, ვერ უზრუნველყო მნიშვნელოვანი, სტაბილური ეკონომიკური აღმავლობა. სტრატეგია ასევე აღნიშნავს, რომ გატარებულ ქმედებებს სრულფასოვნად არ მოუხდენია ზემოქმედება უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებაზე. ამ თვალსაზრისით სტრატეგია 2020-ში დასახული მიზანია კეთილდღეობის გაზრდის მიღწევა უმუშევრობის შემცირებით, შრომისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებით, სოციალური დაცვის

საბაზისო სისტემის შექმნით და ადამიანური კაპიტალის განვითარებით.[1] კერძოდ: საინვესტიციო და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება; ინოვაცია და ტექნოლოგიები; ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის ტრანზიტული პოტენციალის სრულად რეალიზება.

ყოველივე ეს კი განხორციელდება შესაბამისად ადამიანური კაპიტალის, კერძოდ, ქვეყნის სამუშაო ძალის იმგვარად განვითარებით, რომ მან დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნები; სოციალური უზრუნველყოფის ქსელების განმტკიცება და ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა. ხოლო, ფინანსებზე წვდომა უნდა განხორციელდეს: ინვესტიციათა მობილიზებით და ფინანსური შუამავლობის განვითარებით.

ადამიანური კაპიტალის განვითარების ძირითადი სტრატეგია გულისხმობს ყველა დონეზე განათლების გაუმჯობესებას და იმის უზრუნველყოფას, რომ სამუშაო ძალა იყოს ნასწავლი და ჰქონდეს უნარები, რომლებიც შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. თუმცა, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იყოს გენდერული თანასწორობა. დასახული მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის მათ შორის სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის შემოღებასაც. სტრატეგია, ასევე აღიარებს მშრომელთა უფლებების დაცვას და ერთ-ერთ ზომად შრომისა და დასაქმების კანონმდებლობის გაუმჯობესებას და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზებას ადგენს. გათვალისწინებულია მონიტორინგის მექანიზმი შრომითი უფლებების დაცვის გასაკონტროლებლად და მშრომელთა უფლების - იმუშაონ უსაფრთხო და ადეკვატურ გარემოში - დასაცავად. შრომისა და დასაქმების კანონმდებლობის მიზანი უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებაა. მოსალოდნელი იყო 2017 წელს უმუშევრობის 17%-იანი მაჩვენებლის მიღწევა, ხოლო 2020 წელს 12%-იანი მაჩვენებლისა.[2]

1 წყარო: www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

2 წყარო: საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლები 5(1;2;3)

საქართველოს შრომის კოდექსი ვერ ადგენს თანაბარი ღირებულების შრომისათვის-თანაბარი ანაზღაურების პრინციპს. გენდერული განსხვავება ანაზღაურებაში ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში არსებობს. ყველაზე მცირე გენდერული განსხვავება შრომის ანაზღაურებაში საჯარო ადმინისტრირების სექტორში აღინიშნება. მხოლოდ მინიმალური ხელფასის შემოღება სრულად ვერ აღმოფხვრის გენდერულ განსხვავებას შრომის ანაზღაურებაში. საჭიროა პოლიტიკის ყოველმხრივი ზომების გატარება გენდერული განსხვავების შესამცირებლად.

გენდერული სტატისტიკური მონაცემები შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ არ არის სრული. მაგალითად, სიღარიბისა და თვითდასაქმების შესახებ სტატისტიკური მონაცენები არ არის კლასიფიცირებული სქესის მიხედვით. არ არის იმ ქალთა რაოდენობის შესახებ მონაცემები, რომლებიც სარგებლობენ დეკრეტული შვებულებით და იღებენ დედობის შემწეობას. არ არსებობს სტატისტიკური მონაცემი არც არაოფიციალურ, აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობაში და საკუთარი მოხმარებისთვის საქონლის წარმოებისა და სერვისების გაწევაში ქალების ჩართულობის შესახებ.[1]

შრომის ბაზრის რეგულაციები საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. დოკუმენტები, რომლებშიც მოცემულია შრომის ბაზრის სტრატეგიებისა და პოლიტიკის კომპონენტები არ ითვალისწინებს გენდერულ ფაქტორებს. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტორზე ბევრი დაინტერესებული მხარე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროკავშირი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ამ თვალსაზრისით რეკომენდირებულია, რომ სახელმწიფომ უფრო მკვეთრად გაამახვილოს ყურადღება შრომის ბაზრის რეგულაციების ნაკლოვანებებზე, რადგან მათ არსებითი მნიშვნელობა აქვს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

1 წყარო: საქართველოს შრომითი ბაზრის საინფორმაციო სისტემის პორტალი.

დასკვნა

საქართველოში დღეს, მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების გაფართოება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს მიიღონ თანაბარი მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორში.

სახელმწიფომ უფრო მკვეთრად უნდა გაამახვილოს ყურადღება შრომის ბაზრის რეგულაციების ნაკლოვანებებზე, რადგან მათ არსებითი მნიშვნელობა აქვს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ეკონომიკური მონაცემები მიუთითებს, რომ ეკონომიკაში ქალების დაბალი მონაწილეობა აფერხებს ეკონომიკურ ზრდას და უარყოფითად აისახება განვითარებაზე.

გენდერული განსხვავება შრომის ანაზღაურებაში დაუშვებელია: მხოლოდ მინიმალური ხელფასის შემოღება სრულად ვერ აღმოფხვრის პრობლემას. საჭიროა პოლიტიკის ყოველმხრივი ზომების გატარება შრომის ანაზღაურებაში გენდერული განსხვავების შესამცირებლად.

უმნიშვნელოვანესია რიგი რეფორმების გატარება. კერძოდ,

- დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმების დახვეწა, მამაკაცისა და ქალის თანაბარი ღირებულების შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის შემოღება და განხორციელება (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №100 კონვენციის შესაბამისად);
- დედობის დაცვის (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №156 კონვენციის შესაბამისად) გაუმჯობესება და გარკვეული ზომების შემოღება;
- ოჯახური პასუხისმგებლობების მქონე მშრომელთათვის დახმარების გაწევა (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №189 კონვენციის შესაბამისად);
- სოციალური დაცვის მინიმალური ნორმების შესახებ ექსპერტთა სახელმწიფო დონის დიალოგისთვის პლატფორმის შექმნა და კონსულტაციების გამართვა სოციალური დაცვის ნორმების შესაძლო ვარიანტების ამოქმედების შესახებ.

ამრიგად, სახელმწიფომ უფრო მკვეთრად უნდა გაამახვილოს ყურადღება გენდერული თანასწორობის შესახებ რეგულაციების ნაკლოვანებებზე, რადგან მათ არსებითი მნიშვნელობა

აქვს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

„გააძლიერე ქალები ბიზნესში და გაძლიერდი შენც“!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლები 5(1;2;3)

2. საქართველოს შრომითი ბაზრის საინფორმაციო სისტემის პორტალი.

3. გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC). 2018 ანგარიში.

4. მსოფლიო ბანკი, 2017 ბ, 2017 დ.

5. გაეროს განვითარების პროგრამა.

REFERENCES:

1. Organic Law of Georgia “Labor Code of Georgia”, Articles 5 (1; 2; 3)

2. Information market portal of the Georgian labor market.

3. UN Women (UN Women) and the Swiss Development and Cooperation Agency (SDC). 2018 account.

4. World Bank, 2017 b, 2017 d.

5. UNDP.

WOMEN’S ECONOMIC STRENGTHENING IN GEORGIA AND GENDER EQUALITY

Khatuna Shalamberidze,
Academic Doctor of Economics, ATSU, Associated Professor
Tinatin Gugeshashvili,
Academic Doctor of Economics, ATSU, Associated Professor

RESUME

In Georgia today, it is important to widen the rights of women, which will allow them to take equal participation in all sectors of the country’s economy.

The State must draw more attention to the shortcomings of labor market regulations because they are essential for ensuring women's economic empowerment. Economic data indicate that low participation of women in the economy hinders economic growth and negatively affects the development.

Gender differences in labor remuneration are not allowed: Only minimal wages can't completely eliminate the problem. It is necessary to take all measures of policy to reduce gender differences in labor remuneration.

A number of reforms are important. In particular,

• Improve the prohibiting norms of discrimination, introduction and implementation of the principle of equal pay for the equal value of men and women (according to the International Labor Organization # 100 Convention);

• Improvement and introduction of maternal protection (according to the International Labor Organization's No. 156 Convention);

• Assistance to workers with family responsibilities (in line with the International Labor Organization's Convention No.189);

• Creating a platform for the level of expertise of the level of expertise on the minimum level of social security and the consultation on possible implementation of possible social norms.

Therefore, the State should focus more on the shortcomings of gender equality regulations because they are essential for ensuring women's economic empowerment.

"Strengthen Women in Business and Strengthen Yourself"!

Key words: Gender equality in Georgia; Liberalization of labor market regulations; Economic inactivity.

სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 15.02.2019 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.02.2019 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,00